



ეპისტოლა

სამოქადაგო უნივერსიტეტის მთხმანური კამპუსის
შენებლი გამოყის ხაზ 013330 ქუთაისი, 2011 წლის 10 ივნისი.

№5



„მიმდევარებული მას მარტინ ივანეს გენერალი
და მან მეცნიერებას გონიერებია“

უნივერსიტეტის მიერ გამოსახული



გულითადად მიენსალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის
მიერ დაარსებული ფურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი
ვიქებით, თუ მისი შემდგენელი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში
დაცული სიწმინდენი, ბერ-მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და
შიმშნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი
ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური
სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს სელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და
ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჰეშმარიტების გზით სვლის
სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემელნი და
მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

	სსამეგრდ შარიალ-გაზოთეამის საგრიგონო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №	მიმღებარე რეგისტრაციის № 27.06.11 თარიღი
დასახელება: ქუჩანა გურიაშვილი		
რეცენზია: მეტად მიმდინარე სამსახური		

„როცა ვფიქრობთ იმაზე,თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ უამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ უამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის უამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

შინაარსი

„საქართველოს აღდგომა გარდაუვალია“.....4

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

საკვირაო ქადაგება.....7

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეო მილოცვა.....10

მარიამ ნიაური

„კვერთხი ძლიერებისად“.....11

სააღდგომო მილოცვა ათონის წმიდა მთიდან.....16

შარლოტა კვანტალიანი

20 წელი იღუმენიად.....18

გაუა კიქნაძე

ქუთაისისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი
ტიმოთე გაბაშვილი.....20

ნინო არჩვაძე

გრიგოლ ორბელიანის წერილი.....24

„ნეტარ ხარ შენ აპაპი“.....30

მარინე ცინცაბაძე

წმიდა გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობა.....32

ქვაზე კვეთის ოსტატი.....38

სიტყვისგმბა ბერისა ექვთიმე გრძელისა
სოსთენის მიმართ – სომებთა მოძღვრისა.....40

„უფალმან აწვიმა ცეცხლი“.....44

წესი აღსარებისა.....49

წმიდა ეგნატე ბრიანჩანინვი

„ბოლო უამის მონოზონთა ხვედრი უმთავრესად მწუხარებაა.“.....56

ქრონიკა.....59



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-
თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი,

ილია II

* * *

„...უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვი-
ანდერძა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილ-
სა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის...“

ქართული იდეის განვრცყბის არეალი გიორგი მერჩულეგმ ასე განსაზღვრა:
„ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა
ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“...

ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პა-
ტრონიბს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის
მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას...“

2011. საადდგომო ეპისტოლე

GARDAUVALIA ~

* * *

„...უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „და კლდესა ამას ზედა აღვაშენო ეპლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. უპირველეს ყოვლისა უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არის ეპლესია. ეპლესია არის ერთი – ერთი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეპლესია. და მისი ნაწილებია – ზეციური ანუ მოზეიმე ეპლესია და მებრძოლი ეპლესია, – ეს ჩვენ ვართ, მიწიერი ეპლესია. მოზეიმე და მებრძოლი ეპლესია, ორივე ერთად, ეს არის ერთი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეპლესია, რომელიც კლდესა ზედა აღაშენა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას...“

* * *

„...ამაზე მეტი სიმდიდრე არ არსებობს დედამიწაზე, რაც არის მართლმადიდებელი ეპლესია! მართლმადიდებელი ეპლესია რომ არ არსებობდეს და ქართველი ერი რომ არ იყოს მართლმადიდებელი, – ქართველი ერი ვერ გადარჩებოდა! თქვენ იცით, რომ მრავალი ერი ყოფილა ჩვენზე ძლიერი, მაგრამ დღეს მათი ხსენებაც არ არის: არ არის მათი ისტორია, არ არის მათი კულტურა, არ არის მათი ენა – ყველაფერი დაკარგულია. საქართველომ გაუძლო, იმიტომ რომ ეს ძალა ჰქონდა!...“

„...ჩვენ მადლობას ვწირავთ უფალს, რომ ღირსი გაგეხადა უფალმა, კიურთ მართლმადიდებლები. მაგრამ როცა ვამბობთ, რომ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. მარტო სახელით კი არ უნდა ვიყოთ მართლმადიდებლები, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ცხოვრების წესით. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გვწამდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის მართლმადიდებლობა...“



* * *

„...როცა ვამბობთ, რომ არსებობს მოზეიმე ეპლესია, - უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ ჩვენს წინაპრებზე, რომლებიც, შეიძლება, წამებით, შეიძლება დიდი შრომით, დიდი ღვაწლით გავიდნენ ამქვეყნიდან და მკვიდრნი არიან სასუფეველისა. ისინი გვეხმარებიან ჩვენ. მოზეიმე ეპლესია ეხმარება მებრძოლ ეპლესიას. ეს არის ერთი ეპლესია, ერთი ხსენელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!..“

2006. საკვირაო ქადაგება

საქართველოს აღდგომა გარდაუვალია~



* * *

„წმიდა მირონის ხარშვა და კურთხევა
არის დამოუკიდებელი, ავტოკეფალური
ეკლესიის უფლება...“



* * *

მცხეთა, სვეტიცხოველი. მირონის ხარშვის უძველესი პროცესი. მირონის ხარშვის უფლება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით მიენიჭა (კონსტანტინოპოლი, 680 წელი).

* * *

...წმიდა მირონის კურთხევით დღეს საქართველომ შეიძინა უდიდესი და ფასდაუდებელი სულიერი სიმდიდრე. და აი, მადლობა უფალს, რომ დირსი გაგვხადა ამ საიდუმლოს შესრულებისა! ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო უძლეველია და საქართველო გამარჯვებული იქნება მომავალშიც და დღესაც!...

* * *

„...დიდი დღეა დღეს, დღეს დაიწყო ხარშვა და კურთხევა წმიდისა მირონისა, რომელიც იქნება გამოყენებული ჩვენი ერის ნათლობაში და იმედი გვაქვს ჩვენ ყველას, რომ ჩვენი მწუხარება, ჩვენი განსაცდელი სიხარულით შეიცვლება...“

* * *


„...მირონის კურთხევა, ეს არის უდიდესი მოვლენა საქართველოს ეკლესიაში...“



არეიმანდრიში ლაზარე (გაგნიძე)

საკვირაო ქადაგება

(სიყვარულისათვის)



ლუდია. დიდმოწამე წმიდა გიორგის საფლავი
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
აღავლენს ლოცვას

სახელითა მამისათა, და ძისათა, და
წმიდისა სულისათა!

დღევანდელ სახარებაში წაკითხული
სიუჟეტი უაღრესად საინტერესო და ღი-
რებულია ზოგადსაკაცობრიო ურთიერთო-
ბებისათვის და საფუძველთა საფუძველია
საზოგადოდ, ქრისტიანული მოძღვრები-
სათვის. სახარების ამ სადღეისო საკითხ-
ავში, კლასიკური ფორმით მოცემულია
თუ როგორი უნდა იყოს ყოველი ადამი-
ანის დამოკიდებულება დვორისადმი ერ-
თის მხრივ, და როგორი დამოკიდებულე-
ბა უნდა პქონდეს მეორეს მხრივ, ყოველ
ადამიანს სხვა ადამიანების მიმართ. თუ
ლოგიკას გავყვებით, გავაკეთებო საგუ-
ლისხმო დასკვნას, კერძოდ, დავრწმუნდებ-
ით, რომ ეს დამოკიდებულება ცალ-ცალკე
არ არსებობს. კიდევ ერთხელ შევხედოთ
ამ ურთიერთობებს - ადამიანისა ანუ
ინდივიდისა უფალთან და ინდივიდისა

მეორე ინდივიდთან, ანუ სხვა ადა-
მიანთან. ჩვენ უმალვე დავრწმუნდებ-
ით, რომ ადამიანის, ანუ ინდივიდის
დამოკიდებულება უფალთან აწეს-
რიგებს ინდივიდის დამოკიდებულე-
ბას მეორე ინდივიდთან, ანუ სხვა
ადამიანთან. სახარებისეული ფორმე-
ბით ეს შემდგენაირად არის გადმო-
ცემული: „შეიყვარო უფალი დმერთი
შენი ყოვლითა გულითა შენითა, და
ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვ-
ლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა
გონებითა შენითა, და მოყვასი შენი -
ვითარცა თავი თვისი“ (ლკ. 10,27). მე
აქ აღარ გავამახვილებ თქვენს ყურა-
დლებას იმაზე, რომ უფალი ჩვენი უნდა
გვიყვარდეს განუზომელი სიყვარულით,
უნდა გვიყვარდეს მთელი არსებით, მთელი
გულით, მთელი სულით, მთელი ძალით,
მთელი გონებით, მაგრამ ეს სიყვარული
უფლისადმი ყალბი იქნება, ცრუ იქნება,
თუ ასევე მთელი არსებით, მთელი გულით,
მთელი სულით, მთელი ძალით, მთელი
გონებით არ გვევარება ღვთის ყოველი
ქმნილება, მოყვასი ჩვენი, ყოველი ადამი-
ანი, რომელიც შენს გვერდით ცხოვრობს,
შენს გვერდით შრომობს, რომელსაც შენ
მოსწონხარ ან არ მოსწონხარ, ან პირიქით,
შენ მოგწონს იგი ან არ მოგწონს, ლამა-
ზია თუ შეუხედავი, სათხო თუ აუტანელი.
აქვე იმასაც მოგახსენებო, რომ იმ დროს,
როცა მაცხოვარი ჩვენი იქსო ქრისტე
განკაცებული მოევლინა კაცობრიობას,
ადამიანთა საზოგადოება იმდენად ცოდ-

ვადღაცემული ნახა, საზოგადოებაში იმდენად იყო გამეფებული უსიყვარულობა და ურთიერთდაპირისპირებულობა, რომ მან მოსეს სჯულისეული ათი მცნება გაამარტივა და იგი ერთ და უმთავრეს მცნებამდე დაიყვანა - „გიყვარდეს უფალი შენი და გიყვარდეს მოყვასი შენი“. უაღრესად მძიმეა განსაჯო ცალკეული ადამიანი და მით უმეტეს ძნელია განსაჯო მთელი ერი. მაგრამ ჭირს გვერდი აუარო თალმუდისტური მოძღვრების დასაგმობ ტენდენციას, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა როგორც ძველი აღთქმის, ასევე ახალი აღთქმის ეპოქის ებრაელთა მენტალიტეტი. ეპროპელი ავტორები მიუთითებენ, რომ თალმუდისტურია მოძღვრების შესაბამისად, იუდეველთა ყველა მეზობელი დიდი თუ პატარა ერები იწოდებოდნენ „გოიმებად“, უსჯულოებად, რაც გასაიდუმლოებულად ნიშნავდა „პირუტყვას“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ებრაელებს უყვარდათ მხოლოდ თავისი ერის შვილები, სხვა ერის შვილებს კი ისინი პირუტყვებად თვლიდნენ. აქ გვერდს ვერ აკუვლით ვერც რუსი ხალხის შოგინისტურ დამოკიდებულებას სხვა ერებთან, განსაკუთრებით კავკასიისა და აზიის ქვეყნების შვილებან.

ქრისტეს მოძღვრებამ მნიშვნელოვნად
განსაზღვრა ქართული ცნობიერება. ერში
ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებში
დამკვიდრდა სიყვარულის სახარებისეუ-
ლი ხალხური გაგება, ოომლის მიხედვით
„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს
უშენებია“. ამ მცნებით იზრდებოდნენ ჩვე-
ნი ერის შვილები და ამ ზნეობრივი კოდ-
ექსით აგებდნენ ისინი ურთიერთობებს
ერთმანეთში და ჩვენი ქვეყნის ტერიტორი-
აზე მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენ-
ლებთან. ამგვარი ჯანსაღი ხასიათი მიიღო
ქართველთა ურთიერთობამ ორნახევარი
ათეული საუკუნის წინ საქართველოში
გადმოსახლებულ ებრაელებთან. ქართ-

ველთაგან არ განუცდია დევნა-შევიწროება
მის ტერიტორიაზე მცხოვრებ არცერთ სხვა
ერს - სომხებს, ოსებს, აფხაზებს, ბერძნებს,
აზერბაიჯანელებს, რუსებს... ეროვნული
შემწყნარებლობა გენეტიკურად დამახასი-
ათებელი იყო და დღესაც დამახასიათე-
ბელია ქართველი ერის შინაგანი ბუნე-
ბისათვის, მისი ხასიათისთვის. ქართველი
ერის ეს ჰუმანური თვისება ჩამოყალიბდა
ისტორიულად როგორც ჩანს, ჯერ კიდევ
ადრე ქრისტიანულ ხანაში და იგი მნიშ-
ვნებელოვნად განაპირობა ქრისტიანულმა
მოძღვრებამ, რომლის ქვაკუთხედს წარ-
მოადგენს სიყვარული ღმერთისადმი და
სიყვარული მოყვასისადმი.

დღეს ჩვენს თითქოსდა, განვითარებულ
ეპოქაში, როცა სინამდვილეში მსოფლიო
განიცდის სულიერ სიღატაკეს, სრულიად
ბუნებრივად ისმის კითხვა - რაში გამ-
ოიხატება სიყვარული დვოისადმი? ადამი-
ანთა უმრავლესობას გაუჭირდება ამაზე
არგუმენტირებული პასუხის გაცემა, უწინ-
არეს ყოვლისა იმის გამო, რომ ჩვენი სა-
ზოგადოების ძალიან პატარა ნაწილი
ცხოვრობს ეკლესიურად. მას ვინც ჰყლე-
სიურად ცხოვრობს, უჭირს შეიცნოს უფა-
ლი და მითუმეტეს, უჭირთ მათ, ვინც არც
ცხოვრობს და არც ცდილობს იცხოვროს
ეკლესიურად. ამ ადამიანებისაგან ხშირად
გვესმის, რომ მათ „სწამთ დმერთი“, მაგრამ
რაში გამოიხატება ეს რწმენა, არის თუ
არა ეს რწმენა ჭეშმარიტი და მტკიცე, ეს
მყისვე დგინდება, როგორც კი ჩვენ ჩვენ-
თან მოსაუბრეს კონკრეტულად დავუს-
ვამთ ამ შეკითხვას. აღმოჩნდება, რომ ეს
რწმენა მკვდარია ან მიძინებულია, რადგან
ჩვენთან მოსაუბრე ეკლესიის გარეთ დგას,
მას არა ჰყავს მოძღვარი და ბუნებრივია,
არ დებულობს მოძღვრის დარიგებებს.
მას თითქოსდა სწამს დმერთი, მაგრამ
მას არა სწამს მდვდელი, იგი პატივს არ
სცემს მოძღვარს. ამ ადამიანებს თავისი
თავი მდვდელზე ჟავეთესი ჰგონიათ, უფრო

პატიოსანი, უფრო ზნეობრივი და ა.შ. მოძღვრის დახმარების გარეშე კი თქვენ იცით, ქრისტეს რჯული წარმოუდგენელია, მოძღვრის გარეშე წარმოუდგენელია ქრისტიანული რწმენა.

წარმართული ურთიერთობანი სუფევდა საქართველოში წმიდა ნინოს ქართლუში შემოსვლის უამსაც. მისმა ქადაგებამ ფრთები შეისხა წმიდა მეფე მირიანის სამეფო კარზე მხოლოდ მას შემდეგ, როცა ქონსტანტინოპოლიდან ქართლუში მდვდლები ჩამოვიდნენ და როცა ისინი აქ სამღვდელო საქმიანობას შეუდგნენ.

რწმენის მსგავსად, სწორედ ასევე მკვდარია, მიძინებულია სიყვარული უფლისადმი, თუ იგი განმტკიცებული არ არის საქმით. განა შეიძლება ვირწმუნოთ დვთისადმი სიყვარული იმ ადამიანებისაგან, რომლებიც არ მისდევენ უფლისაგან სახარებით გაცხადებულ მოძღვრებას, რომელიც როგორც წესი, აღესრულება მხოლოდ დვთის სახლში, ეკლესიაში, მოძღვრის საშუალებით? შესაძლოა, ადამიანები გარკვეულწილად, მისდევენ ქრისტეს მოძღვრებას, ლოცვის პარალელუარდ კითხულობენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ფსალმუნებს, მამათა ცხოვრებასა და ა.შ. შესაძლოა, ადამიანები მარხვით ცდილობენ ხორცისა და სულის შემუშვრას იმისათვის, რომ შეიმოსონ ქრისტე და ქრისტიანული ზნეობა. ცხადია, ამ საკითხაგების კითხვით, ლოცვით, მარხვით იბადება რწმენა და სიყვარული დვთისადმი, მაგრამ თუ სიყვარული დვთისადმი არ არის განმტკიცებული მოყვასისადმი სიყვარულით, მაშინ ეს სიყვარული არ არის ჭეშმარიტი და დვთივსათნო. სიყვარული მოყვასის მიმართ სხვადასხვა სათნო

საქმეების აღსრულებით ვლინდება. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი მოითხოვს თავდადებულ ერთგულებას უფლისადმი, რომელიც განმტკიცებული უნდა იყოს მოყვასისადმი სიყვარულით, სხვა ადამიანებისადმი ზნეობრივი კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე დამყარებული ურთიერთობებით, პატივისცემითა და სათხოოფით პიროვნებისა და საზოგადოების უფლებებისადმი.

სიყვარული ადამიანებისადმი და უფლისადმი ყალბია, როდესაც ჩვენს ირგვლივ არსებობენ უძლურნი, უპატრონო მოხუცებულნი, ბედისანაბარა მიტოვებული, უსასერო ავადმყოფები, ხეიბრები, მიუსაფარნი, ქვრივ-ობლები, რომლებიც შემწეობას საჭიროებენ ჩვენი მხრიდან, ჩვენ კი გართული ჩვენი პირადი ყოველდღიური პრობლემებით, ინერტულნი ვართ მათ მიმართ. მატერიალური გაჭირვების გამო, შესაძლოა, ჩვენ ხელი არ გვემართება მათთვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენ მათ გავუწიოთ მორალური დახმარება, ხომ შეიძლება ჩვენ მოვინახულოთ ისინი, სასოფლოან დაგუჯდეთ, გავუსუფთაოთ საცხოვრებელი ბინა, ვიზრუნოთ მათ პიგიენაზე, სისუფთავეზე და ა.შ. ამგვარ ყოფაში ვლინდება ქრისტიანული სიყვარული დვთისა და მოყვასისადმი. ჩვენი ტაძრის მრევლმა ამგვარი სათნო საქმეების აღსრულება უნდა დაგეგმოს თავისი თავისუფალი დროის ბიუჯეტში. მხოლოდ ამგვარად ვიქნებით ჩვენ ჭეშმარიტი მიმდევრები უფლისა დვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. დმერთმა მოგმადლოთ სიყვარული უფლისადმი და მოყვასისადმი! ამინ!



srul i ad saqarTvel os kaTol ikos-patriarqi, mxeTa-Tbil isis
mTavarepi skoposi, biWintisa da cxumafxazeTis mitropol iti,
uwmidesi da unetaresi, ილია II samTavros wni da ni nos dedaTa mo-
nastris wi namZRvars, deda qeTevans ul ocavs
i Runeni ad kurTxevi s 20 wl isTavs

იღუმენია ქეთევანს (კოპალიანი)

გულითადად გილოცავთ იღუმენიად კურთხევის 20 წლისთავს.

დიდად მნიშვნელოვანია თქვენი ღვაწლი საკუთილოდ ექლესიისა. დაუ, თქვენი
შრომა იყოს მარადებამს სადიდებელი უფლისა, შედეგი თქვენი შემდგომი სულიერი
სრულყოფისა, მოყვასისა და სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვისა.

ღმერთი მშეიდობისა, სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა იყავნ თქვენთანა.

გიხაროდეთ ორსაუე სოფელსა შინა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

„კვერთის ძლიერებისათვის ~

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაბამია, სადაც ყოვლადწმიდა დვთისმშობლის მიერ კურთხეული ჯვარი ვაზისა აღმართა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ მაყვლოვანში და სამოციქულო დვაწლს მისცა თავი. სწორედ ამ ადგილს შემოიკრიბა წმიდა ნინომ მენელსაცხებლე დედათა პირველი კრებული საქართველოში: შროშანა, ანასტასო, სიდონია, წმიდა ნანა დედოფალი, მოგვიანებით – სალომე უჯარმელი და პეროუავრა სივნიელი და მრავალი, ჩვენს ოვალთაგან განშორებული წმიდა დედა. სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე მოაქცია და დაიმოწაფა წმიდა ნინომ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

საქართველოს ისტორია, უწინარეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრებზეა აღბეჭდილი, მის ხილულ და უხილავ, სულიერ და ნივთიერ სახეზე იკითხება ეროვნული ძალა და უძლურება. სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერიც თავის თავში სრულად მოიცავს ქართლის ცხოვრების აღდგომა-დაცემას. საუკუნეთა მანძილზე ვერც ერთმა ძალამ ვერ დაშრიტა წმიდა ნინოს „მაყვლოვანში“ ლოცვის ლამპარი და ვერ წარაქცია დვთისმშობლის მიერ ნაკურთხი საიდუმენიო კვერთხი, რომელიც წმიდა ნინოს ხელთაგან სულიერად გადაეცემა სამთავროს მონასტრის წინამდღვრებს. სწორედ ეს მრავალგანსაცდელ-გამოვლილი სულიერი კვერთხი, რომელიც ხელთ ეპყრა მონასტრის პირველ იღუმენია დარია ფალავას, მინადორა ფურცელაძეს, ნინო ამილახვარს, ნინო ციციშვილს, ქეთევან გონგლაძეს, ანუსია კოჭლამაზაშვილს, ზოილე დვალიშვილს და ანა აჭაიძეს – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1991 წელს გადასცა აწინდელ იღუმენია ქეთევანს და ეს საპატიო, ისტორიული მნიშვნელობის, მაგრამ უმძიმესი სულიერი კვერთხი ოცი წელია, რაც ხელთ უპყრია: „კვერთხი ძლიერებისათვის გამოგივლინოს შენ უფალ-

მან სიონით, და უფლებდე შორის მტერთა შენთა (ფს. 109).“ სამთავროს წმიდა ნინოს დედა მონასტერი, საბჭოური რეჟიმისაგან სრულიად განძარცული და დაკნინებული მიიბარა დედა იღუმენია და ამ ოცი წლის მანძილზე, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვით და შეწევნით, წმიდა ნინოს „მაყვლოვანი“ განაცხოველა და ააღორძინა.

მადალდირსი იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) განათლებით ფილოლოგი და პოეტი, რომელიც კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, ეკლესიაში მოვიდა 1979 წელს და დვთის განგებით, უმაღლ უწმიდესისა და უნეტარესის მოწაფე შეიქნა. დედა ქეთევანმა იღუმენის ხარისხსამდე მორჩილების რთული გზა განვლო. 1983 წელს მისმა უწმიდესობამ სამონოზნედ აკურთხა იზოლდა კოპალიანი ნინოს სახელით და სამოღვაწეოდ მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში აკურთხა: „შენი საბოლოო ადგილი მცხეთაში იქნებაო“.

ამ პერიოდში მონასტერში მოღვაწეობდა მამა გაბრიელი, რომელიც აწინდელ იღუმენია ქეთევანს სულიერად შეეწეოდა. დიდმა მოძღვარმა, მამა გაბრიელმა, მას მონასტრის იღუმენიობა უწინასწარმეტყველა; ერთხელ, მონასტერში მყოფ პატრიარქს, მამა გაბრიელმა მუხლმოყრით თხოვა: „ოქვენო უწმიდესობავ, ეს აკურთხეთ იღუმენიად, ლირსიაო“.

1988 წელს, უწმიდესის და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჯერ კიდევ სამონოზნე ნინო ზოგადცხოვრებულთა ტიპის სამონასტრო ცხოვრების გასაცნობად, ესტონეთში, პიუხტიცის მართლმადიდებელი ეკლესიის დედათა მონასტერში წარგზავნა ჯგუფთან ერთად, სადაც აწ გარდაცვლილი იღუმენია ვარვარასაგან სამონასტრო ცხოვრების მრავალ მხარეს გაეცნო.

1991 წლის 13 მარტს სამთავროს ფერისცვალების ტაძარში უწმიდესის ლოცვა-კურთხევით მონოზნად აღიკვეცა დედა ნინო სხვა დედებთან ერთად



მცხეთის, სამოავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის
წინამდღვარი, იღუმენია ქვევები (კოპალიანი)

და მისი უწმიდესობის მიერ შერჩეული სახელი ქოთევანი ეწოდა, დიდმოწამე ქოთევანის სახელზე; საგულისხმოა, რომ კურთხევამდე მას მანტია უბოძა და თავისი ხელით მოასხა აწ განსვენებულმა სქეარქიმანდრიტმა ვიტალიმ, რომელ-მაც ლოცვა-კურთხევით გადასცა ხატი „ღვთისმშობელი იღუმენია“, დალოცა და ასე დამოძღვრა: „მონასტერში არეულობა ერთმანეთის მორჩილებაში უხეშ ჩარევას მოაქვსო“.

ამავე წლის 13 ივნისს სვეტიცხოვ-
ლის ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა
ილია II-მ მონოზონი ქეთევანი იღუმენიას
ხარისხში აღამაღლა და სამთავროს დე-
დათა მონასტრის წინამდგრად დაადგინა
– მონასტრისა, რომელიც ჯერ კიდევ XIX
საუკუნიდან „დედა მონასტრად იწოდება“.
ამიტომ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა
მონასტრის განსაკუთრებული პატივის
ნიშნად, უწმიდესმა ილია II-მ ახლად-
ნაკურთხი იღუმენია, საიდუმენიო პვერთხ-
თან ერთად, გამშვენებული ჯვრის ტარების

უფლებით პატივეყო. და მას შემდეგ, როგორც დედა იღუმენია კრძალვით იტყვის: „დვთის შეწევნით, ძალისაგბრ ჩემი უდირსებისა, ამ საპატიო ჯვარს ვატარებო“. იღუმენიად კურთხევამდე ერთი კვირით ადრე, ხანდაზმულ წინასწარმცნობელობით ცნობილ არქიმანდრიტ ნაუმს უთქვამს: „მცხეთაში სამთავროს მონასტრის იღუმენიად ქეთევანს აკურთხებენ“ და საჩუქრად გამოუგზავნია მისთვის ზაგორსკიდან პირსახოცი, თავსაბურავი და თბილი წინდები: „— ეზოში რომ გამოვა იღუმენია, ფეხზე არ შესცივდესო“.

ორი ათეული წელია, რაც იღუმენია ქეთევანს ხელო უპყრია სამთავროს დედათა მონასტრის საუკუნეებგამოვლილი სულიერი კვერთხი, რომელიც, წმიდა ნინოს ლოცვით, მართლმადიდებლობის დასამოწმებლად არის აღმართული ჩვენს უმძიმეს, შეჭირვებულ დრო-უამში, როცა საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას და როცა ზნეობრივ-სულიერი ფასეულობის ყველა ნორმა მოირღვა. ასეთ დროს საიღუმენიო კვერთხის აღპყრობა და ამაღლება, ჰქეშმარიტად დვთის დიდი მოწყალების და პიროვნული თავდადების ხილული სახეა, რის დასტურადაც 2006 წლის 24 აპრილს კათოლიკოს-პატრიარქმა მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. „ეს დიდ პატივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც იყო ჩემთვის. მივხვდი, პატრიარქი კიდევ უფრო მეტს მოითხოვდა ჩემგან“ – იგონებს დედა იღუმენია.

დედა ქეთევანმა სამთავროს წმიდა
ნინოს დედათა მონასტრის ჩაუქრობელი
ლოცვის ლაპარი და სამონასტრო ცხ-
ოვრების მდიდარი ტრადიცია მიირქვა,
რომელიც საბჭოური კერპომსახურების
დეგნილებაში გამოატარეს მონასტრის
ძველი თაობის გარდაცვლილმა იღუმენია
ზოილემ და იღუმენია ანამ; ნივთიერად კი
უაღრესად შეჭირვებული იყო მონასტერი.
ძველი თაობის ხუთიოდ მონოზონი ორ-
სამ მიწურ ოთახში ცხოვრობდა და საკვე-
ბიც ადარ ჰქონდათ. როცა მონასტრის

გაძლოლა იტვირთა იღუმენია ქეთევანმა, „ხაზინაში“ 3 მანეთი იყო. დედა ქეთევანი მიენდო სულიერ წინამძღვარს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და მისი ლოცვა-კურთხევით, სამონასტრო საქმიანობას შეუდგა. პირველყოვლისა, მონასტერმა დაიბრუნა მიტაცებული კუთვნილი ისტორიული საცხოვრებლის ნაწილი ნაგებობა და კარ-მიდამო.

90-იანი წლებიდან, მისი უწმიდესობის ლოცვით და მრევლის საქველმოქმედო ღვაწლით, სამთავროს სავანეში დაიწყო კომპლექსური მშენებლობა: ტაძრის აღდგენითი სამუშაოები და მონასტრის საცხოვრებელი სენაკების შენება-განახლება. გაფართოვდა და გაიწმინდა წმიდა ნინოს

ის, სასანთლე, სამკერვალო სახელოსნოები, გაიხსნა მცირე ბიბლიოთეკა, არქივი და კომპიუტერული მომსახურების კაბინეტი, დაარსდა ჟურნალი „მაყვლოვანი“ და სხვა მრავალი ნივთიერი სიკეთე აღსრულდა და აღესრულება სამთავროს დედათა მონასტერში საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, მცხოვა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დვაწლით, დედა იღუმენია ქეთევანის მისადმი სრული მინდობითა და მონასტრისათვის თავდადებით, აგრეთვე – მორწმუნე მრევლის ქველმოქმედებით.

იღუმენია ქეთევანის სულიერმა სიმტკიცემ, სიმხნემ და შრომაშ მრავალი ქრისტიანი მიიზიდა და შემოკრიბა სავანის გარშემო, რომელიც რიცხობრივად საგრძნობლად გაიზარდა. დღეისათვის მონასტერში ორმოცდაათამდე დედა მოდვაწეობს; ხოლო მონასტერში განსწავლილი დედათა რიცხვი, რომლებიც სამონოზვნო ცხოვრებას „მაყვლოვანში“ ეზიარნენ და სულიერად წარმატებული, სხვადასხვა მონასტერების წინამძღვრებად ეპურთხენ – მათი რიცხვიც მრავალია. სამთავროს მონასტერი პირველი მონასტერია, სადაც საბჭოური დიქტატურის დამხობის



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი 1986 წ.

არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე),
იღუმენია ქეთევანი (იმ დროს სამონოზვნე ნინო),
დეკანოზი ალექსანდრე (თანდილაშვილი)
მორჩილი მარინე-მარიამ (ნიაური).

მონასტრის სამლოცველო; აიგო და იხატება სატრაპეზო; მოიჭედა სახარება და ძელიცხოვლისათვის დამზადდა ვერცხლის, ძვირფასოვლებიანი ლუსკუმა; კიოტში დაბრძანდა წმიდა ნინოს ნაწილებიანი ხატი, საკურთხეველში დაიდგა გამშვენებული შვიდტოტა; კანკელის ხატებს ჩაუტარდა რესტავრაცია; გაკეთდა სეფისკვერ-

შემდეგ სრულად აღორძინდა ზოგადცხოვრებულთა სამონასტრო ტიპის წესანგება, რისთვისაც, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, დიდად დაშვრა მაღალლირსი დედა ქეთევანი.

სამთავროს დედათა მონასტრის აღორძინებას, ისე როგორც ზოგადად სულიერი ცხოვრებას, თან სდევდა ძლიერი სუ-

ლიერი ბრძოლა, რომელიც ხილულად და უხილავად მიმდინარეობს დღესაქამომდე. საცდურები, რომელიც სავანეს შიგნიდან და გარედან ატყდება თავს და რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მონასტრის სულიერი წინამდღვრის მხრებზე გადადის: „წინამდღვრობის პირველ წლებში ჩემზე მოწევნილ სხვადასხვა განსაცდელს ზოგჯერ უსასოობამდე მივყავდი, როცა სულიერ ბრძოლაში გამოუცდელს ახალახალი განსაცდელი მატყდებოდა. ამიტომ, სულიერ გაჭირვების უამს, ხშირად მიხდებოდა მის უწმიდესობასთან და მამა გაბრიელის სენაკში სტუმრობა“. დედა იღუმენიამ ოცი წლის მანძილზე მრავალი განსაცდელი დაითმინა: იყო დევნა, შეურაცხყოფა, ცილისწამება თუ უსამართლობის ჭირთათმება – მაგრამ იყო დიდი სიყვარული და თანადგომა სულიერი მამისა, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ისა, რომლის „ბეჭთსაშუალი“ მუდამ იფარავდა დედა იღუმენიას და სამთავროს დედათა მონასტერს, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის არა მარტო საკატრიარქო მონასტერია, არამედ, მისი უწ-

მიდესობის თქმით: სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი მისი სულიერი სამშობლოა, რომელთანაც უწმიდესის ბავშვობა და ყრმობა, სიჭაბუქე და სიჭარ-



**ნინობა. 2011 წელი
უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამთავროში**

მაგევ ერთნაირად არის დაკავშირებული. მონასტერში როგორც ლოცვითი ტიპიკონი, ასევე ყოველდღიური ცხოვრებაც მისი უწმიდესობის ხელმძღვანელობით წარემართება, რომლის ზოგადი სამი კანონი ასე განაწესა: „1. არ განიკითხო; 2. რაჟამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, სთხოვე შენდობა და განშორდი; 3. ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ ძალგიძს – ნურაფერს ეტყვი.“

დედა იღუმენიას მთელი ცდა და ღვაწლი მიმართულია ქართული სამონოზე სულისკვეთების, მისი ტრადიციების აღდგენა-დამტკიცებისაკენ, რაც უწინარეს ყოვლისა მართლადსარების დაცვაში და მის მსახურებაში გამოიხატება. დედა იღუმენიას მეთვალყურეობით, მონასტერი მტკიცედ იცავს საღვთისმსახურო ლოცვების ათონურ (ძველ ქართულ) ტიპიკონს; განუხრელად სრულდება სამონასტრო ცხოვრების უპირატესი წესდება, რომ – „მონასტერში უმთავრესია ლოცვა“. ღვთისმსახურების ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს გალობა, რომელიც სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში დიდი სულიერებითა და ღვთივსათნო,





სამხმიანი ქართული საგალობლების ტრადიციების დაცვით აღევლინება.

იღუმენია ქეთევანი არაოდენ სიტყვით, არამედ, საქმით, პირადი მაგალითით, სწავლის სავანის დედებს და დებს, რასაც იგი მონასტრის სულიერ მოძღვართან თანხმობაში ადასრულებს, როგორც ამას წმიდა აღექსი შუშანია გვასწავლის: „ორთა ამათ შორის ურთიერთშეკითხვა და რჩევა თანხმობით უნდა წარმოებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორნივე შეცდებიან და დაუტევებენ გზასა მას საღმრთოსა“.

მონასტრის სულიერი დედა ცდილობს, რომ მონასტერში ქართული სამონასტრო სკოლისათვის დამახასიათებელი სულიერ-გულტურული საქმიანობაც აღორძინდეს, რისთვისაც, იღუმენიას ლოცვა-კურთხევით, მონასტერი გამოსცემს ჟურნალს, რომელ-საც დედა იღუმენიამ უწოდა „მაყვლოვანი“ და მისი რედაქტორობის პატივი წილად მხვდა. იგი ყველანაირად შეეწევა და ხელს უწყობს ჟურნალის გამოცემას; ცდილობს, სამეცნიერო-სასულიერო საქმე აღორძინდეს და სამომავლოდ, სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი, გულტურული საქმიანობა გაშალოს. ჟურ-

ნალში თანამშრომლობენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორებიც არიან ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი მარინე ცინცაბაძე, ისტორის მეცნიერებათა დოქტორი გაუა კიკნაძე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ბეზარაშვილი და სხვები.

დედა იღუმენიას ლოცვა-კურთხევით, მზადდება „ფსალმუნთა“ ახალი გამოცემა მეცნიერ ელგუჯა გიუნაშვილის ხელმძღვანელობით.

იღუმენია ქეთევანის ავტორიტეტი უაღრესად დიდია მონასტერსა და მრევლში. სავანეში მისი კურთხევის გარეშე არაფერი კეთდება; მონასტერში მომლოცველთა და სტუმართა ნაკადი არ ნელდება რომელთაც სიყვარულით იწყნარებს დედა იღუმენია.

ჟურნალი „მაყვლოვანი“ დიდი სიყვარულით ულოცავს დედა ქეთევანს იღუმენიობის 20 წლისთავს. ჟურნალის დღეგრძელობას, მზეგრძელობას და დიადი საქმეების აღსრულებას, დგთის სადიდებლად.


მარიამ ნიაური

ATONIS WMIDA MTIS VATOPEDIS WMIDA SAVANIS MILOCVA

ათონის წმიდა მთის ვატოპედის წმიდა სავანის მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა ეფრემმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანს.

ვატოპედის წმიდა და დიდი სავანის წინამდღვარი, არქიმანდრიტი ეფრემი, ეპისტოლეში აღნიშნავს: „გვსურს სულიერი სიხარული თქვენს დვოისმსახურებას გავუზიაროთ“ და აღდგომის ზეიმს – „სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევას“ ახარებს დედა იღუმენიას და მონატრის დედებს. აღდგომის მადლოსილებასთან ერთად, მისი მაღალდირსება ეფრემი ეპისტოლეში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს და თანამედროვე აპოსტასურ რეალობაზე გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მსოფლიო „სულ უფრო და უფრო შორდება დმერთს“ და რომ „თანამედროვე მსოფლიოში ამდენ უბედურებას აქვს ადგილი“.

ეპისტოლე ათონის წმიდა მთის ტკივილს უზიარებს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა სავანეს და მის წინამდღვარს, იღუმენია ქეთევანს, მიმართავს: „ილოცეთ, ქრისტეს მიერ საყვარელო იღუმენია, რათა შეიბრალოს აღდგომილმა ღმერთმა თავისი ქმნილება...“



ათონის წმიდა მთა. ვატოპედი.
ნეტარი მამა ოოსებ ვატოპედელი სულიერ შვილთან,
არქიმანდრიტ ეფრემთან ჯვარზე მთხვევისას

მის მაღალდირსებას მონაზონ ქეთევანს,
სამთავროს დედათა წმიდა სავანის
წინამძღვარს.

მაღალღირსო დედაო, ქრისტე აღდგა!

რადგან ლმრთის მოწყალებამ წელსაც ლირსი გაგვხადა გვედღესასწაულა სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევა, გვსურს სულიერი სიხარული თქვენს ღვთისმოყვარებასაც გაუზიაროთ. დღეს აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები: „აღსდგენ მკუდარნი და აღემართნენ მყოფნი საფლავთა შინა და იხარებდენ რომელნი იყვნენ ქუეყანასა ზედა“. ცხოვრებისა და აღდგომის შვილთათვის დღეს სიკვდილს ძალა გამოეცალა და ძილად იქცა. უწინ საშინელი საფლავები უკვე სარეცლებად იწოდება, რომლებზედაც „იქადოდიან წმიდანი და იხარებდენ“; სიკვდილის საზარელი იარაღი, ჯვარი გახდა „ძელი ცხოვრებისა“, ხოლო „თხემისა ადგილი“ – სამოთხე. „ღმერთმან შურისძიებისა“ გაგვიმხილა, რომ სინამდვილეში იგი მამაა ჩვენი და რომ ისე „შეიყვარა სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა რომელსა პრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნო“. სასუფეველი ცათა არა მარტო „მოახლებულ არს“, არამედ „შორის ჩვენთა არს“ და თავად მეუფეს სურს, რომ ვიყოთ „მის შორის და იგი ჩუენ შორის“.

ათონის წმიდა მთიდან, ჩვენი „საღმრთო
სახუმილავიდან“, ვადევნებო რა თვალს
მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ჩვენ-
და სამწუხაროდ ვხედავთ, რომ დღეს ადა-
მიანებს ავიწყდებათ ეს სასიხარულო
ცვლილებები, სულ უფრო და უფრო შორ-
დებიან დმერთს და უგულებელყოფებ მის
მაცხოვნებელ მცნებებს. განუწყვეტლად
საუბრობენ სიკვდილზე და ოშვიათად –
სიკვდილის მძლეველზე; აჩაღებენ ომებს
და ივიწყებენ, რომ უფალი, უპირველეს ყოვ-
ლისა, არის ღმერთი და მთავარი მშვიდო-
ბისა, და არა – ომისა. ბრძანებს მოციქული:
„ყოველმან შჯულისა გარდამავალმან და
ურჩმან მიიღოს საშჯელი კუალაძეგები-


სავ“ – ამიტომაც გხედავთ, რომ თანამე-
დროვე მსოფლიოში ამდენ უბედურებას
აქვს ადგილი. ხსნა, როგორც ყოველთვის,
მხოლოდ უფლისმიერ სინაზულ შია.

ილოცეთ, ქრისტესმიერ საყვარელ
იღუმენია, რათა შეიძრალოს დმერთმა
თავისი ქმნილება და ყველას მოგვანიჭოს
„ცრემლნი სინანულისა და აღსარებისანი“,
რომელიც ზეციერ მამას მიგვაახლოვებს
და სამყაროს აარიდებს მის სამართლიან
რისხვას.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გმად-
ლობთ იმ თბილი მასპინძლობისათვის,
რომელიც თქვენს წმიდა სავანეში სტუმ-
რობისას გაგვიწიეთ.


ჭეშმარიტად აღდგა უფალი!
ვატოპედის წმიდა და დიდი სავანის
წინამძღვარი

(არქიმანდრიტი ეფრემი)
და ჩემ თანა ქრისტესმიერი ძმანი



20 WELI IRUMENIAD

ოცი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ სვეტიცხოველში მოციქულთა ხსენების დღეს, 1991 წლის 13 ივლისს, იქადაგა და განუცხადა მრავალრიცხოვან მრევლს, რომ მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერს ახალი იღუმენია ეყოლებოდა.



იქვე გადასცა გამშვენებული ჯვარი და კვერთხი.

დედა ქეთევანი სამთავროში აღიკვეცა მონიზნად 1991 წლის 13 მარტს. მანამდე, თბილისში, საპატრიარქოში იყო ჯერ მორჩილი, შემდეგ კი – სამონოზნე, ნინოს სახელით. პატრიარქის სიახლოვეს ყოფნამ მას რწმენა განუმტკიცა და გააძლიერა. უპირველესად, მორჩილება ასწავლა. ამის დასტურია მამა გაბრიელთან დაკავშირებული ცნობილი ისტორია: ერთ დღეს, მამა გაბრიელი მონასტერის დედებთან ტრაპეზობდა. მან დედა ქეთევანს (მაშინ სამონოზნე ნინო) წყლიანი თასი მოატანინა და მასში სათოთაოდ ჩააბანინა ხელები, დედებს, შემდეგ კი ეს თასი დედა ქეთევანს მიაწოდა და უთხრა, რომ დაელია. დედა ქეთევანმა უყოყმანოდ შესვა ნაბანი წყალი. მამა გაბრიელმა იგი გულში ჩაიკრა.

საიდან დაიწყო დედა ქეთევანის მონასტრისკენ მიმავალი გზა? ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, რადგან მე მას სტუდენტობიდან ვიცნობდი. მაშინ, პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ვერავინ იუიქრებდა, რომ ეს ნიჭიერი და გონიერი ახალგაზრდა ფილოლოგი, რომელსაც ამ სფეროში წარმატებული კარიერის გაკეთება შეაძლო, „ეპლესიასტები“ მსგავსად დაასკვნიდა, რომ „ყოველი ამაო არს“ და რომ ერთადერთი ჰეშმარიტი გზა უფლის გზაა.

დედა ქეთევანი, ერობაში, იზოლდა კოპალიანი, ლექსუმში დაიბადა. მათ ოჯახში ექვსი და-მმა სიყვარულით და სიკეთით იზრდებოდა. იგი იყო ტყუპისცალი, ნაბოლარა. ბავშვობაში ხშირად სტუმრობდა ბებიას ბარდნალაში, ლადო ასათიანის სოფელში. დღემდე ახსოვს უდროოდ გარდაცვლილი პოეტის მამა, სევდიანი და მხრებში მოხრილი მექი. „რა კარგი იყო ბარდნალა...“ – წერდა ლადო. დედა ქეთევანმა შესანიშნავი ლექსი უძღვნა თანასოფლელ პოეტს.

ლექსების წერა დედა ქეთევანმა აღრევე დაიწყო. ის პოეზიის ენით საუბრობს საქართველოს გმირულ წარსულზე, წმინდანებზე, ლვოისა და მოყვასის სიყვარულზე, სათნოებაზე. იგი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მის ლექსებზე საგალობლები შექმნეს კომპოზიტორებმა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ღმერთო მაღალო“, რომელზეც ცნობილმა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ შექმნა საგალობელი. საქართველოსადმი და პატრიარქისადმი მიძღვნილი საგალობლები სითბოთი და სულიერებით აღავსებს მრევლს. დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა, ბიძინა კვერნაძემ, დედა ქეთევანის ლექსზე „საქართველო“ შექმნა ცნობილი ბალადა.

დედა ქეთევანი შესანიშნავად გალობს. იგი მონასტრის მგალობელ დედებთან ერთად მრავალ საგალობელს ასრულებს. იდუმენია თავისუფალ დროს სკვილებს ქსოვს. მას ვერასოდეს ნახავთ უსაქმოდ. იგი უმეტეს დროს ატარებს სენაკში, სადაც მოღვაწეობდნენ იდუმენია ზოილე, იდუმენია ანა, სადაც ბავშვობის წლები გაატარა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეს სენაკი დღემდე პატრიარქის სენაკად იწოდება.

იდუმენია ქეთევანის ავტორიტეტმა

მრავალ ადამიანს გაუხსნა უფლისკენ სავალი გზა. უპირველესად მისი ნათესავები გაყვნენ იღუმენის ნაკურთხ გზას. მონასტერში მოღვაწეობენ მისი და – დედა თეოდორა, და დისმივილი, დედა ნანა (ქუთათელაძე), ნიჭი-

საგალობელი „დმერთო მაღალო“
ტექსტი – იღუმენია ქეთევანისა,
მუსიკა – კომპოზიტორ იოსებ კეჭავმაძისა

ერი ხატმწერი, მრავალი ორიგინალური ხატის ავტორი.

დედა ქეთევანი მუდამ მაძიებელი, ახალი იდეებით ადსავსე ადამიანია. მისი უპირველესი საზრუნავი მონასტერია. იგი წერიგზე, ტიპიკონის ზუსტად შესრულებაზე, დედათა საყოფაცხოვრებო პირობებზე, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავს, რომ მონაზვნის როული ცხოვრება ყოფითმა პრობლემებმა არ შეაფერხოს და არ დაამძიმოს. ოფიციალური თუ არაოფიციალური პირი, მთხოვნელი, რჩევის საკითხავად მოსული, მადლიერი, შემომწირველი, დალხინებული თუ გაჭირვებ-

ული ადამიანი ელოდება იღუმენიას, მისგან რჩევას და ნუგეშს იღებს და დალოცვილი, ბედნიერი და კმაყოფილი მიდის. ბევრისგან გამიგონია, ბრძენი ადამიანია, ღირსეული დედა, სამთავროს იღუმენიათა ტრადიციების გამგრძელებელია. დედა ქეთევანის სურს, ის ოცნებები განახორციელოს, რაზეც მის წინამორბედებსაც უფიქრიათ, მაგრამ შეუფერებელი დროისა და გარემოებათა გამო მათი განხორციელება ვერ მოუხერხებიათ. იღუმენიას სურს მონასტრის მიმღებარე ტერიტორიაზე აშენდეს პატრიარქის რეზიდენცია, სასტუმრო, სასწეულო (ქსენონი) და სხვა სახის ნაგებობები.

ერთი წლის წინ დიდი ხნის ჩანაფიქრი განხორციელდა. პატრიარქს ოცი წლის წინ უბრძანებია, კარგი იქნება თუ გაზეთს გამოსცემს მონასტერიო. და აი, მოგვიანებით მონასტერში დაარსდა ჟურნალი, რომელსაც სახელი დედა ქეთევანმა შეურჩია – „მაყვლოვანი“, წმიდა ნინოს სავანეში დაბადებულ ჟურნალს უკეთესი რა უნდა რქმეოდა?!

დედა ქეთევანი, 2006 წელს დამსახურებული დვაწლისათვის, მეორედ დაჯილდოვდა მეორე ჯვრის ტარების უფლებით.

მონასტერში ყოველდღიურად მოდიან ახალგაზრდა გოგონები და სტუმრად დარჩენას ითხოვენ. ეცნობიან სამონასტრო ცხოვრებას, სწავლობენ მორჩილებას, განიმტკიცებენ რწმენას, ესწრებიან წირვებს და მამა ლაზარეს საინტერესო ქადაგებებს. ასე რომ, სამთავროში სამონასტრო ცხოვრება შეუფერხებლად მიედინება და მრევლიც ყოველდღიურად მრავლდება. აქ მათ ეგულებათ ისეთი სიწმიდეები, როგორიცაა წმიდა ნინოს მაყვლოვანი, ძელიცხოვლის ნაწილი, პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის მირიანისა და ნანას საფლავები, გაბრიელ ბერის სასწაულმოქმედი საფლავი.

**ჭილ. მეცნ. დოქტორი
შარლოტა კვანტალიანი**

QUTAISISADA QARTLIS MTAVAREPISKOPOSI TIMOTE GABASVILI

ტიმოთე გაბაშვილი XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა. მღვდელმთავრობასთან ერთად, იგი არის მოგზაური, მწერალი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი, დიპლომატი. ტიმოთე, გაბაშვილთა განთქმული გვარის წარმომადგენელი.¹ ტიმოთეს დაბადების ადგილი და წელი უცნობია. სავარაუდოდ, იგი XVII ს. მიწურულსაა დაბადებული ქართლში. 1729 წლამდე, ტიმოთე დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის ლავრაში მოღვაწეობს. აქ იგი დაუახლოვდა ბესარიონ ორბელიშვილს, რომელიც მწვავე ანტიმწვალებლური ტრაქტატის „გრდემლის“ ავტორია. ბესარიონი, 1730 წელს ქართლის კათალიკოსად აკურთხეს; ამავე დროს, ტიმოთეც ტოვებს წმინდა დავითის ლავრას და იმერეთში გადადის. რამდენიმე მწირი ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ძალიან მალე ის ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. ტიმოთეს ადრევე მიუქცევია იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის უურადღება. (1720-1752 წყვეტილად) ალექსანდრე V ვახტანგ V-ის კარზე იზრდებოდა და, ჩვენი აზრით, შესაძლოა, ტიმოთე მას უკვე ქართლშიც ყავდეს ნანახი და გაცნობილი. ალექსანდრე V ორმაგ დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა: ოსმალების მიმართ მაქსიმალურად მაამებდლური პოლიტიკის გატარებასთან ერთად, ვახტანგ VI-ის უშუალო მხარდაჭერით, მას რუსეთთანაც დაუმყარებია დიპლომატიური კავშირი.²

ჩვენი ვარაუდით, ტიმოთემ სწორედ იმიტომ მიაშურა იმერეთს, რომ მეფე ალექსანდრესთან, მას ადრევე ჰქონდა კავშირი და ახლა მისი მოწვევის საფუძველზე აღმოჩნდა თურქთაგან განადგურებული საქუთათლოს კათედრაზე. ამას მოწმობს როგორც მისი სწრაფი დაწინაურება ქუთათელ მიტროპოლიტად, ასევე ისიც, რომ რუსეთში მნიშვნელოვანი მისიის ხელმძღვანელად ალექსანდრე V-მ სწორედ ტიმოთე ამოარჩია. ტიმოთე, რუსეთის ოფიციალურ პირებთან მიმოწერაში არაერთხ-

ელ ახსენებს იმ ფაქტს, რომ მას გარდა წერილობითი გზავნილებისა, იმერეთის მეფისგან საიდუმლო ზეპირი დავალებაც ჰქონდა, ასეთ დავალებებს კი, მეფე ახლად გაცნობილ პირებს არ ანდობდა.

1737 წელს, შანშე ქსნის ერისთავთან ერთად, ტიმოთე რუსეთს მიემგზავრება. ტიმოთემ, რუსეთის იმპერატორ ანა იოვანეს ასულს, ალექსანდრე V-ის სათხოვარი წერილი წაუდო და სათხოვარს დასავლეთ საქართველოს საინტერესო რუკა დაურთო. ამ რუკაზე, დაწვრილებითაა აღნიშვნული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძვირფასი ლითონებისა და სხვა წიაღისეულის საბადოები, ოსმალთა ჯარის განლაგების პუნქტები და რაოდენობა და ამასთანავე, დატანილია ეკლესია-მონასტრები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რუკა თვით ტიმოთე გაბაშვილის ქმნილებაა.³ რუკის ასლი, თავის დროზე, რუსეთში საფრანგეთის კონსულს ჟ. ფრ. გამბას პარიზშიც უნახავს.⁴

1738 წელს ტიმოთე პეტერბურგში ჩავიდა. მან სხვა დიპლომატიურ საქმეებთან ერთად, წირვის აღსრულების უფლებაც მოითხოვა. მართლაც, თხოვნის პასუხად, ტიმოთეს ნება დაერთო ვასილის კუნძულზე, ანდრია პირველწოდებულის ტაძარში აღესრულებინა მღვდელმსახურება. ამავე ეკლესიაში, მას რუსი დიაკვანი დოროფეევი მღვდელად ხელდაუსხამს. 1739-1740 წწ. იგი პეტერბურგშია და სამშობლოში დაბრუნებას არ ჩეარობს. პირიქით, რუსეთის მთავრობას ნებართვას სთხოვს, იმერეთში რთული ვითარების გამო, კარგა ხანს დარჩეს რუსეთში. გაიცა უმაღლესი განკარგულება ტიმოთესთვის საცხოვრებელ ადგილად, მოსკოვის დონის მონასტერი გამოეყოთ. ამ შემოთავაზებაზე, ტიმოთე სახტიკ უარს აცხადებს და მზად არის, ასეთ შემთხვევაში, დაუფორებლივ იმერეთში დაბრუნდეს. საქმე ის არის, რომ მოსკოვის დონის მონასტერში, იმ დროისთვის, ვახტანგ VI-ის შთამომა-

ვლები ცხოვრობდნენ; ტიმოთემ კი, მათ წინააღმდეგ, ალექსანდრე V-ის წაქეზებით, საქმე აღძრა. ამის გამო, ცხადია, მათთან ცხოვრება ტიმოთეს არანაირად არ აწყობდა. თავის მხრივ, როდესაც რუსეთის სინოდი და საგარეო საქმეთა კოლეგია, ასეთ განკარგულებას გასცემდა, თითქოს დასცინოდა იმერეთის მეფის ელჩს.

1740 წელს ტიმოთე მართლაც უკან, იმერეთისკენ გამოემგზავრა. ალექსანდრე იმერთა მეფეს რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ „ოქროს ფარჩა“ და „სიასამურის ბეწვეული“ გამოუგზავნა, სხვა სერიოზულ სათხოვარზე კი (ჯარით დახმარება, ყოველწლიური სარგოს დაწესება და ა.შ.), დიპლომატიური უარი შეუთვალა.⁵

1740 წელს კე, სამშობლოში გამომგზავრებამდე, ტიმოთე მოსკოვს ეწვია. ფრაგმენტული ცნობის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ კრემლის დეკომისტულის მიძინების ტაძარში, მას სხვებთან ერთად, მონაწილეობა მიუღია სომეხი არქიეპისკოპოსის – მინასის მართლმადიდებლობაზე მოქცევის საეკლესიო ცერემონიალში.⁶

1740 წლის შემდეგ, ტიმოთეს ბიოგრაფიაში ერთგვარი სიცარიელეა. მის პირად წერილებში რუსეთის ოფიციალური პირებისადმი (მიმართვა ყიზლარის ციხის კომენდანტს, წერილი საგარეო საქმეთა კოლეგიას, თხოვნა წმინდა სინოდს), ტიმოთე თავის ბიოგრაფიას 1740-1762 წწ. შორის საქმაოდ განსხვავებულად და არაზუსტად აღწერს. ამ მიმართვებიდან ისე ჩანს, თითქოს ის 1740-დან 1762 წლამდე სამშობლოში არ დაბრუნებულად და ყიზლარის მახლობლად ჩერქეზებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, პირდაპირ იერუსალიმს და ათონზე გამგზავრებულად. ⁷ სხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ 1742-1749 წლებში ტიმოთე იმერეთშია და ქუთათელის ტახტზე ზის. საგარაუდოდ, 1749 წელს, ოსმალთა მომდლავრების გამო, ის ტოვებს იმერეთს და ქართლში გადადის. აქ ის ერთხანს, ეპარქიის გარეშეა დარჩენილი. 1749 წელს ანტონ I კათალიკოსი, ტიმოთეს ბოლნისის გაჩანაგებული და გაუქმებული ეპარქიის დალასა და კულუხს უბოძებს. ამ დრომდე, იგი კვლავ ქუთათელი მიტროპოლიტის წოდებას ატარებს. 1753 წლიდან კი, ტიმოთე უკვე თავის თავს „გორისა და

სამთავროს“ მიტროპოლიტს უწოდებს.⁸

1753 წ. 30 მაისის ერთ საბუთშიც ტიმოთეს „ქუთათელ მიტროპოლიტყოფილი, ქართლის მთავარეპისკოპოსი“ ეწოდება.⁹ აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოი-



1298. ვიწი გუას დორა. მახტა. სამთავროს მიტროპოლიტის სახლი და მთავარი ეკლესია. 1753 წ.

მცხეთა. სამთავრო.


XIX ს.

ჭრება, რომელზედაც, დღემდე, არც ერთ მკვლევარს არ გაუმახვილებია ყურადღება. 1753 წელს, ტიმოთეს, სამთავროს „დვორების ტაძარში“ მოსახსენებელი წიგნი გაუჩენია. ამასთან დაკავშირებით, ერთი კითხვა იჩენს თავს: ჯერ ერთი, დღევანდელი ვითარებით, სამთავროს მთავარი ტაძარი ფერისცვალების სახელობისაა, სამთავრისის კი – დვორებისა. ამასთანავე, უფრო ლოგიკური იქნებოდა ტიმოთესთვის ებოდებინათ გორისა და სამთავრისის ეპისკოპოსობა (თუნდაც გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით), ვიდრე გორისა და სამთავროსი. შეიძლება გვეფიქრა, რომ რუსული ენისა და ორთოგრაფიის გაცლენით, რომელიც უკვე შემოიჭრა საქართველოში, „სამთავრისი“ („სამთავრების“) „სამთავროდ“ („სამთავრების“) გადაიქცა, მაგრამ ამ აზრს ზოგიერთი გარემოება ეწინააღმდეგება. მათგან ერთ-ერთი ის არის, რომ ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: „მირიან, აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა, დვორებისა, სამთავრო“¹⁰ (ხაზი ჩვენია, ვ.კ.). ამგვარად, ვახუშტის მიხედვით, სამთავროს ტაძარი დვორების სახელობისაა. მეორე კი, ის არის, რომ არსებობს ამავე, 1753 წლის ცნობა, რომ სამთავრები მიტროპოლიტ ბენედიქტეს, სამთავრისის დვორების მონასტრისათვის ვერცხლით მოჭედილი სახარება შეუწირავს¹¹. ასე

რომ, შეუძლებელია, 1753 წელს სამთავისის მიტროპოლიტად ერთდროულად ორი პირი ყოფილიყო.

საბოლოოდ, საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, მაგრამ ჯერჯერობით, შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ტიმოთე გორის გარდა, მართლაც სამთავროს მიტროპოლიტი იყო.

1755 წელს, ტიმოთე გაბაშვილი ერეკლე II-სა და თეიმურაზ II-ის პირადი დავალებით, წმინდა მიწის და ათონის მიმოხილვისთვის მიემგზავრება. გარდა იმისა, რომ ტიმოთე სარწმუნოებრივი მიზნებისათვის იღწვის, ანუ მისთვის მართლაც



მნიშვნელოვანია იერუსალიმისა და ათონის მთის ყველა ქრისტიანისათვის სათაყვანო წმინდა ადგილების მიმოხილვა და მოლოცვა, მას გარკვეული დიპლომატიური დავალებებიც ჰქონია. ამ საქმეში ტიმოთეს დიდ დახმარებას უწევდა მრავალი ენის ცოდნა. მაგალითად, მან ძალიან კარგად იცოდა თურქული ენა, მეტნაკლებად კი: რუსული, სომხური და ბერძნული ენები. ტიმოთემ ოსმალეთი სხვადასხვა მიმართულებით გადასერა, კონსტანტინოპ-

ოლში კი, შვიდი თვე დარჩა.¹² გზაში, წმინდა ადგილების გარდა, ის დაწვრილებით აღწერს და ინიშნავს გზებს, ქალაქებს, ციხე-სიმაგრეებს, ნაგსაღგურებს, წიაღისეულის საბადოებს და ა.შ. მას აინტერესებს ქართული კვალიც, და თუ სადმე, ამ მხრივ საინტერესოს წააწყდება, საგანგებოდ აღნიშნავს. სწორედ დიპლომატიური ცნობები გადასცა ტიმოთემ სტამბოლში შეხვედრილ ქართველებს (სოფ. ალი-დან). ამ გზით, ჯერ კიდევ მოგზაურობის დამთავრებამდე, ზეპირი გზავნილი გაუგზავნა ერეკლესა და თეიმურაზს. 1755 წელსვე, ის ათონის წმინდა მთაზეც მისულა. ამას ივერიის ქართველთა მონასტერში დაცული XI საუკუნის ქართულ ხელნაწერზე არსებული ხუცური მინაწერი გვამცნობს: „ღმერთო მაღალო და ხატო დიდებულო პორტიტისათ! შეიწყალე ქუთათელ-ყოფილი და არქიეპისკოპოსი ქართლისა ტიმოთე (გაბაშვილი), რომელიც მივიწიე მთასა ამას, მონასტერსა ქართველთასა. ქორონიკონი იყო – უმგ (1755)“¹³

ტიმოთემ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში ბევრი ისეთი ფრესკა აღწერა და შეძლებისდაგვარად გადმოიხატა, რომლებიც შემდგომში, არც ერთ მოგზაურს აღარ უნახავს (მათ შორის შეიძლება დასახელდეს: მირიან მეფის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მეფის პორტრეტები). ტიმოთემ ამ მოგზაურობის ვრცელი და ძალიან საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა, რომელსაც „მიმოსლვა“ ეწოდება.

1759 წელს ტიმოთე ქართლში ბრუნდება. სამწუხაროდ, ცნობები მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება. ქართლში მას არეული სიტუაცია დახვდა. კათოლიკოს-პატრიარქ ანგონ I-ის გარშემო გაურკვეველი სიტუაცია სუფევდა. ანგონი იძულებული შეიქნა საქართველოდან გადახვეწილიყო. ტიმოთე, თავის მოგზაურობის ბოლო ნაწილში, საერთოდ არაფერს ამბობს ქართლში შექმნილი სიტუაციის შესახებ, რაც აშკარად გამიზნულადაა გაკეთებული, რათა თავი აარიდოს გაუგებრობებს. როგორც ჩანს, ქართლში არეული სიტუაციის გამო, რის შესახებ მან ათონზევე შეიტყო, ტიმოთეს ათონის ივერიის მონასტერში სქემის შე-

მოსვა გადაუწყეტია, მაგრამ შემდეგ, იერუ-
სალიმში ჩასულს გადაუფიქრებია.

ქართლში ტიმოთეს ეპარქია ადარ
დაუბრუნეს და ის იძულებულია, კვლავ,
როგორც მოღვაწეობის დასაწყისში, დავით
გარეჯის ლავრას შეაფაროს თავი. 1761
წელს, ტიმოთე გაბაშვილი, ამჯერად საბო-
ლოოდ, ტოვებს საქართველოს და ოუსეთს
მიემგზავრება. 1762 წელს იგი ყიზლარ-
ში ჩადის და ადრე ნახსენებ მოხსენებით
ბარათებს გზავნის რუსეთის სახელმ-
წიფო მოხელეებთან და ოფიციალურ
დაწესებულებებში. 1763 წელს, რუსეთის
მმართველებმა მას ნება დართეს ასტრახ-
ანში ეცხოვრა და ემოდვაწა. 1764 წელს
კი, ტიმოთეს და მის თანმხლებ პირებს,
რუსეთის სინოდი გარკვეულ ჯამაგირსაც
უნიშნავს. სინოდისთვის მირთმეულ ახალ
განცხადებაში, ტიმოთე ჩივის ასტრახ-
ანის ჰავის მაგნებლობაზე და თავის მძიმე
ფიზიკურ მდგომარეობაზე. საქართველო-
დან განდევნილი მიტროპოლიტი ითხოვს
ნება მისცენ, სადმე სხვაგან იცხოვროს.
1764 წლის ივლისში, რუსეთის სინოდი
მართლაც ნებას როთავს ტიმოთე გაბაშ-
ვილს მოსკოვში გადასახლდეს; მაგრამ
იმავე წლის ივლისის ბოლოს, ტიმოთე
გარდაიცვალა და 29 ივლისს (ძვ.სტ.) ას-
ტრახანის მიძინების ტაძარში დაკრძა-
ლეს მრავალი ქართველი საეკლესიო თუ
საერო პირის გვერდით. ასე დასრულდა ამ
მრავალტანჯული და მრავლისმნახველი
მიტროპოლიტის ხორციელი ცხოვრება...

ტიმოთე გაბაშვილმა „მიმოსლვის“ გარ-
და, ორიოდე სხვა თხზულებაც დაგვიტოვა.
მანვე კომენტარი დაურთო და გადაწერა
რამდენიმე ფილოსოფიური და თეოლოგი-
ური ნაწარმოებიც. ტიმოთეს ნაწარმოებთ-
აგან ერთ-ერთია ქრისტიანული დოგმატი-
კის საცნობარო წიგნი „მარწუხი“ (XVIII
ს-ის 50-იანი წლები); მას შეუქმნია აგრეთვე
„გარდამოცემული ერთობისათვის და
წმინდათა ეკლესიათასა...“ – დოგმატურ-
კოლემიკური თხზულება; მისი ბოლო
ნაწარმოებია: „დღესასწაულისათვის უფ-
როსად კურთხულისა და დიდებულისა
დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა
მარიამისა“; ეს თხზულება ღვთისმშობ-
ლისადმი (და ქრისტე მაცხოვარისადმი)
საქართველოს გადასარჩენად აღვლენილ

ვრცელ ვედრება-გალობას წარმოადგენს.
სწორედ ამ „ვედრებიდან“ მოხმობილი
მცირე ნაწყვეტით გვსურს დავამთავროთ
ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრებისა და
მოღვაწეობის ეს მცირე მიმოხილვაც, მით
უფრო, რომ ტიმოთეს, ამ სავედრებლისთ-
ვის, მარჯვენა აშიაზე მიუწერია: „... (ოდეს)
სამთავროსა, მწუხარებისთვის პარაკლისი
იხდებოდეს, ბოლოს ეს ლოცვა მიაბან“,
(ქარაგმების გახსნით):

„ვითარცა დედოფალმან, მხევალი
ნინო მოგვივლინა მისთა წილხვდომ-
ილთა ამათ და მოგვაქცივნა წარმართო-
ბისაგან... რომელმან დვაწლით შემოსილი
წმინდა მოწამე გიორგი მოგვანიჭე ზედა-
მდგომელად და ნაწილთა და სასწაული-
თა მისითა აღვსილი არს ქვეყანა ჩვენი...
რომელმან მცველად და ცხებად, წყაროდ
ცხოვრებისად მოგვმადლე აქა კვართი
შენი საუფლო, და უხრწნელისა ქალწუ-
ლისა სამოსელი და სარტყელი საუნჯეთ
წარუპარველად [მოჰმადლე] ქვეყანასა
ჩვენსა... და ნუ გულისწყრომითა გვამხი-
ლებ ჩვენ და ნუმცა რისხეითა შენითა მს-
წავლი ჩვენ!“


ისტ. მეცნ. დოქტორი
ვაჟა გიგაძე

გამოყენებული ლიტერატურა:

- კ. კავკაციური, დელი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 356.
- ქ. ჩხატარაძეშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 462.
- ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“, თბ., 1956, გვ. 089-095.
- ქ. ფრ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I გამოსცა მ. მგალობლიუმისათვის, თბ., 1987, გვ. 102.
- ელ. მეტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 097-098.
- ლ. მელიქშეთ-ბეგი, ქუთაოულ ტ. გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მომბეჭ, ტ. 1, №8, გვ. 638.
- ელ. მეტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 0100-0114.
- ქრონიკები, შეკრებილი ო. ჟორდანიას მიერ, ტ. III, თბ., 1967, გვ. 223.
- ქრონიკები, ტ. III, გვ. 225.
- გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხ., ტ. IV, თბ., 1973, გვ. 348-349.
- ქრონიკები, ტ. III, გვ. 228.
- კ. კიბაძე, სტაბოლი და აია სოფია ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში, ჟურნალი „ფიროსმანი“, 2009 №9, გვ. 26-27.
- ქრონიკები, ტ. III, გვ. 235.

GRIGOL ORBELIANIS WERILI

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში აღმოჩნდა პოეტ გრიგოლ ორბელიანის დღემდე უცნობი ბარათი, რომელიც ვახტანგ ორბელიანისადმია მიწერილი; წერილი კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ორბელიანთა წარჩინებული გვარის წარმომადგენლები მუდმივად და აქტიურად ერთვებოდნენ მშობლიური ქვეყნისა და ერისათვის საჭირობოობო, მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებში.



ჩემო ბატონო, ბიძიავ ვახტანგ.

მერე:

ამ ბარათს მოგარომეეს ყმაწვილი კაცი კარბელოვი, რომელმანცა დაასრულა კურსი სემენარიაში და არის დიდად კარგი მცოდნე ქართულის გადამისა... ეს ის გახდავთ, რომელმანცა მშვენივრად წარმოჰსოდა სიტყვა მცხეთის სობოროში განსვენებულის ირაკლის დამარხვაზე.

ახლა ამის დარღვები თვით ამანვე მოგახსენოს და მეც ამას გთხოვ სულით, გულით, რომ მისცეთ შემწეობა თქვენის ქალის, მაშას წინაშე, რომ დვორიანოვის კომიტეტში მაშამ ამის მხარე დაიჭიროს და მით დამკვიდრდეს ქართული გალობა საქართველოში შეუცელებლად და შეურევნელად.

მარადის თქვენი მიწა და ერთგული
თ გრიგოლ ორბელიანი
8 ივნისი 1883.

მხცოვანი პოეტის წინამდებარე წერილი მის კეთილსა და მოუსვენარ ბუნებაზე, ქველმოქმედებაზე და მამულზე ზრუნვის მარადიულ სურვილზე მეტყველებს.

გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის ბიძას, ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ ორბელიანს თხოვს, შეეწიოს, კარბელაშვილთა, სიმღერა-გალობით საქართველოში განთქმული გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ვასილ კარბელაშვილს, რათა შუამდგომლობა გაუწიოს „სათავადაზნაურო კომიტეტში“.

ბარათში მოხსენიებული „ყმაწვილი კაცი კარბელოვი“ იმ დროისათვის უკვე

სემინარიადამთავრებულია და გალობის „კარგ მცოდნედ“ ითვლება. სწორედ მან, როგორც ეს გრიგოლ ორბელიანის ბარათიდან ირკვევა, „მცხეთის სობოროში“ განსვენებული ირაკლის დამარხვაზე, სამგლოვიარო გალობა შეასრულა...

ლოგიკურია ის ფაქტიც, რომ მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა დახმარებისათვის სწორედ დიდ მამულიშვილს გრიგოლს მიმართა, რომელმაც თავის მხრივ, ეროვნულ მოღვაწეებთან ბიძას და ბიძაშვილთან, ვახტანგ და მარიამ ორბელიანებთან უშუამდგომლა.

ქართული საეკლესიო გალობის გადარ-

ჩენისთვის ზრუნვა XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში კიდევ უფრო გაცხოველდა, რადგან საეკლესიო მუსიკალური მემკვიდრეობის დაკარგვის გარდაუვალი საფრთხე აშკარად გამოიკვეთა; დაპყრობილი და უფლებააყრილი ქართული ეკლესია ვედარ პატრონობდა ერის საგანძურს. მისი უმდიდრესი ქონება რუსი ბიუროკრატების ხელში აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს უფლებააყრილი სამდვდელოება მაინც ახერხებდა ქვეყნის გადაშენება-გადაგვარების მოსურნეთათვის წინააღმდეგობის გაწევას. ქართული გალობის გადარჩენა – აი რა გახდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი კულტურის მესკეურთა მიზანი. სათანადოდ იყო გაცნობიერებული გალობის არსი, რაობა და მნიშვნელობა, როგორც ერისა და ეკლესიის მორალურ-პოლიტიკური ძლიერების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

ვინ იყვნენ ეს ორბელიანები, ვინც ასერიგად გაითავისა საგალობლების შეკრება-ადგენა-გადარჩენის პრობლემა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, თვით გრიგოლ ორბელიანის შემდეგ, ვახტანგ ორბელიანი, მისი ასული მარიამი (მაშო), ალექსანდრე ორბელიანი და იოსებ ორბელიანი.

გრიგოლ ორბელიანი 62 წელი იმსახურა კავკასიის მხედრობის უწყებებში და იმორჩილებდა ლეგებს დადესტნის მაღალ მთებში: „ხოლო ომის დაცხოობისა და ზარბაზნების ქუხილის“ შეწყვეტის შემდეგ კი, უმაღლ კარავშივე მიუჯდებოდა მაგიდას და ბარათებში ნათესავ-მეგობრებს აუწყებდა მეამბოხე აულების დალაშქრისა და მურიდების ამოხოცვის შესახებ... „ყველაფერი ეს კახეთის სისხლის დადაღისიარ“ – წერდა მათ გრიგოლი¹.

ბრძოლაგამოვლილ რომანტიკოს პოეტს XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაუმდაფრდა სევდა სამშობლოში შექმნილი მძიმე რეალობის გამო:

„თავად-აზნაურობა დაემხო, ქართული წირვა-ლოცვა და გალობა შემცირდა, ძველებური კარგი ზენე და ხასიათი ქართველი კაცისა და ქალისა დაიკაგა“ – წერდა იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის

შესახებ დაწერილ თავის მონოგრაფიაში². მაგრამ ცხოვრების სიყვარული და ჯანსაღი ადამიანური ხალისი არასოდეს ჩამქრალა წლებით დამძიმებულ ბერიკაცში³.

თადარიგის გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა არც შემდგომ შეანელა აქტიური ცხოვრების რიტმი: სწორედ ამ „ბერიკა-



გრიგოლ ორბელიანი

ცის“ მიერ ბიძაშვილისადმი, მარიამ (მაშო) ორბელიანისადმი, ზემოთხენებული სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნის შემდეგ დაიწყო რეალური ნაბიჯების გადადგმა ქართული საგალობელის გადასარჩენად – წინამდებარე გამოუქავენებელი წერილი ერთგვარ ე.წ. „სასტარტო“ წერილად ითვლება, რაც ცოტი მოგვიანებით მნიშვნელოვანი რეალური შედეგებით დაგვირგვინდა.

ქართული გალობის „შკოლის“ გახსნიასთვის, გრიგოლ ორბელიანი ფინანსურადაც ზრუნავდა. აი რას წერდა ამის თაობაზე 1878 წლის გაზეთი „დროება“ (№180, გვ. 3):

„აღმოჩნდნენ თბილისში ისეთი კეთილი პირი, რომელნიც ზრუნავენ ამჟამად ქართული გალობისათვის, არ ზოგავენ ამ კეთილი საქმისათვის ფულად შესაწირავს, ოღონდ გაიმართოს ქართული გალობის შკოლა.

ამ სექტემბრის 3-ს თავად ორბელიან-

1. აპ. გაწერებია – „გრ. ორბელიანი“, თბ. 1950 წ. გვ. 8-9.

2. მეუნარგია – „ქართ. მწერლ.“ 1954 წ. გვ. 99-100.

3. ასათიანი – „გრ. ორბელიანი“, ნარკვევები, 1946 წ. გვ. 42.

თა ეპლესიაშიდ იყვნენ მოწოდებულნი ქართული გალობის მცოდნე პირნი: გურული მღვდელი მაქსიმე ჩხატარაშვილი და უფროსი კარბელაშვილი, შესადარებლად იმისა, თუ რომლის გალობა იქმნება უმჯობეს, ნოტებზედ გადასატანად, ანუ ყურთა სმენისათვის საამო. აქ დაესწრნენ გენერალი გრიგოლ ორბელიანი, გენერალი იოსებ ორბელიანი, არხიმანდრიტი მაკარი და სხვა.

წირვის შემდეგ თავადმა გრიგოლ ორბელიანმა მიიპატიუა ჩაიზედ ყველანი და დიდი მადლობა გადაუხადა, ამ საქმის მზრუნველობისთვის „არხიმანდრიტ მაკარის და აღუთქვა შემწეობა.⁴“


გაზეთი „დროება“ ხშირად აშუქებდა გალობის თემას, მის პრობლემებს, აღმავლობისა და შეფერხების სხვადასხვა ეტაპებს. 1878 წლის №143 ნომრის მე-3 გვერდზე ვაითხულობთ:

„ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის II ნახევარში ერეკლე II დაინტერესებულა საეკლესიო მგალობელთა საქმიანობით და სასულიერო პირთათვის გაუხსნია „მშვენიერი შეოლა, სადაც დახელოვნებით სწავლობდნენ ქართულ გალობასა და მწიგნობრობას.“ ამ „მშვენიერი შეოლის“ კურსდამთავრებულ მოწაფეთა შორის იყვნენ: გერონტი I, ბიძინა არქიმანდრიტი, პატარა გერონტი II, რომლისაგანაც გრიგოლ კარბელაშვილს (ვასილის მამას) უსწავლია გალობა. იგი იყო ბრწყინვალე მგალობელი და საქმაოდ განსწავლული ადამიანი.

1861 წელს კიდევ ერთი ორბელიანი, სახელად, ალექსანდრე, იღწვოდა ქართული საგალობლების გადასარჩენად. აირას წერდა იგი 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში, სათაურით: „ივერიანელთა სიმღერა – გალობა და ლილინი“: „ნუ დაივიწყებო თქვენი მამაპაპის ეკლესიების გალობას, რომელიცა ეს ხმა მოგვაგონებს ჩვენს კეთილსა და ქრისტეანობრივსა ნამდვილსა“.

ცნობილია გრიგოლ ორბელიანის დაპირისპირება „თერგდალეულებთან“, რაც საქართველოს ისტორიაში „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელითაა შესული: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, გ. წერეთელთან და რუსეთში სწავლამიღებულ და სამშობლოში სამოღვაწეოდ

4. გაზეთი „დროება“, №180, გვ 3.



მღვდელი ვასილ კარბელაშვილი
შემდგომში ეპისკოპოსი

დაბრუნებულ სხვა ახალგაზრდებთან; განსხვავებული იყო ე.წ. „მამებისა და შვილების“ აზრები და შეხედულებები პოეზიაზე, საერთოდ მწერლობაზე, ლიტერატურის დანიშნულობაზე, მწერლობისა და საზოგადოების ურთიერთობაზე.

სხვადასხვა თაობის წარმომადგენლობა ყველაზე კოლორიტული სახეების ურთიერთპოლემიკას ფართო გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში. ერთადერთი, რაშიც აბსოლუტური თანხვედრა პქონდათ დაპირისპირებულ მხარეებს, ეს იყო დვთისმსახურების საკითხი და ის, რაც საგალობლების გადარჩენას ეხებოდა.

საგალობლების აღდგენის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი და პეტრე უშიკაშვილი; ისინი ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილებში აღნიშნავდნენ, რომ „გალობა მხოლოდ ეკლესიის საკუთრება კი არ არის, არამედ ხალხისაცო.“⁵ „ქართული გალობა... ხალხის კილოზე შემუშავდა და ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ტაძრებში და მეჯლისებშიაც კი გაისმოდა“⁶

აი რას წერდა წმიდა ილია მართალი

5. გაზეთი „ივერია“, №39, 1878 წ.

6. ეთ. ლონდარიძე „ფილიმონ ქორიძე“, 1993 წ. გვ. 30-31.

(ჭავჭავაძე) ქართული გალობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ: „გალობა ისეთივე მოთხოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა, როგორც ცრემლი, როცა კაცი ან პერობს ან პოდებს, როგორც კვნესა,— როცა გული მხიარული და ბედნიერია.“

ძლიერ უთანაგრძნობდა ქართული გალობის აღდგენის საქმეს აკაკი წერეთელიც. მან 1884 წლის 22 თებერვალს გაზეთ „დროების“ №40-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „რამოდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგინების შესახებ“: „კომიტეტს (იგულისხმება „სათავადაზნაურო“ ანუ „დვორიანსკი კომიტეტი“ - ნ.ა.) თუ გულწრფელად პეურს გალობის აღდგინება, უნდა აირჩიოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერთო კილომეტრს, თვითონაც შეისწავლის; ნამეტანი, რაც შეპარვია გალობას – გამორიცხოს, რაც აკლია – შეაგსოს, აღადგინოს ნელ-ნელა, აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს: ამგვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვაო“⁷ – წერდა აკაკი.

გრძნობდა რა საგალობლების გადარჩენის აუცილებლობას, ქართველი ინტელიგენცია ეძებდა ისეთ ადამიანებს, ვინც ერთგულად, თავდადებითა და მაღალპროფესიონალიზმით მიუდგებოდა ამ როულ, საპატიო და საშვილიშვილო საქმეს; სწორედ ამგვარ პიროვნებებად იქნენ მიწნეულნი კარბელაშვილები – „კარგი გალობით განთქმული გვარის წარმომადგენლები“.

ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი (1858-1936წ.) და მისი ძმები – ფილიმონი, ანდრია, პოლიეკტოსი და პეტრე, ქართულ საგალობლებში ფრიად განსწავლულნი იყვნენ.

1867 წელს მშობლებმა ისინი სასწავლებლად გორიდან თბილისში ჩამოიყანეს. ძმებმა თბილისის სემინარიიდან დაიწყეს ქართლ-კახური სიმღერა-გალობის გავრცელება. ვასილმა თბილისის სასულიერო სემინარია 1882 წელს დაამთავრა და მარიამ (მაშო) ვახტანგის ასულ ორბელიანის მორალური და ფინანსური თანადგომით

გაემგზავრა მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად. მუსიკას პროფესორ კაშკინის ხელმძღვანელობით სწავლობდა. მისი სურვილი იყო სრულყოფილ შეესწავლა სამუსიკო დამწერლობა, რათა საერო სიმღერები და საეკლესიო საგალობლები ნოტებზე გადაეტანა.... მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვასილ კარბელაშვილი დროზე დაბრუნდა სამშობლოში, სადაც წმიდა ბარბარეს ეკლესიაში, დიაკვნად დაადგინეს.

ანტიმპერიალისტური პოლიტიკის მომხრე ვასილ კარბელაშვილი და მისი ძმა პოლიეკტოსი, კირიონ საძაგლიშვილის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი, ბუქარესტში გამომავალ ჟურნალში „Праваславный Восток“-ში თანამშორმლობდნენ და ხელს უწყობდნენ მის არალეგალურად გავრცელებას საქართველოში. ჟურნალი განსაკუთრებული ანტიმპერიალისტური მიმართულებით გამოირჩეოდა, სადაც მკაცრად იყო მხილებული საქართველოს ეგზარქოსის და სხვა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკის ჭეშმარიტი არსი.

ვასილ კარბელაშვილი თავის თანამოაზრე მეგობართან და მეუღლესთან, მარიამ ჩიჯავაძესთან, ერთად შემახაში (დღევანდელი აზერბაიჯანი) გადაასახლეს.

გაზეთი „დროება“ 1884 წლის №41-ში (გვ.3) „ცოტა გალობის მცოდნეს“ ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში „წერილი რედაქტორთან“ ისევ და ისევ კარბელაშვილთა შესახებ წერს: „ეხლა ქართლ-კახეთში კარბელაშვილებზედ უკეთ თითქმის არავინ იცის გალობა. ისიც კარგად იციან, რომ ესენი გალობის საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ. ერთმა მათგანმა, მგალობელმა პოლიეკტოსმა (ვასილის ძმამ) გამოუცხადა კიდეც სამღვდელოების კრებას თავისი სურვილი: „მზად ვარ ჩემი შრომა შევწირო საზოგადო ინტერესს და არავითარი ფასის აღება არ მინდა გალობის საქმეშიო“.

კარბელაშვილთა გვარის ეროვნულსა და საღვთო მისიაზე წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1897 წ. №137, 9 მარტი), სათაურით „ქართლ-კახური გალობის ნოტები“.

„კარბელაშვილი გვარი ერთადერთი გვარია

7. გაზეთი „დროება“ 1884 წ. № 40. 22/II.

მთელს ქართლში, რომელშიც სისრულით დარჩენილა ქართული საეკლესიო გალობა და, რასაკვირველია, მისთანა კაცისგან ნოტებზედ გადაღება მით უფრო საჭირო იყო, რომ საზოგადოდ მივიწყებულია და



მარიამ ორბელიანი

ახლა, რასაკვირველია ნოტების დახმარებით ეს ნაკლი შეიგვება და გალობაც გავრცელდება.

დიდი ხნის სანუკვარი ოცნების ახდენას იუწყება 1897 წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“: „ჩვენ მივიღეთ ქართლ-კახური გალობის ნოტების კრებული, რომელ-შიაც მოთავსებულია „მწუხარი“ ე.წ. „კარბელაანთ კილოზე“, გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ. „კარბელაანთ კილოს“ გალობა განთქმულია ჩვენში... ეს წყნარი, აუჩქარებელი, დინჯი, შეუდრევალი, გულმხურვალებით ადსავსე გრძნობა-ვედრება უზენაესისადმი, მთელი საუნჯეა ქართველი ერისა, მისთვის დაშვრნენ ჩვენი სულმნათნი წინაპარნი, მანი წმიდა საბა განწმედილის ლავრისა: იოანე, გიორგი, იოანე მტბევარი, კათოლიკოსი არსენ იყალთოელი და მრავალი სხვა... დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ... სულიერი საუნჯე ჩვენი ინახებოდა ჩვენს მონასტრებში, სადაც ბერობა და სასულიერო მწერლობა აყვავებული იყო“⁸ – წერდა მამა ვასილ კარბელაშვილი ნოტების კრებულის წინასიტყვაობაში.

8. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897 წ. №227. (გვ.1-2).

გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სტატიაში წერილის ავტორი მიანიშნებს გალობის „ნელ-ნელა დავიწყების მიცემის“ მიზე-ზებზე, რაც უპირველესად, საქართველოს რუსეთთან შეერთებითაა განპირობებული. „გარნა დრონი იცვალნენ; მონასტრული ცხოვრება შემცირდა, შემცირდა თვით გუნდი ბერებისა, ამ დაუდალავ მშრომელ მოღვაწეთა, ჩვენის ეკლესიის დიდებისა და აყვავებისათვის თავდადებულთა. მათ შემცირებასთან ერთად ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ის ტკბილი ქართლ-კახური ლილინი, რომლითაც ქართველები ეკლესიაში ადავლენდნენ ხოლმე ზეცად თვისს გულმხურვალე ლოცვებსა, ავედრებდნენ უზენაეს თვისს სამშობლოსა.

ეს ტკბილი-ლილინი გალობა მხოლოდ კარბელაანთ გვარში დარჩა. ამ გვარის წარმომადგენელნი დღეს ოთხნი მმანი კარბელაშვილები არიან. მათში მტკიცედ არის დაცული ზემოხსენებული კილო გალობისა. იმათგან ერთმა მმამ, მამა ვასილ კარბელაშვილმა, იმდენი ამაგი დასდო ქართველობასა, რომ განსაცდელი ააცდინა ქართლ-კახურის გალობის კილოსა – გადაიღო ნოტებზე“⁹.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში კიდევ უფრო ფართოვდება საგალობლებზე ზრუნვის არეალი. 1890 წლის 17 აპრილის (№79) ნომერში გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „ტფილისის სამღვდელოების ახალი ბლადოჩინი მამა სოლომონ შოშიაშვილი ძალიან ცდილობს ეკლესიების გაუმჯობესობას და ხშირად პმართავს სამღვდელოების კრებას ყოველნაირ საეკლესიო საჭიროებაზედ მოსალაპარაკებლად.

პირველ კრებაზედ ბლადოჩინმა აუხსნა მღვდლებს, თუ რამდენად საჭიროა, ყველა ეკლესიის დიაკვანმა იცოდეს კარგი გალობა, რომ ეკლესიაში ცუდის გალობით მღვდლავთ სასოება არ დაეკარგოთ. ეს აზრი ბლადოჩინისა მღვდლებმა მოიწონეს და დაავალეს მღვდელ ვასილ კარბელაშვილს, ესწავლებინა დიაკვნებისათვის გალობა და გასამრჯელო დიაკვნებისგან თვეში თითო მანეთი აეღო.

ეგზარქოსმა უკვე ნება დართო და ახლა დიაკვნები იკრიბებიან ავლაბრის

9. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, №227, (1-2). 16 ივნისი.

წმიდა მარინეს სამრევლო სკოლაში ოთხ-შაბათობითა და პარასკეობით, საღამოს 7 საათზედ და იქ მდგდელი კარბელაშვილი ასწავლის გალობას. გარეშეთაც, ვისაც ჰსურს გალობა ისწავლოს, შეუძლია იაროს დანიშნულს დროს... არ იქნება ურიგო, სხვა ძმებმაც მიპარონ ვასილ კარბელაშვილს, თავიანთ საბლაფოჩინოშიაც შეკრიბონ დიაკვნები და ასწავლონ რიგიანი გალობა.

ძმანი კარბელაშვილები მდგდლები არიან სხვადასხვა ადგილას: კახეთსა, ქართლსა და ტფილისში. თუ განსვენებული მათი მამა, მარტო ერთი კაცი ცდილობდა ყოველგან გაევრცელებინა გალობა, ახლა მისი შვილები განახორციელებენ მამის აზრს.

P.S. უნდა აღინიშნოს, რომ კარბელაშვილები მთელი ცხოვრება იბრძოდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსაღენად.

ამრიგად, 1896-1898 წლებში უდიდესი შრომისა და თავგანწირვის ფასად, ვასილ კარბელაშვილმა გამოსცა „ქართლ-კახური“ საგალობლების I კრებული. დაიბეჭდა და დღის სინათლეზე გამოიტანა აგრეთვე ქართული სასულიერო მწერლობის უძველესი ნიმუშები.

1900 წელს გაზეთი „დროება“¹⁰ უკვე მადლიერებით მოიხსენიებს იმ ადამიანებს, ვინც ითავა „საგალობლების ნოტებზე დაწერა“. სამადლობელი სტატიის ადრესატები არიან: ფილიმონ ქორიძე და ვასილ კარბელაშვილი, იპოლიტოვივანოვი (ვინც „წირვის წესი“ დაწერინა).

„იმედია შთამომავლობა ამ მოღვაწეთა შრომას დირსეულად დააფასებსო“ – წერდა გაზეთი „დროება“.

ცალკე აღნიშვნის დირსია მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის წვლილი, შეტანილი ქართული საგალობლების გადარჩენის საკითხში, რადგან გრიგოლ ორბელიანის თხოვნით, სწორედ მისი თაოსნობითა და ფინანსური მხარდაჭერით გაემგზავრა ვასილ კარბელაშვილი მოსკოვის კონსერვატორიაში სასწავლებლად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოში არ ყოფილა არც ერთი პროგრესული და მნიშვნელოვანი მოვლენა, რაშიც აქტიური წვლილი არ შეეტანა მარიამ (მაშო) ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს.

გამოჩენილი ქართველი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის ასული, მარიამ (მაშო) (1852-1941წ.). მეფისნაცვლის ადიუტანტის, ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანის მეუღლე იყო.

ამრიგად, ქართული სასულიერო მუსიკალური განძის – საგალობლების აღზევების მიზნით, გრიგოლ ორბელიანის ხელით დაწერილ ამ პატარა ბარათში, ეპოქალური მნიშვნელობის ოთხი საზოგადო მოღვაწის გვარია აღნუსხელი, ესენია: **გრიგოლ ორბელიანი**, კეთილი ქველმოქმედი პოეტი, ვინც თავისი გულისხმიერებით ცდილობდა ახალგაზრდა მდგდლის წარმართვა-დაკვალიანებას. (როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადპყვეს, სწორედ აქედან დაიწყო ქართული საგალობლების გადარჩენის სანუკვარი იდეის პრაქტიკულად განხორციელება); გამოიკვეთა ეროვნული საქმის ორი დიდი ქომაგის: **მარიამ (მაშო) ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანისა და მისი მამის, რომანტიკოსი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის პიროვნული ღვაწლი.**

... და ბოლოს, „ქართული გალობის კარგი მცოდნე“ – ვასილ კარბელაშვილი, ვინც თავისი საქმიანობით რეალობად აქცია გრიგოლ ორბელიანის მიერ ბიძისადმი მიწერილ ბარათში ჩაქსოვილი უდიდესი ნატერა... და მართლაც, ამის შემდგომ აღორძინდა და საბოლოოდ „დამკვიდრდა ქართული გალობა საქართველოში, შეუცვლელად და შეურყეველად.“....

ნინო არჩვაძე

10. გაზეთი „დროება“, 1900 წ.

~NETAR XAR SEN AKAKI~

(WMIDA EQVTIMES GAMOUQVEYNEBE LI WERILIDAN)




წმიდა გქვთიმე ლევან გვთისკაცი (თაყაიშვილი)

წმიდა ექვთიმე ლვთისკაცი სტატიაში „აკაკი და ზეპირსიტყვიერება“ აღნიშნავს, რომ აკაკის სახეში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი ოვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, პოეზია და დიდებული ენა“. წერილში წმიდა ექვთიმე, რომელიც აკაკი წერეთლის თანამოღვაწე იყო, ხაზგასმით აღნიშნავს:

„არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში
ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა,
როგორც აპავის. ის გრძნობდა თავის
შემოქმედების ძირითად კავშირს სახ-
ალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდა-
ში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა
ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის.
ამ მიზეზით „კრებულიც“ დააარსა 1897
წელს და პირველ ნომერში ამ კრებულისა
მშვენივრად განგვიმარტა მნიშვნელობა
ზეპირსიტყვიერებისა, ლექციებიც გვიკითხა,
ზოგი ნიმუშები კიდეც დაბეჭდა, მაგრამ
საჭირო დახმარება ჩვენი ვერ ჰპოვა. ჩვენ

სასიქადულო მგოსანს ხშირად უთქვაშს, ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო. ჩვენ ვიტყვით – ის ერი არ გაქრება, რომელსაც აკაკი მოევლინა...“

წმიდა გევთომე ღვთისპაცის არ-
ქივში დაცულია ხელნაწერის (№1106)
გამოუქვეყნებელი ტექსტი, იგი წარ-



მოადგენს წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის
მიერ წარმოოქმულ სიტყვის კონსპექტს,
რომელიც მან აკაკის გარდაცვალებიდან
მეორმოცვე დღეს წარმოსთქვა. წერილის
გამოუქვეყნებელ ნაწილს ვაცნობთ მკითხ-
ველს, სადაც წმიდა ექვთიმე აღნიშნავს,
რომ „ხალხური პოეზია იმასვე განიცდის,
რაც არქეოლოგიურ ნაშთებს მოსდის, ერ-
თიც და მეორებც ისპობა...“

წმიდა ექვთიმე საზოგადოებას შეასსენ-
ებს აკაკის ანდერძის ერთ პუნქტს, სადაც
იგი იძარებს: „არ მინდა არც გვირგვინი,
არც სიტყვა, არც ცერემონია... ზეპირსი-
ტყვიერებისათვის ფონდი შეკრიბეთ, თუ
ჩემი პატივისცემა გსურთ“.

წმიდა ექვთიმეთ კრებას ამ სიტყვებით
მიმართა:



„თუ ჩვენ მართლა ვგლოვობთ მას (აკაკის): პატივს ვცემთ, გვიყვარს – მისი ანდერძი უნდა შევასრულოთ. ეველამ გამოვიდოთ შეძლებისამებრ წვლილი ამ ფონდისათვის, ღარიბმა და მდიდარმა. ღარიბისაგან ერთი კაპეიკიც ერთ თუმნათ შეიწირების. ნუ დარჩება საქართველოში ნურც ერთი კაცი, რომელმაც არ მიიღოს მონაწილეობა დიდებული მგოსნის სურვილის განხორციელებაში. მის სიცოცხლეში არ გამოვიდეთ ეს, ახლა მაინც გამოვიდოთ. ახლა მაინც დავამტკიცოთ პატივისცემა საქმით, რეალური და არა ცარიელის სიტყვებით. დიდებული მგოსნის სიკვდილმა თუ მართლა გაგვაერთიანა, ეს ერთობა საქმით აღვნიშნოთ.

ძველი ჩვენი ზნე და სენი უკუ ვაგდოთ. რა არის ჩვენი, ქართველების ძველი ზნე და სენი? – ერთმანეთის ჭამა, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვა და წყალ-წყალა საქმე. დაე, აკაკის სიკვდილის შემდეგ მიზნათ დავისახოთ: ერთმანეთის ნდობა, დიდ-დიდი საქმე და ცოტ-ცოტა ლაპარაკი...

....

მე არ გგლოვობ შენ აკაკი, მე მხოლოდ გეტევი:

ნეტარ ხარ შენ აკაკი, რომელმაც უხვად ლვთისაგან უხვად ჩაბერილი მიწაში არ დამარხე და შენი ერის სამსახურს და დიდებას მოახმარე.

ნეტარ ხარ შენ აკაკი, რომელმაც შენი ერი შეიყვარე და ერმა შენ შეგიყვარა.

ნეტარ ხარ შენ აკაკი, რომელმაც ყველაფერი გააკეთე, რისი გაკეთებაც შეგეძლო.

ნეტარ ხარ შენ აკაკი, რომელმაც ერი შეიგნე და ერმა შენ შეგიგნო.

ნეტარ ხარ შენ აკაკი, რომელიც ქართველობით ამაყობდი და ქართველობა შენით ამაყობს.

და ეს სიყვარული უკვდავი ძეგლი იქნება შენოვის, სხვა ძეგლი შენ არ გესაჭიროება!

სიტყვა შენ არ გესაჭიროება, რადგანაც შენ მეფე იყავი სიტყვისა, გვირ-




ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. XIX ს.

სადაც ერთ პერიოდში სწავლობდნენ წმიდა ექვთიმე და აკაკი

გვინი შენ არ გესაჭიროება, ვინაითგან შენ თვით გვირგვინი იყავი საქართველოსი...

WIDA GIORGI MTAWMINDELIS MORVAWEOBA (MCIRE MIMOXIL VA)



წმიდა გიორგი მთაწმიდელი

გიორგი მთაწმინდელი (1009-1044) საბერძნეთის ათონის წმიდა მთის „ივერთა მონასტრის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. X საუკუნეში ჩასახულმა ათონის მთის ქართულმა ოქლიგიურმა-კულტურულმა პერამ უაღრესად დიდი როლი ითამაშა ქართულ ეროვნული ცნობიერების ამაღლებაზე. წმინდა გიორგი მთაწმინდელის ათონის ივერიის დვითისმშობლის ეკლესიის წინამდღვრობა ემთხვევა საქართველოს ისტორიის უძნიშვნელოვანების პერიოდს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეა ძალითონებს იკრებს ამ იდეის საბოლოოდ

დაგვირგვინებისათვის. აქედან გამომდინარე, გიორგი მთაწმინდელის მნიშვნელობის შესახებ საუბარი მოითხოვს ფართო კულტურული კონტექსტის წარმოდგენას. უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ, X საუკუნისათვის რას ნიშნავდა საბერძნეთის ამ წმინდა მთაზე ქართული სასულიერი ქერის ჩასახვა.

კუნის დიდი მამებისა: გრიგოლ დვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელისა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ათონის მთის წმიდა მამებმა – ექვთიმე მთაწმინდელმა და გიორგი მთაწმინდელმა, საფუძველი ჩაუჭარეს ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში, ქართულ ენაზე კანონიური საღვთისმეტყველო ლიტერატურის შექმნას, რომელმაც განსაზღვრა ქართულ ცნობიერებაში ახალი ეტაპის დასაწყისი. ამდენად, მათ მოღვაწეობას საეტაპო მნიშვნელობა უნიჭება. ათონის მთაზე ქართველი ბერძის ყოფნა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ასევე ბერძნული ბიზანტიური სამყაროსთვისაც: ჯერ კიდევ წმიდა ექვთიმე ათონელის წინამდღვრობისას, როდესაც იგი ათონელ ბერძენ სასულიერო პირებს თანადგომას უწევდა, ასევე – ბიზანტიის კარზე მომხდარი სამეფო გადატრიალების უამს, როდესაც ბიზანტიის სამეფო კარმა დასახმარებლად ათონის მთის ქართველთა მონასტერს მიმართა. სწორედ ამ დროს ათონის მთის მკვიდრი, ყოფილი მთავარსარდლის, თორნიკე ერისთავის წინამდღოლობის შედეგად მოპოვებული გამარჯვების საფასით აშენდა ათონის მთის ერთ-ერთი დირსშესანიშნავი ტაძარი „ივერიის დვთისმშობლის ეკლესია“, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს ბერძნულ საპატიოარქოს გამგებლობაში. უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ქართული საპატიოარქოსაგან მასზე იურისდიქციული უფლებით ჩამორთმეული უძველესი ქართული სასულიერო კერის დაბრუნების მოლოდინით ვართ XXI საუკუნეში მცხოვრები ქართველი მრევლი. ამდენად, ათონის წმიდა მთის ქართველთა სავანის უაღრესად დიდი დატვირთვიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი ერთ-ერთი წინამდღვრის დვაწლის გააზრება. გიორგი მთაწმინდელის მნიშვნელობის გათვალისწინებისას უნდა განისაზღვროს თუ რა ტრადიციები დახვდა გიორგი მთაწმინდელს საზოგადოდ ქრისტიანულ სამყაროში და რა დვაწლი შეიტანა მან XI საუკუნის ქართულ რეალობაში.

IV–X სს. ფარგლებში – IV ს. დასაწყისში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის აღიარებისას და VIII–X სს. ქართული ქრისტიანული კულტურის ეროვნული სახის ჩასახვის პერიოდში, განსაკუთრებით დიდ დატვირთვას იძენს რამდენიმე მნიშვნელოვანი ქრისტიანული კერის არსებობა. მათ შორის იერუსალიმის საბაწმინდის მონასტრის (VIII ს.), ამას გარდა, IX საუკუნის დასაწყისიდან ტაო-კლარჯეთის 20-მდე ქართულ მონასტრის რელიგიურ-კულტურული კერის, სადაც ყალიბდება ქართული ქრისტიანული კულტურის

ეროვნული სახე, ხოლო X ს-დან ტაო-კლარჯეთის დირსეულ მემკვიდრედ გვევლინება საბერძნეთის წმინდა მიწაზე მდებარე ივერიის დვთისმშობლის სახელზე დაარსებული ქართველთა მართლმადიდებლურ-სულიერი კერა. საბერძნეთში მდებარე ქართული საპატიოარქოს იურისდიქციაში შემავალი ახალი რელიგიური ცენტრის დაარსება თანხვედრია საქართველოში მომხდარი პოლიტიკური გარდაქმნებისა. კერძოდ, X ს. დასასრულსა და XI საუკუნის 60-იან წლებში სამეფოებად დანაწევრებულ საქართველოს მიწა-წყალზე ადგილი ჰქონდა გაერთიანების რთულ პროცესში: ეს იყო ბაგრატ III (975-1014), გიორგი I-ის (1014-1027), ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეფობის წლები, რომლის დროს, გარდა საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულად მტკიცნეულად მიმდინარე ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობისა, რომელიც პრაქტიკულად გამოიხატა ბიზანტიის საპატიოარქოში აფხაზეთის გაერთიანების მცდელობით; ადგილი ჰქონდა შიდა დაპირისპირებულობებს; მაგრამ, მიუხედავად უაღრესად რთულად მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიური პროცესებისა, XI საუკუნის 60-იან წლებისათვის იგი დამთავრდა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილების გაერთიანებით. საკითხი დგას შემდგენაირად: საქართველოში მოვლენებს ჰქონდა ადგილი რელიგიურ-კულტურულ სფეროში? კერძოდ, IV–X საუკუნეები აღინიშნება ეროვნული კულტურის ჩასახვის პერიოდად, რომლის დროს ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში ჩამოყალიბებული კანონიკის საფუძვლებზე ქართულ რეალობაში იქმნება სასულიერო მწერლობისა და ხელოვნების დარგების ნიმუშები. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში მართლმადიდებლობამ მისცა საშუალება ყოველ ერს საკუთარ ენაზე ჩაეტარებინა დვთისმასახურება და ეროვნულ ენაზე გადმოეცა ნააზრევი. ამ მხრივ IV–X საუკუნეების ქრისტიანული პერიოდის ქართულმა რეალობამ წარმოგვიდგინა სრულიად გამორჩეული თვისობრიობა, როდესაც მართლმადიდებლური მრწამსის სრული დაცვით ქართულ რეალობაში იქმნება ქართული ქრისტიანული კულტურის თვითმყოფადი სახე: ბერძოს, ფერის, ფორმის დამოუკიდებელ ტრადიციით. კერძოდ, ბიზანტიური ტაძრის მკაცრი ფერისა და ფერწერის მკვეთრი ფერების შეხამების სანაცვლოდ, ქართულმა დამაკვიდრა თბილ ფერთა თანაარსებობის ტრადიცია; ამას გარდა, VIII–X სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციაში ჩამოყალიბდა საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე სკოლა: კახეთის, ზემო ქართლის, ტაო-კლარჯეთის და აფხაზეთის, სადაც ბერძნულ-ბიზან-

ტიური გუმბათის გრანდიოზულობის სანაცვლოდ, ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შემუშავდა პროპორციათა პარმნიულობის ტრადიცია, ასევე – ბერძნული ერთხმიანი გალობის სანაცვლოდ, ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერაში საფუძველი ეყრება ქართულ მრავალხმიან გალობას – ქართული სამხმიანი გალობის სახით. მისი სრულყოფილი ასახვა, რომლის დროს ქართული საგალობლის სამი ხმა გალობის ბოლოს ერთ ხმაში (უნისონში) ერთიანდება! სწორედ ქართული საგალობო ტრადიციის არსებობამ განაპირობა VIII-X სს, დგომისმსახურების განაწესის შესასრულებლად ოთხივე წიგნის – „პარაკლიტონის“, „იადგარის“ „მარცხანისა“ და „ზატიკის“ თარგმნისას მათთვის ქართული გალობის შეწყობა, რომელიც კორნელი კეკელიძის განმარტებით, წარმოადგენს ქრისტიანული ტრადიციის უკრეცედენტო შემთხვევას². ამდენად, ქართული სასულიერო ლიტერატურის, არქიტექტურის მიღწევებმა XI საუკუნისათვის, საბოლოოდ განსაზღვრეს ბერძნული ტრადიციებისადმი ერთგვარი მონური მიმბაძელეობის რდვევა, რომელიც ჯ. აფციაურის მითითებით, ქართულ რეალობაში VIII საუკუნიდან – ითანე საბანისძის დროიდან დაწყებულა, ხოლო „XI საუკუნისათვის ქართული კულტურული ტრადიცია აღწევს იმ სიმაღლეებს, როდესაც მისთვის უკვე ბერძნული საპატრიარქოსაგან შეუძლებელი იყო ხელის შეშლა“³.

ამდენად, IV –X სს. მიუხედავად საქართველოში არსებული ავტენტიული მოვლენებისა: ირანის მოძალადეობისა და არაბეთის მიერ საქართველოს შეაგულში თბილისის საამიროს შექმნისა, ქართული აზოვნების პროცესები არათუ შეხელებულა, არამედ სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ეროვნული სახე ქართული ქრისტიანული კულტურისა. ამას გარდა, XI საუკუნეში სახელმწიფოებრიობის გაერთიანების გზაზე მდგარ ქვეყანას სჭირდებოდა ძლიერი საეკლესიო ინსტიტუტის თანადგომა. ამ პერიოდისათვის ქართულ ეკლესიას მინიჭებული პქონდა ეწ. შეუგალობის უფლებები, რომელიც გახდა თავშესაფარი სამეფო დეცენტრალიზაციისათვის მხარდამჭერი პირებისათვის. ამ უმნიშვნელოვანები პრობლემის გადასაწყვეტად, ბაგრატ IV-მ ათონიდან გამოიწვია წმინდა გიორგი მთაწმინდელი. ამავე დროს საქართველოს გაძლიერებაში ბიზანტია ხედავდა

1. ქ. ცინცაძე, ქართული კულტურის პარადიგმა (IV–X სს.), კრებ. ბიზანტიონოლოგია საქართველოში, თბ., 2007; იგივე გამოკვლევა, იხ. ქურნ. „მავლოვანი“ №2, 2010.

2. კამპანიძე, ქვედი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980;

3. ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, თბ., 1980;

მასზე გავლენის დაკარგვის საშიშროებას და ამისათვის ცდილობდა მასზე პრიორიტეტების შენარჩუნებას. წმინდა გიორგი მთაწმინდელი იყო ის პიროვნება, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქის წინაშე მოწვეულ კრებაზე დაასაბუთა ქართული ეკლესის დამოუკიდებლობა. ამავე დროს, სწორედ წმინდა გიორგი მთაწმინდელმა ხმა აღიმაღლდა სქოლასტიზმისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სარწმუნოებისადმი ერთგვარი ფასადური დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად. ამავდროულად იგი არა მარტო ქადაგებებით, არამედ, საქართველოში ყოფნისას პრაქტიკული დახმარებებითაც თანადგომას უწევდა შეჭირვებულ მოსახლეობას. ამდენად, ეს იყო პიროვნება, რომელიც ქართული საქმის ერთგვარი პატრონი იყო. სწორედ ამგვარი მიღვომა ედო საფუძვლად, როდესაც წმინდა გიორგი მთაწმინდელმა 80 ბავშვი ჩამოიყვანა ათონზე განათლების მისაღებად და ათონის წმინდა მიწაზე ქართველი ადამიანის ყოფნის განსამტკიცებლად. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დრომდე მოაღწია გიორგი მცირეს მიერ აღწერილმა „წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებამ“, სადაც ავტორი მისი ცხოვრების რეალურ სურათს გვიხატავს. „ცხოვრებაში“ ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი გახლავთ გიორგი მთაწმინდელის გამოსვლა კონსტანტინეპოლიში ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X დუკას (1059-1067) წინაშე, ქართული ეკლესიის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. მათ შორის სომხური ეკლესიის მწვალებლობასთან ქართული ეკლესიის გატოლებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიის ეკლესიაში მწავევდიდგა მონოფიზიტობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, იმპერატორმა კონსტანტინე IX-მ რამდენჯერმე მოიწვია სომხეთის ეკლესიის კათალიკოსი პეტრე კონსტანტინეპოლიში. მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდგომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის კონსტანტინე III ლიხუდუსის (1059/10 – 1063) მიერ სირიელი და სომები მონოფიზიტები განიდევნენ. ბერძნულ საპატრიარქოში ეჭვი დაებადათ ქართველთა მონოფიზიტობაში. „ცხოვრებაში“ განსაკუთრებული სიმბაფრით არის წარმოდგენილი ის ეპიზოდი, როდესაც წმინდა გიორგი მთაწმინდელი გამართული ბერძნულით თუ როგორ დამაჯერებლად პასუხობს იმპერატორს შემდეგი სიტყვებით: „ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩვენისა და რაუმას ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიღრეკილ ვართ მარცხნივ გინა მარჯულ და არცა მიღდრეკები, თუ ღმერთსაც ცხოვრება“, თბ., 1980;



ათონის წმიდა მთა. ივირონი.

უნდეს“⁴ ამას გარდა, კრებაზე ივერონის მონასტრის წინამდღვარს ახსენებენ ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ყველა ეკლესიის მორჩილების შესახებ. რაზეც წმიდა გიორგი მთაწმინდელი მრავალმნიშვნელოვნად მიუთითებს მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ. აქედან გამომდინარე, ყველგან წმიდა გიორგი მთაწმინდელი ქმნის მეარ საფუძველს საქართველოს მომავლისათვის: ეს იყო ათონზე წინამდღვრობის პერიოდში, როდესაც ბერძნების შევიწროვებისაგან იცავს ივერიის მონასტერს, თუ ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას, როდესაც ასაბუთებს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას. ამავე დროს, მან საქართველოში ყოფნისას ამხილა როგორც მეფის, ბაგრატ III მმართველობა, ისე საერო პირთა და სასულიერო წოდების მანკიერი მხარეები. სწორედ პრაქტიკული საჭიროების მიზნით, მან თარგმან „მცნება მდვდელთა მიმართ“, ასევე „მცნება წმიდისა ჟამისწირვისა მდვდელთა მიმართ“ და სხვა. ამავე დროს წმიდა გიორგი მთაწმინდელმა ბაგრატ IV-ის დავალებით შეიმუშავა სახელმწიფო ერი მოწყობის რეფორმა, რომელიც ერთგვარ წინამდგრად შეიძლება ჩაითვალოს დავით აღმაშენებლის რუსურბნისის რეფორმისა, რომლის საფუძველზე, საქართველოს სახით, ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ერთ-ერთი ძლიერი ქრისტიანული, პარლამენტის პრინციპებზე მდგარი, მონარქიული

4. გიორგი მცირე „ცხოვრება ნებარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა“// ძველი ქართული ლიტერატურული შემდგები, თბ., 1978, გვ3028

სახელმწიფო. საქართველოს მომავლის გაძლიერების ფიქრით იყო დატვირთული წმიდა გიორგი მთაწმინდელის პრაქტიკული ქმედებები თუ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ქართულ ეკლესიაში საღვთისმსახურო ლიტერატურა XI საუკუნის 60-იან წლებისათვის ახალ, გამართულ რედაქციების შექმნას მოითხოვს, რომელიც ზედმიწევნით დაახლოებული იქნებოდა ბერძნულ ორიგინალობან და გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქართველ წმინდანთა სესნებები. წმიდა გიორგი მთაწმინდელს, ერთგვარად ახალი მეთოდი შემოაქვს, რომელსაც რამდენიმე ასპექტი გააჩნია: 1) იგი უპირველეს ყოვლისა ხელახლა თარგმნის საღვთისმსახურო ლიტერატურას. მათ შორის „სვინაქსარის“ ახალ რედაქციას, რომელმაც კანონიკური მნიშვნელობა შეიძინა; 2) ამ პერიოდისათვის, როდესაც „იადგარში“ პიმნოგრაფიული ნაწილის მნიშვნელობის გაზრდის შემდგომ ჩამოყალიბდება პირობა, მისგან ახალი ტიპის სახელმძღვანელოს გამოყოფისა, წმიდა გიორგი მთაწმინდელი ქმნის „თვენს“, რომლის შესახებ კორნელი კეკელიძეს წერს, რომ „წმიდა გიორგი მთაწმინდელის „თვენის“ მსგავსი არც ბერძნულს მოეპოვებაო“; 2) საღვთისმსახურო ლიტერატურის ახალი რედაქციების თარგმნისას, იგი იყენებს არა ერთ, არამედ რამდენიმე ბერძნულ წყაროს. მათ შორის ივანე ლოლაშვილის აღნიშვნით, „სვინაქსარისთვის“ პეტრე-წმინდას და სვიმე-ძეგლები, თბ., 1978, გვ3028

ონ-წმიდას და სხვათა⁵. პერძოდ, საღვთისმსახურო მიზნებიდან გამომდინარე, წმიდა გიორგი მთაწმინდელმა ლიტურგიკული კრებულების ახალი რედაქციების შექმნისათვის შეიმუშავა თავისებური მეთოდი: იგი ძველი თარგმნების გამოყენებისას, მათ შორის ექვთიმესეული რედაქციის გათვალისწინებისას, მიმართავს ერთგვარ გამორჩევის პრინციპს და მათ კვლავ ბერძნულთან ადარებს, ასევე, ქართველ წმინდანებისადმი მიძღვნილი კრებულების შექმნისას, თავისი ჰიმნოგრაფიული მასალის ჩართვით, იგი ქმნის ახალ რედაქციას. სწორედ მისი დვაწლის შედეგია, რომ ბერძნულიდან ნათარგმნმა საღვთისმსახურო ლიტერატურამ ამ პერიოდისათვის მიიღო კანონიკური სახე და იგი სავალდებულო შეიქნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ამ მხრივ წმიდა გიორგი მთაწმინდელის შემოქმედება სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგს შეეხო: ბიბლიოლოგიას, პოკრიფიკას, დოგმატიკას, პომილეტიკას, აგიოგრაფიას, საეკლესიო სამართალს, რომლითაც მან ხელი შეუწყო სასულიერო მწერლობის განვითარებას. კერძოდ, ბიბლიოლოგიაში მას დახვდა ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანები, შესაბამისად მისი თარგმანი ბიბლიის ზოგიერთ წიგნს შეეხო, როგორიცაა დავითნი, სახარება-ოთხთავი, პავლე - სრული და საქმე მოციქულთა. მათ შორის დიდი ყურადღება დაუთმო „დავითნის“ თარგმანს, რომელიც შეუსწორებია რამოდენიმე ბერძნული რედაქციის მიხედვით, ასევე „სამოციქულოს“ თარგმანს მან წარუმდგარა სათანადო განმარტებები. ეგზეგმეტიკურ დარგში წმიდა გიორგი მთაწმინდელის თარგმანებიდან უნდა აღინიშნოს ბასილი დიდის „ექსტა დღეთათვის“, რომელიც ადრევე ყოფილა ნათარგმნი უცნობი ავტორის მიერ, ასევე ბასილის თარგმანი გაუგრძელებია მის ძმას, გრიგოლ ნოსელს. კონსტანტინოპოლის კრების კანონს „მრწამსთან“ დაკავშირებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საბოლოო რედაქციას, ს რომელსაც კანონიკური მნიშვნელობა მიუდია, წმიდა გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის აგრეთვე „მსჯელობები დათვაებების“ მიმართ. მათ შორის იოანე დამასკელის „სიტყუა ღმრთისმეტყველებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეეს“.

გიორგი მთაწმინდელის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღნიშნავენ მის დამსახურებას ლიტურგიკულ დარგში. როგორც ცნობილია, ქართულ ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი უკავშირდება VIII საუკუნეში საბაზმინდის მონასტერში

5. ი. ლოლაშვილი, გიორგი მცირე “ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა” თბ., 1990;

ე.წ. ჰიმნოგრაფიულ რეფორმასა და X საუკუნის ბოლოს ქართული ეკლესიის მიერ იერუსალიმური ანუ აღმოსავლური ტრადიციის სანაცვლოდ, კონსტანტინეპოლის ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკისადმი დაქვემდებარებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნდა შექმნილიყო ის საღვთისმსახურო კრებულები, რომლებსაც კანონიკური მნიშვნელობა დაეკისრებოდა. როგორც აღინიშნა, წმიდა გიორგი მთაწმინდელმა უპირველეს ყოვლისა შექმნა „სვინაქსარის“ ახალი რედაქცია, რომელიც მანამდე არსებობდა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი, შემოკლებული რედაქციის სახით. სწორედ ექვთიმეს აღნიშნული „სვინაქსარი“ დაგდო საფუძვლად წმიდა გიორგი მთაწმინდელის ცხობილ „თვენს“. წმიდა გიორგი მთაწმინდელის „თვენი“ შედგენილია რამოდენიმე ბერძნული ჰიმნოგრაფიული კრებულის საფუძველზე, სადაც 12 თვის ყოველ დღეზე შექმნილია სათანადო გალობა, აქედანაა მისი სახელწოდებაც. როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიის ისტორიის კონტექსტში „თვენი“ წარმოადგენს X ს-მდე გავრცელებულ „საწელიწადო იადგარის“ განვითარების შემდგომ ეტაპს. როდესაც იგი იადგარს გამოეყო დამოუკიდებელი სახით. წმიდა გიორგი მთაწმინდელმა „თვენში“ შეიტანა ასევე მასალა, რომელიც ბერძნულ „სვინაქსარში“ არ გვხდება. ეს არის ქართველ წმინდანთა სენებები: წმიდა იოანე და ეფთვიმე მთაწმინდელის, წმიდა ილარიონ ქართველის, წმიდა ნინოს. ამდენად „თვენი“ წარმოადგენს მთელი წლის საგალობლების კრებულს, რომელიც შემკულია განმკვეთი ნიშნებით. ლ. ჯლამაიას გამოკვლევაში ვკითხულობთ: „გიორგი მთაწმინდელის „თვენში“ შესული საგალობლები (კანონი) 8 ან 9 გალობისაგან შედგება... ჰიმნოგრაფიულ კანონს უძღვის რამდენიმე მცირე ფორმის გალობა, სტიქარონი. პირველ სტიქარონს, „უფალო დაღატყავსას“ მოსდევს რამდენიმე „სხუანი“, რომელიც სხვადასხვა წყაროდან თარგმნილ მასალას გულისხმობს“. „პალესტინური ტრადიციის ქართული იადგარებისაგან განსხვავებით, წმიდა გიორგი მთაწმინდელს კანონის წინ შემოაქვს ერთსტროფიანი გალობა – წარდგომა... როგორც მცირე გალობის გარკვეული სახე. გიორგი მთაწმინდელმა იგი აქცია ჰიმნოგრაფიული განგების აუცილებელ ელემენტად და განგებაში მკაცრად განსაზღვრა მისი ადგილი“⁶. გიორგი მთაწმინდელის მიერ ლიტურგიკულ დარგში ნათარგმნი წიგნებიდან, გარდა აღნიშნული „დიდი სვინაქსარისა და „თვენისა“, 6. ქველი ქართული მწერლობის ქეგლები, IX. გიორგი მთაწმინდელის „თვენი“ (სექტემბერი). გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯლამაიამ, თბ., 2007.

მას უთარგმნია: „სახარება – გამოკრებილი საწელიწდო“ „პავლე – გამოკრებილი საწელიწდო“, „სტიქარონი საწელიწდო დღესასწაულისანი, რომელი თუეთაცა თანა სწერია“, „სტიქარონი თვითავაჯნი ძლისპირი, ვითარცა არიან ბერძნულად“, „კუალად იგივე სტიქარონი ძლისპირთა ქუეშე და მათვე შინა მარხვათა სტიქარონი“, „დიდი პარაკლიტონი“, „დიდი მარხვანი“, სადაც მას უცვლელად გადმოუდია ექვთიმეს ნათარგმნი კრებულიდან მუსიკალურ-საგალობრ „ხმანი“, ასევე მას უთარგმნია „ზატიკნი მრავალფერითა კეთილთა აღსაგსე“, „საწინასწარმეტყველო საწელიწდო“, „დიდი კურთხევანი“. საკითხთან დაკავშირებით დასკვნის სახით კორნელი კეკელიძე აღნიშნავს შემდეგს: „ამნაირად, როგორც ვხედავთ, გიორგის გადმოუთარგმნია თითქმის მთელი კომპლექსი საღვთისმსახურ წიგნებისა და ამ მხრივ ქართული ეკლესია სავსებით უზრუნველყველად⁷.“

ნათარგმნი ლიტერატურის გარდა გიორგი მთაწმინდელის კალამს ეკუთვნის ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულება – „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“. მასში უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობის შეტანით – ქართველების ცხოვრების შესახებ „სპანიაში“, მას დღეს ფაქტობრივი მასალის დანიშნულება ეძლევა ქართველთა ეთნოგენეზის გარკვევის თვალსაზრისით. იმ მხრივ, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ წერილობით დოკუმენტს იბერიულ-ქართველი ეთნოსის ყოფნისა ესპანეთის მიწაზე, რომელსაც ა.წ. II საუკუნემდე „იბერია“ ეწოდებოდა. გიორგი მთაწმინდელი ავტორია ასევე ერთი აკროსტიქიანი იამბიკოსი, რაც მეტყველებს მის პოეტურ ნიჭიერებაზე.

ამდენად, გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა“ და გიორგი მთაწმინდელის შემოქმედებითი შემკვიდრეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მთაწმინდელის სახით საქართველოს ისტორიას ჰყავდა ის პიროვნება, რომელიც დრმად ჩასწვდა ეთნიკური ქართველის რაობას და ერთ მთლიანობაში დაინახა მისი წარსული, აწმყო და მომავალიც. სწორებ ქართველი ადამიანის წარსულის ჭვრეტით მან დააფიქსირა ქართველის ყოფნა „სპანიაში“, რომელსაც დღეს იბერიულ-ქართული თვითმყოფადი ცივილიზაციის დასადგენად ერთადერთ წერილობითი წყაროს ფუნქცია ეკისრება. ამავე დროს, იგი, როგორც სასულიერო პირი, ცდილობდა მისი თანამედროვე ქართველი ადამიანის ზნეობრივ სრულქმნას, როდესაც თარგმნიდა თუ ქმნიდა საღვთისმეტყველო ლიტერატურას. გიორგი მთაწმინდელმა, ასევე, მომავლის ჭვრეტით განსაზღვრა, ათონის წმინდა მთაზე ქართველი ადამიანის ყოფნის აუცილებლობა, როდესაც ქართველი ბავშვები მიიყვანა ათონზე, ქართველ მოღვაწეთა იქ ყოფნის განსამტკიცებლად.

ამდენად, გიორგი მთაწმინდელის შემოქმედებითი მოღვაწეობის სიღრმე და მისი ღვაწლის მრავალსახოვნება მიგვითოთებს მასზე, რომ XI საუკუნის საქართველოს ჰყავდა დრმად მოაზროვნე პიროვნება, რომელმაც საქართველოსთვის თავისი სიცოცხლეც უშურეველად გასწირა. მისი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი ღვაწლის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიის პრობლემების გადასაჭრელად.

ფილ. მეცნ. პროფესორი
მარინე ცინცაბაძე



7. პ კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.

QVAZE KVETIS OSTATI

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მეორე წელია, მიმდინარეობს მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის საფლავების აღდგენა-განახლება. ამ საშვილიშვილო საქმის ხელმძღვანელ-კონსულტანტები არიან წმიდა ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე) და ხელოვნებათმცოდნე ქათევან აბაშიძე. ბალდახინის ავტორია ნიკო ზაზუნაშვილი, ხოლო საფლავის ქვების მაკეტის ავტორია არქიტექტორი არჩილ მენაბდე.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II, დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე)
და არქიტექტორი გიორგი ლალიაშვილი

საფლავის ქვების ჩუქურთმებით შემკრბა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მიანდო და აკურთხა ქათე კვეთის ოსტატს, ბატონ გიორგი ლალიაშვილს.

ბატონმა გიორგიმ სამხატვრო აკადემია დამთავრა 2006-07 წლებში, მოქანდაკის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი, ნინო. ლვთის განგებით, აკადემიის დამთავრების უმაღლ, როგორც პროფესიონ-

ალი მოქანდაკე და ქვის ოსტატი, ეკლესიის სამსახურში დგება. ბატონი გიორგი მონაწილეობდა წმიდა აბო თბილელის ტაძრის მშენებლობაში და გააკეთა კანკელის ფრაგმენტი – ჯვარცმა, შემდეგ მუშაობა მოუწია 40 მოწამის ტაძარში.

წმიდა ნიკოლოზის ტაძარში, კანკელის ქათე მუშაობისას იგი ეხმარებოდა და ოსტატდებოდა სულიერი მოძღვრის, ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ბესარიონის (მენაბდე) ხელმძღვანელობით, სადაც კანკელის სვეტები და ქვა-ჯვრები გამოკვეთა.

ახალგაზრდა ქვის ოსტატს სიმხეე და რწმენა შესძინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თანადგომამ და ნდობამ. რომელიც მისმა უწმიდესობამ გამოუცხადა ახალგაზრდა ოსტატს.

ბატონ გიორგის წილად ხვდა საპატიო საქმე – მოციქულთასწორ წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის საფლავის ქვების რელიეფური კვეთა, რითაც იგი დიდ სიხარულთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც განიცდის და აღნიშნავს: „–ძალიან ბეჭინიერი ვარ, რომ წილად

მხედა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიაგიად დამფუძნებელთა საფლავის გამშვენება, მაგრამ დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. მიხარია, მაგრამ რიდის განცდაც მაქსო“.

საფლავის ქვებზე რელიეფურად არის დამუშავებული საქართველოში ქრისტიანობის პირველგამავრცელებელთა: წმიდა ანდრია პირველწოდებულის, წმიდა სვი-

მონ კანანელის და წმიდა მატათას. დიდი ოსტატობით შესრულებული გამოსახულებები, ცალკე მსარეს იკითხება მოციქულთასწორთა: წმიდა ნინოს, წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის ფიგურები და ცალკეული სიუჟეტის ფრაგმენტები, რომელთა დეტალებიც, ავტორის თქმით: „ასე, თანდათანობით იქმნება“.

როგორც ბატონი გიორგი აღნიშნავს: „საფლავის ქვების გაკეთებაში დიდი წვლილი მიუძღვის უწმიდესს, მისი მონაწილეობით დიდად გამშვენდა ქვები. უწმიდესი და უნეტარესი თითქმის ყოველდღე მოდის სახელოსნოში და რამე რომ მაინტერესებს და დაზუსტება მინდა, როგორ გაკეთდეს ესა თუ ის დეტალი, ხშირად – კომპოზიციაც, მის უწმიდესობას ვეკითხები. მაგალითად, წმიდა მეფე მირიანის გამოსახულების ფორმები სვეტიცხოვლის სვეტიდან გადმოვიდეთ და მპრობელს კვერთხი რომ უკავია ხელთ – კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის კურთხევით შევასრულე; აგრეთვე, ყველას შესამოსელი, რა და როგორ უნდა ეპყრაო ხელთ: ფერი, ჯვარი, ცალკეული სიმბოლო და კიდევ ძალიან ბევრი რამ, უწმიდესის რჩევით გაკეთდა... პატრიარქმა გაანაწილა და მისი მითითებით შესრულდა მთლიანად, კომპოზიცია სადაც წმიდა ნინო, პერიულავრა სივნიელი და სალომე უჯარმელია გამოსახული, აქეთ-იქით კანდელებიც კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით გამოიკვეთა, რათა კომპოზიციურად გამართული ყოფილიყო. აქვე, ცენტრში, სიმბოლურად გამოიკვეთა სალომე უჯარმელის მიერ უჯარმაში აღმართული ჯვარი“.

მოციქულთასწორთა ქვებზე ამოკვეთოლი კომპოზიციების, პორტრეტების თუ ჩუქურთმების რელიეფური დამუშავება შესრულებულია XI საუკუნის ნიმუშების მიხედვით, საფლავის ქვებზე იკითხება დიდი ოსტატობით შესრულებული კომპოზიციები: თხოთის მთაზე წმიდა მირიანის მოქცე-



არქიტექტორი გიორგი ლალიაშვილი

ვა, მაყვლოვანში წმიდა ნანა დედოფლის განკურნება, წმიდა მეფე მირიანის მუხლდრება წმიდა ნინოს წინაშე, მტკვრისა და არაგვის შესაყართან ქართველთა ნათლისლებისა და სხვა – მნახველში აცოცხლებს ქართული ხელოვნების უბადლო ტრადიციას. როგორც თავად ოსტატი ბრძანებს: „ჩუქურთმები აღებულია სამთავროს ძელი კანკელიდან“, რომელსაც ქვის ოსტატი „დაწული კალათის“ სახელწოდებით იხსენიებს და მათი დეტალები სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და ამ დეტალებიდან ამოვიდეთ ჩუქურთმები და ფაქტიურად კვლავაც გაცოცხლდა ეს თემა სამთავროში“.

ქვის მხატვრულად დამუშავების ოსტატმა ბატონმა გიორგიმ ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმა გააცოცხლა და წმიდა მეფე-დედოფლის საფლავის ქვები ფაქტზი კვეთით გაამშვენა.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი ლოცავს ბატონ გიორგის და უსურვებს ნაყოფიერ შრომას ღვთისა და ერის სადიდებლად.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი

SITYVISGEBA BERISA EQVTIME GRZELISA SOSTENIS MIMART — SOMEXTA MOZRVRISA

X ს-ში ბაგრატ V-ის დროს, 1046 წ. დტილას კრებაზე, არტანუჯში, მოხდა სომები მონოფიზიტებისა და ქართველ მართლმადიდებლების შორის სარწმუნოების საკითხებზე სიტყვისგება, რომლის დროსაც ქართველმა მოძღვარმა ექვთიმე გრძელმა (იერუსალიმელმა) საჯაროდ განაჯიქა სომები მონოფიზიტთა მოძღვარი სოსთენი. ამ პატრიტის ოქმებმა ჩვენამდე მოადწია. იგი გამოსცა მიხეილ საბინინმა წიგნში „საქართველოს სამოთხე“ და ამ თხზულებაზე ცნობებს გვაწვდის კორნელი კეკელიძე.

ტექსტი იბეჭდება შემოკლებით. ახალქართულზე გადმოიდო და მოამზადა მარიამ ნიაურმა

დვთისმსახური მეფის, ბაგრატის დროს, შედგა კრება დრტილას, რომელიც ერისკაცთა კრება უფრო იყო, ვინემ სამ-ლვლელოთა.

იყო ვინმე მონოზონი, ნათესავით სომები, მათი მოძღვარი და წინამძღვარი სჯულისა, სახელად სოსთენი, კაცი ენამანქანა, მათი განდრეკილი სარწმუნოების დიდადმცოდნე.

ერთხელ იგი ჩვეულებისამებრ, მივიდა ბაგრატ მეფესთან და ზვაობითა და ამ-პატრავნებით დაიწყო თავისი სჯულის, მონოფიზიტობის ქება, ხოლო ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნების – გმობა და ძაგება. იმხანად არავინ გამოჩნდა მისი მოპატრე – უმეცრების გამო ვერ შეძლეს სოსთენის წინააღმდეგობა. მაშინ მეფეს მისმა ბიძაშვილმა, დავითმა, ურჩია, რომ სხვა ვერავინ შეძლებდა სოსთენის სიტყვისგებას, გარდა ექვთიმე გრძელისა, რომელიც იმუამად იერუსალიმიდან ჩამოსული და ანჩის მთავარეპისკოპოსი ანჩისა იმყოფებოდა. გახარებულმა მეფემ უმაღ მოუწოდა ანჩის მთავარეპისკოპოსს, რათა მათვების წარედგინა იერუსალიმიდან ჩამოსული ბერი ექვთიმე.

მწუხრისას მთავარეპისკოპოსი ანჩისა მამა ექვთიმესთან ერთად მოვიდა სასახლეში და მეფესთან წარდგინებამდე, ექვთიმე ბერმა მთავარეპისკოპოსის ძმისაგან შეიტყო, რომ სომხეთის სახელგანთქმული მოძღვარი სოსთენი, თავისი დისტულითა და მხლებლებითურთ, მეფესთან იმყოფებოდნენ და წინაშე მეფისა განიხილავდნენ რჯულსა ჩვენსა და მათსა; წინააღმდეგომი სოსთენისა ვერავინ პპოვეს და ექვთიმეს იმედი პქონდათ.

იერუსალიმელი ბერი ექვთიმე შეძრწუნდა, ეს რომ გაიგო – პირველად უცხოობისთვის და მეორედ განუმზადებლობისათვის. და გამოისახა ჯვარის სახე პირსა თვისსა და გულსა და ემთხვია ეპისტოლეს უფლისას, რომელიც „ხელითა თვისითა მიუწერა ავგაროზ მთავარს“ და აღიხილა ზეცად გონების თვალნი, სულთითქუნა სულითა და თქუა:

„უფალო იესო ქრისტე, დმერთო ჩვენო, თანაარსო და თანასწორო მამისა და წმიდისა სულისა შენისაო, რომელმან გამოუთქმელითა განგებითა შენითა, ხორცშესხმისა შენისათა განაგე

ცხოვრება ჩვენი; რომელმან უბრძანე ქადაგთა შენთა წმიდათა მოციქულთა და მთავართა: სახელისა ჩემისათვის ნუ წინასწარ იწურთით, ვითარცა რა სოქუათ, ანუ რა სიტყვა მიუგოთ, რამეთუ მოგცე თქუება პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდეგომად და სიტყვისგებად ყოველთა წინააღმდეგომთა თქუენდა. და, აპა, მივყავ მე სიტყვის საგებლად სამსჯავროსა ამას და არა უწყი, რა ვთქვა, ანუ რასა ვიტყოდე, არამედ შენ მასწავლე, პოი, სახიერო, აღთქმისა შენისაებრ უტყუელისა და ნუ იყოფინ, ვითარცა უმეცრებისა ჩემისა მიერ შეურაცხ იქმნა სიმტკიცე მართლისა აღსარებისა შენისა წინაშე ურწმუნოთა“.

ასე ილოცა ბერმა მწვალებელთან სიტყვისგების წინ და შევიდა და წარსდგა წინაშე მეფისა. მეფემ ჯერისაებრ მოიკითხა იგი და უბრძანა დაჯდომა.

მაშინ ჰკითხა სოსთენმა მეფეს:

- მაშ, ეს არის სიტყვისმგებელი ჩემი, რომელიც მომიყვანე?!
- დიახ, ნამდვილად ეგ არის. - უპასუხა მეფემ.

და კვლავ ნაცვალი უგო სოსთენმა მეფეს:

- თუ არის ვინმე სჯულისმცოდნე, ყველას ერთად მოუწოდე, რათა ყველა ერთად, ვითარცა ცოცხითა, მოვგავო; და მაშინ გეუწყოს ძალა სარწმუნოებისა ჩვენისა და უძლურება თქვენი. და კიდევ ამას ვთხოვ თქვენს მეფობას, რათა ამგვარი ბრძანება გასცე: უკეთუ მე მძლიონ შენმა სჯულისმეცნიერებმა, მაშინ შიშველი გამიყვანონ შენი სასახლიდან, ხოლო, უკეთუ მე ვძლიო მათ, მაშინ ისინი გაიყვანონ შენგან განძარცვულნი და შიშველნი (იგულისხმება სასულიერო შესამოსელი – მ.6.).

ქართველთა მეფემ კი მშვიდად მიუგო სოსთენს:

- საღმრთო სჯულის და მართლის სარწმუნოების სიტყვისგებისას ჯეროვნად არ მიმაჩნია საქმე ხუმარათა და მეზობელთა და მახლობელთა; არამედ ყოვლითა დაწყნარებითა ჯერარს გამოძიება საღმრთო სჯულისა და

მართლის სარწმუნოების, განრჩევად დუარძლისაგან წვალებისათა.

მაშინ მეფის მწიგნობართუხუცესმა სოსთენს ურჩია, რომელიც მათი ბოროტი მწვალებლობის თანაზიარი იყო და მართლმადიდებლობის შინაგამცემი, სომებთა მოძვარს ურჩია, რომ სიტყვისგების დაწყებამდე, ბერი ექვთიმე ცუდი რამ სიტყვით, საერო და გარეწარი მეტყველებით შეაშინოს და განკიცხოს, რადგან ბერი უდაბნოთა შინა იყო აღზრდილი და იქ იყო მისი ცხოვრება, ხოლო კაცობრივი სიტყვისგება არა რა იცისო; ამასვე ჩასრურჩულებდა მეფის გვერდით მჯდომი მისი დისწულიც.

მაშინ ამგვარი სიტყვით მიმართა მწვალებელმა სოსთენმა იერუსალიმელ ბერს, ექვთიმეს:

- პირველად მსურს, მამაო, გვითხრა, თუ როგორ მოაღწიე აქამდე, ანუ რა გზით მოხველ? გზას შედგომილმა გზად პირველ დღეს რა საზრდელი მიიღე და დღის რომელ უამს ისერე, ან სად დაისვენე, სად დაიდე სავანე? ანუ რამდენ ხანს გეძინა დამით, ან თუ იფხიზლებდი და რას ფიქრობდი გზადმომავალი?...

ბერმა ექვთიმემ მიუგო სოსთენს:

- პავლე მოციქული იტყვის: „ოდეს იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდი ვითარცა ყრმა და შერაცხილ ვიყავ, ვითარცა ყრმა; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაგუტევვ სიყრმისა იგი“. და რასაცა ახლა შენ ამბობ, მაგნაირი მდერება სიყრმეშივე დაგუტევვ მე; ხოლო აწ შენ სრული ჰასაკისა ხარ, მაგრამ სიტყვით და გონებით – ყრმებრი. მაგრამ მე შენ ცბიერი და განმრყვნელი სიტყვით კი არ გიპასუხებ, არამედ – ჰეშმარიტებით:

მე ჯერ პირველად მოვდივარ უფლის აღდგომის წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, უფლის მმის, წმიდა იაკობ მოციქულის საყდრითგან, და ანტიოქიიდან და რომიდან – წმიდა პეტრე მოციქულთა თავის საყდრიდან და მერმე – ალექსანდრიიდან, წმიდა მარკოზ მახარებლის საყდრითგან, და მერმედ – კონსტანტინეპოლით და საყდრით წმიდა იოანე მახარებლისა. ამ საპატრიიარქოს საყდართაგან მოვდი-

ვარ და მსოფლიო კრებათა მართალი აღსარება მისწავლია, მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება მიპყრია და აწ მოვსულვარ, რათა ვამხილო ბოროტად მადიდებლობა თქვენი; ხოლო შენ არ იცი, საიდან მოდიხარ. არგიანით და მარმაშენით მოხვალ და მოგაქვს წვალება ნესტორისა და სევეროზისა და პეტროზ მკაწვრელისა, და იკადრებ ყველრებად ერსა ღუთისასა და წინაგანწყობად წმიდისა მართლისა სარწმუნოებისა.

სოსთენი შეაშინა მამა ექვთიმეს ძლიერმა სიტყვამ და ცოტა დაუტკბა ბერს:

– შემინდე, მამაო, განცხრომით თქმული სიტყვისათვის; ახლა კი აღსდეგ, განემზადე და წარმომიდექი. ამიერიდან გკიოთხავ და შენ პასუხს გამცემ.

ექვთიმე იერუსალიმელმა მიუგო:

– არა ეგრეთ განაგო ჭეშმარიტებამან ღვთისამან, რათა მართლმადიდებელნი წარვსდგებოდეთ მწვალებელთა წინაშე, არამედ შენ უფრო გმართებს წარმოსდგა, ვითარცა განსაკითხავი და დასასჯელი, და რამეთუ ესრეთ არს წესი, რომ მეუენი თქვენი წინაშე მეუეთა ჩვენთა და მდვდელთმოძვარნი მდვდელთმოძვართა ჩვენთა წინაშე წარმოსდგებიან და შიშით და ძრწოლით თაყვანისცემებს; ხოლო, თუ ესე არ გსურს, მაშინ ვისხდეთ აქ მკიოთხე და მე მოგაგებ პასუხს.

და იწყო ექვთიმე იერუსალიმელმა წარმოთქმა მართლადსარების სარწმუნოებისა, ერთარსისა და განუყოფელი სამებისათვის და წმიდა სამების მეორე პირის – ძე ღმერთის განკაცებისათვის და მასში ორი ბუნების შეერთებისათვის: განუყოფელად, განუყრელად, შეურევნელად, უქცეველად, როგორც იქადაგა წინასწარმეტყველთაგან და მოციქულთაგან, გვეუწყა განცხადებულად და რწმენა სოფელსა და წმიდათა მდვდელთმოძვართა და დამტკიცდა კრებითა მსოფლიოთა.

და შეახსენა კვლავაც ექვთიმე გრძელმა სომეხთა მოძღვარს – სოსთენს, რომ ისინიც თანაეზიარებოდნენ წმიდა გრიგორს, სომეხთ განმანათლებელს, შემდეგ „აღერიენ სპარსთა თანა...“ და

ესრეთ აღასრულეს ნება ეშმაკისა: „და უდალატეთ მეფეს თქვენსას, განუდექით ბერძნებს და შეუერთდით სპარსთა და გამართეთ კრება დვინში და დასჩხაბეთ განდრეკილი სარწმუნოება წვალებისა იაკობიტთა¹... და კიდევ გეტყვით თქვენ წიგნებში მოხსენიებულ გრიგორ სომეხთა განმანათლებელის შესახებ, რომელსაც ღმერთმა წინასწარ გამოუცხადა ცხოველსმყოფელი სარწმუნოებიდან თქვენი გარდაქცევის შესახებ, რომ ცხვრები მგლებად იქცევიან და სხვა ცხოვართა შეუტევენო“.

შემდგომ მამა ექვთიმემ დაიმოწმა სომებს ქალკედონიტთა – მართლმადიდებელთა პატიკრობა მონოფიზიტ სომხებთან, რომელსაც სომხები „პატმოთინს“² უწოდებენ!

სომეხთა მოძღვარი სოსთენი პატმოთინის ხსენებამ განარისხა და შესძახა:

– წყეულ იყავნ, რომელმაც გასწავა შენ პატმოთინი და აღგჭურვა მით ჩვენთან საბრძოლველად!

იერუსალიმელმა ბერმა კი წარსთქვა შეჩუენება ყოველთა ერთბუნებიანთა და სამწმიდაოს გალობის შემრყვნელთათვის:

– წყეულ იყავ პეტროზ მკაწვრელი, რომელმან გასწავა ხაჩეცარი და განწვალა გალობა „სამწმიდარსობისა“.

– რატომ არის მწვალებლობა ჩვენეული წესი?!

ბერმა მიუგო:

– წერილთა ძალსა ვერ გულისხმაჲოფო და ფრიად სცდებით უგულისხმოებით. მაგის შესახებ გეტყვით, წმიდა წერილის სწავლებით და წმიდა კრებათა მიხედვით, რომლითაც მამებმა ფრიად შეაჩვენეს სიტყვა ეგე თქვენი და გმობად შერაცხეს პეტროზ მკაწვრელის მიერ ხელყოფა „სამწმიდაო“ გალობისა, რომელმაც ლოცვას: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ – დაუმატა: „რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი“. და განყო და ცალკე

1. იაკობიტები – სირიელ და მესოპოტამიელ მონფიზიტთა ხემბა, რომელიც ჩამოაყალიბა იაკობ ბარაქემ (VI ს.)

2. პატმოთინი – უწყება, ისტორია; „ავანდაგირი“ – „გაუწყებას განგზებასა სომხეთისასა წიგნი, რომელსა ეწოდების ავანდაგირი, რომელ არს პატმოთინი“.

დააყენა ძე ლმერთი – გვამოვანი იგი ძალი მამისა და ცალკე – ჯვარცმული, თითქოსდა ძლიერთაგან კიდევ სხვა იყო ვინმე, ანუ ვნებულად შერაცხა უკეთურ- მან მან ძისა თანა მამა და სულიწმიდა... წარვედინ მგმობარი თქვენი მოძღვრება და შეჩვენებულ იყავნ....

შემდგომ ექვთიმე იერუსალიმელი იმ- რწმებს წმიდა გრიგოლის, წმიდა ლმერ- თშემოსილი ათანასის და ნეტარი ვასი- ლის სწავლებას და განუმარტავს, რომ „სამწმიდაობით“ ლოცვა მხოლოდ ძის მიმართ არ არის გამოთქმული, არამედ წმიდისა ერთარსისა სამებისათვის ითქმის და რომ წმიდა სერაბიმნი სამგზის „წმიდაოთი“ გვამცნობენ სამ ჰიპოსტასს – ყოვლად არსს ლმრთებისას, ხოლო საერთო სიტყვით – უფალი – გვაძლევენ ყოვლადწმიდა სამების ერთიანი არსისა და მეუფების გულისხმისყოფას... ბერი შეახსენებს სოსთენს საეკლესიო გარ- დამოცემას, რომლის მიხედვითაც, გან- საცდელის უამს ზეცადადყვანილი ყრმა დამოძღვრეს ანგელოზებმა „სამწმიდაო“ გალობით ესრეთ: წმიდაო ლმერთო, წმი- დაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყ- ალენ ჩვენ.

დასასრულ კი ასე დამოძღვრა ექვ- თიმე ბერმა სომეხთა მოძღვარი: – საკ- ვირველია, როდესაც ვინმე ცვლის იმ გალობას, რომელსაც სერაბიმები გა- ლობენ და სასწაულითა სარწმუნო ქ- ნილა, რომელიც წინასწარმეტყველთაგან ქადაგებულა, მოციქულთაგან დამტკიცე- ბულა, წმიდა მდვდელთმოძღვართა და კრებულთაგან განცხადებულა. და ახლა კი ვინ უნდა იყოს ესრეთ გონმიხდილი, რომელმაც ყოველივე ეს წესი და მო- დგრება დატოვა და პეტროზ მკაწვრე- ლის მოძღვრებას შეუდგა? – დიდი სი- ცოვე და უგუნურებაა ეს. და რომელნიც „წმიდაო ლმერთოსთან“, „ჯვარცმას“ ამ- ბობენ, ანუ სამებასა თოხობა შემატონ – ფრიად შევაჩვენებო ჩვენ და ეშმაკთა თანა შევრაცხოთ...

... მაშინ სოსთენს მისმა დისტულმა, იერემიამ, უთხრა:

– ადექი, წავიდეთ, რამეთუ ვიძლიერ-

ით.

მაგრამ სოსთენმა პვლავ გააგრძელა მამა ექვთიმესთან კამათი და პეტროზის მოძღვრების ქება.

ექვთიმე ბერმა პვლავაც დაუყო პირი:

– სამართლიანად და ჯეროვნად განიდევნა და შეურაცხყოფილ იქმნა და დაემხო უკეთური პეტროზ მკაწვრელი მდვდელმთავრის პატივისაგან და განიდევნა, რადგან, ზემოთქმულთან ერ- თად, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი არ ადიარა დავთისმშობლად, რაც უსჯუ- ლო ნესტორისაგან ისწავლა, და შემდგომ მივიდა და შეაცდუნა ერი ეგე თქვენი უსწავლელი, და რომლისა სახსენებელი და მიმდევარნიც მისნი წარწყმიდა უკუ- ნისამდე.

მაშინდა წარმოსდგა სოსთენი და წას- ვლა დააპირა.

ქართველთა მეფემ ჰკითხა:

– გაქვსდა-რა სიტყვად ჩვენდა ანუ სრულიად იძლიე?

სოსთენმა უპასუხა:

– მე არა თუ კაცოაგან ვიძლიე, არამედ ჭეშმარიტებისაგან.

ხოლო მეფემან კვლავაც ჰკითხა:

– რატომ არ მოიქცევი მართლმადიდუ- ბლობაზე?

– მარმაშენი³ როგორ დავტოვო? – მი- უგო სოსთენმა.

– მის ნაცვლად ჩვენ მოგცემთ სხვას, – შესთავაზა მეფემ.

– ასე ადვილად ვერ დავტოვებ მე მარმაშენს! – სთქა სოსთენმა და შერ- ცხვენილმა დატოვა კრება.

... ხოლო უთაოთა სომეხთა მარცხვე- ნელისა და პირისდამყოფელის – წმიდი- სა და ლმერთშემოსილი მამისა, ექვთიმე იერუსალიმელისა (გრძელის) მიერ ეს- რეთ იდიდა წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება ჩვენი, რომელ იქმნა ძეგლ მართლისა სარწმუნოებისა. და მეფე ბაგრატ და ყოველი საერონი და სასუ- ლიერონი ადიდებდნენ და აკურთხებდნენ ცხოველისმყოფელსა ლმერთსა მამასა და ქეხა და სულსა წმიდასა, რომელსა შვენის დიდება და თაყვანისცემა უკუ- ნისამდე. ამინ.

3. არგინი და მარმაშენი – სომეხთა მონასტერი, რომლის წინამდ- ღვარი იყო სოსთენი (პ. აკელიძე, „სამოთხე“, ტ. 1.)

`UFALMAN AWVIMA CECXLİ-

მართლმადიდებლურმა ბრივმა ზნეობამ მრავალი ერი და სახელმწიფო აღაშენა, აღამაღლა და განაბრწყინა, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველო. ქართული კულტურულ-ზნეობრივი სახე მსოფლიო ისტორიის თვალსაჩინოებაა. ქართული სულის სიწმიდემ უდიდესი თვითმყოფადი კულტურა შექმნა და კაცობრიობას მრავალი საეკლესიო თუ საერო მოღვაწე შესძინა, რომელთა ზნეობრივ-მორალური სიმაღლე ყოველი დროის პროგრესულ ნაწილს აოცებდა. . .

დღეს კი, აპოკალიფსურ სინამდვილეში, მსოფლიო ე.წ. გლობალიზაციამ მოიცვა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა წმიდა წერილისაგან უწყებული „უსჯულოების საიდუმლო“ და იგი უზნეობის მორევში ითრევს ერებს; ზნეობრივმა უსჯულოუბამ საქართველოზეც იმძლავრა და დათის ერს ნაირსახის ცოდვები მოეძალა, რომელთაგან, უკანასკნელ ხანს, მასმედია და საზოგადოება პროპაგანდას უწევს სოდომურ ცოდვას (ჰომოსექსუალიზმს).

წმიდა წერილი, ძველ აღთქმაში, სოდომ-გომორულ ცოდვაზე გვაუწყებს: „და-დადება სოდომისა და გომორისა განმრავ-ლდა ჩემდა მომართ და ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად, გარდავიდე უკუე და ვიხილო, უკეთუ დადადებისაებრ მათისა ჩემდა მომავლისა იქცევიან (დაბ. 18.20). ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სოდომური ცოდვის მომქმედი (ჰომოსექსუალები, ლესბიანები და მისთანა) სიკვდილით ისჯებოდნენ, მომდევნო საუკუნეებში კი – ეკლესიიდან განდევნით; თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე, მართლმადიდებლური სწავლებიდან გარდახდომის პარალელურად, სოდომურ ცოდვას ჯერ „სექსუალურ პსიქოპატიად“ იხსენიებენ, შემდეგ – „სექსუალურ ორიენტაციად“ სახელდებენ, რომელსაც რეკლამას უწევენ და საზოგადოებაში თანდათან მისი ლეგალიზება ხდება. თუკი ადრე

ამ ცოდვის მომქმედი სისხლის სამართლის დანაშაულით ისჯებოდნენ, დღეისათვის სახელმწიფო კანონმდებლობით, ეს ღვთისმგმობი ცოდვა ლეგალიზებულად ცხადდება „დემოკრატიულ“ ქვეყნებში, როგორიცაა: კანადა, დანია, ირლანდია ნორვეგია, ნიდერლანდია, ესანეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა.

ქრისტიანები დღეს სასტიკ სულიერ დევნას განიცდიან, ფიზიკურ დევნაზე გაცილებით მწვავეს და აუტანელს – სულიერ წამებას, რასაც ზნეობრივი დაცემის ხილვით განიცდიან და განსაკუთრებით – საკუთარი ხალხის წახდენით.

წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ხედავს, რომ „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“, ამ მომაკვდინებელ ცოდვაში მყოფებისათვის ლოცულობს და ევედრება უფალ იქსო ქრისტეს, რათა სინანული მიანიჭოს მათ და განწმიდოს ისინი ადსარებით და ღირსყოს მონანულნი შენდობისა და ზიარებისა, რამეთუ უფალი და მისი წმიდა ეკლესია არასოდეს არ განაგდებს მონანულ ცოდვილს.

აქვე მოგვაქვს ამონარიდი „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერიდან“, რომელშიც უმკაცრესად არის დაგმობილი მომაკვდინებელი სოდომური ცოდვა. ცნობილია და მკითხველს კიდევ ერთგზის შევასენებო, რომ „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა“ საეკლესიო კრებაზე მიიღეს, რომელიც გაიმართა 1103 წელს აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა წმიდა დავით აღმაშენებელის ინიციატივით. კრების თავმჯდომარე იყო კათოლიკოს-პატრიარქი იოანე IV.

ქართული სამართლის ამ ერთ-ერთ საუკეთესო წყაროში ცალკე მუხლი აქვს გამოყოფილი სოდომური ცოდვის გმობა-მხილებას და იგი, როგორც ბუნების საწინააღმდეგო უმძიმესი დანაშაული, მომაკვდინებელ ცოდვად არის განკანონებული, რომელსაც ქვეყნის დაღუპვა შეუძლია

„რუს-ურბნისის პრების ძეგლის შემთხვევა“

გენერალური 18-19

დვოის გამამწარებელი უბილწესი საძაგლობა, სოდომელთა ცოდვა, არ ვიცით, როგორ შეეთვისა ამ მოდგმას. მან სულ ჩამოაშორა იგი და გააუცხოვა დმერთის-გან. ვისთანაც მან განსასვენებელი პოვა, მათვის ვადგენო შემდეგს: მრავალგზის, მრავალი მოდგმის მიერ მრავალი და ურიცხვი ცოდვა ყოფილა ჩადენილი, როგორიცაა: მტრობა, შური, სიძულვილი, კაცისკვლა, მრუშობა, ცრუფიცობა,, ბოლოს ყოველი ბოროტების საწყისი – კერაპთმსახურება და თაყვანისცემის გადატანა დამბადებელიდან დაბადებულთა მიმართ. მაგრამ არც ერთი ამათგანის გამო არ აღელვებულა აუღელვებელი დმერთი, როგორც თვითონ უთხრა აბრამს: „სოდომისა და გომორის დაღადება მოვიდა ჩემამდე და ჩამოვედი სანახავად, არის თუ არ არა მათი დაღადებისამებრ მათი საქმეები“ (შდრ. შესაქ. 18, 20-21). ამის შემდეგ ნახეთ, თუ რა მოხდება! კაცთათვის დვოისგან სამსახურებლად გაჩენილი ნივთები თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ როგორ შეიცვლიან ბუნებრივ ძალას და უცხო ცოდვის აღსაგველად უცხო ქმედების უნარს შეიძენე: მუდამ აღმა მოძრავი ეთერის ცეცხლის მსუბუქი ბუნება როგორც რაღაც სქელი და მძიმე დაღმა ჩამოედინება და მძაფრი წვიმის საშინელებით ჩქეფს გოგირდთან არეული, რათა დაფერფლოს მრავალი ადამიანის უკეთური სიბილწე. ხოლო ჰაერის ნაზი, თხელი და უფერული ბუნება, რომელიც ცოცხალ არსებათა სუნთქვისა და სიცოცხლის მიზეზია, შეიცვლის თავს ხშირი ალმურის სისქედ, ხელით საძიებელი სიბნელის ფერად და დამახრხობელ კვამლად, ნიშნად რისხვისა. ამასთან ერთად, მიწა მყარი, მტკიცე და მასზე დამყარებულ სხეულთა მტკირთველი, ვეღარ იტვირთავს მათ საძაგელ სიბილწეს, პირველად შესძრავს თავის საფუძველს, სიღრმიდან ამოდულებული ჰაერით ამოიტანს თავისი სიმტკიცის საფუძველს და მიწაში ჩაქცევს მათი მაღალი კოშკებისა და

ტაძრების სიმაგრეს. შემდეგ გააღებს მანამდე გაუდებელ პირს და ჩაყლაპავს არა არსებებს, არამედ უკვე დამწვარ ძვლებს და ოდესლაც ადამიანად ყოფილ რაღაც საწყალობელ ნეშტებს. წყალიც უცხოდ და შეცვლილად გამოიყურება მათვის და აღარ არის შვების მომგვრელი და მოსახმარი. იგი მათი ნეშტის აღსახოცავად მოედინება მათეული ქვეყნის მიწაზე, უფრო კი – მათ საფლავად ქმნილ ჯოჯოხეთზე და სხვა წყლების ბუნებისგან ისე შეცვლილი, რამდენადაც ისინი აჭარბებებ სხვა ადამიანებს წრეგადასული სიბილწით. ამ ურჯულოებამ უმრავლესი ქვეყნის დამპყრობელი ასურასტანელთა სამეფო სპარსთა და მიდთა ტყვედ აქცია და სრულიად აღმოფხვრა სახსენებელი არა მხოლოდ მეფისა და ძალაუფლების მქონეთა, არამედ სულ მოსპო კაცთა შორის მათი სახელი. ამ ცოდვამ დიდი და ცნობილი სომეხთა ნაოვესავი მეფით და მათი მთავრობითურთ არა მარტო დაამდაბლა და დაამხო, არამედ სრულიად აღიღო კაცთან სახელი მათი და დღეს არ იპოვება, მათ შორის სახელი არც მეფისა და არც მთავრისა, რომელსაც დაუმონებელი თავისუფლება ჰქონდეს, მთელი დედამიწა რომ მოიაროთ. ამ სიბილწემ, სპარსელთა მაღალი და რომის სამეფოს მარად მოწინააღმდეგე სამფლობელო, მხეცის ბუნების მქონე ავაზაკი კაცების თავდასხმებით მიწამდე დაამდაბლა და მათი ძალადობის მორჩილად დატოვა აქამდე.

არ ვიცით, თუ საიდან შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში: „რაღ ზიარებად იყო ბელიარისი ქრისტეს თანა?“ (II კორინთელთა 6, 15), რომ უცხო ტომთა ხელში ჩავარდნით და მათი მახვილის მოქმედებით ისრაელის ნეშტიდა დაგვრჩა. თუ დავრჩით იმავე უკეთურებაზე, ვაი ჩემდა, თუ დავდუმდი და აღარ ვთქვი ეს ძნელი საოქმედი, ყველასთვის რომ ცხადია. ჩვენც ხომ უნდა მოვერიდოთ მას. ამისთვის ვამცნებოთ ყველას – დიდსა და მცირეს, მდიდარსა და

დარიბს, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს და ასე განვამტკიცებთ ჩვენი უფლის იქსო ქრისტეს სახელით: ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და არა თუ საქმით არ მიატოვებს, არამედ ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და

გახრწნის დვთის ტაძარს, მას დმერთი გახრწნის. ამასთან ერთად ჩვენგან, საღვთო მონობის დირსქმნილი უდირსი მონებისაგან, ვაი ჩვენდა, ისინი დაიმკვიდრებენ არა კურთხევას, არამედ საუკუნო შერცხენასა და მხილებას.

ხოლო ვინაითგან ერთმანეთის თაყვანისცემის მიზეზად ჩვენ შორის მყოფი დვთის ხატება არის აღსასრული და ქადაგებული ჩვენ დიდ მოძღვართა და მამათა მიერ. ცხადია, დვთის ხატის თაყვანისმცემელი ღმერთს სცემს თაყვანს მისი საშუალებით და დვთის ხატის მაგინებელიც



სოდომ-გომორის დასჯა

მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთოროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად. ხოლო იმქვეუნად ამ ცოდვის ჩამდენი მივამასთან, ვინც დადის უფლის წინაშე და სწვავს ირგვლივ ღმერთის მტრებს. ხორცის სიყვარული დვთის მტრობაა და ვინც

ღმერთს აგინებს უეჭველად, როგორც წერს ამას წმიდათა შორის დიდი ბასილი.

ამიტომ ვადგენო, რომ ეს დვთის შემაწუხებელი და შეურაცხმყოფელი ცოდვა სრულიად მოისპოს ყველა ენისა და ჩვენი მოდგმისაგან და ვინც ამიერიდან შეაგინოს თავისი სული, გონება და პირი ზემოთქმული უსახური გინებით, ისიც განკანონებულ იქნეს.

ARSAREBIS SAIDUMLO

(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უფლიდესისა და უნეტარესის ილია II-ის 1983 წლის
საშობაო ეპისტოლების ამონარიდი)

....ჩვენ ვლაპარაკობთ სინანულზე, ადსარებაზე, მაშინ, როცა ადამიანმა ხშირად არც კი იცის რა უნდა მოინანიოს, რა ითვლება ცოდვად. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ცოდვა ჩვენი თვისებაა, თითქოს იგი ჩვენი ბუნების ნაწილია. ცნობილია, რომ ადამიანი ღვთის მსგავსად არის შექმნილი. ის, რაც არ შეესატყვისება შემოქმედის სახეს, არ არის ჩვენი ბუნებისეული. მაშ, რას წარმოადგენს ცოდვა ღვთისმეტყველთა გაგებით? – ცოდვა ბოროტებაა, რომელიც პიროვნებაში მისი ნებით შედის. ბოროტება ანუ ცოდვა ადამიანის ბუნება კი არ არის, მისი მდგომარეობაა. პროკლე დიადოხოსის თქმით: „ბოროტისადმი ჩვენს მიდრეკილებას სძლევს ბუნება სიკეთისა, რადგანაც სიკეთე არსებობს, ბოროტება კი არ არსებობს; უფრო სწორად, ბოროტება არსებობს მაშინ, როდესაც მას გამოავლენებ“ (საღვთისმეტყველო შრომები, 1972 წ. გვ.69). ცოდვა შედეგია ნების სისუსტისა ან სნეულებისა; იგი ამბოხია ღვთის წინააღმდეგ, რადგანაც ცოდვით ვარდვევთ მის მცნებებს. ამასთან, ის ერთგვარი სენია, რომელიც ცდილობს, დამკვიდრდეს ადამიანში და დაავადოს იგი. პიროვნება თავისი სურვილით უთმობს ადგილს ბოროტებას და შეჰყავს ცოდვა თავის სამყაროში, თანხმდება, იყოს მისი მორჩილი.

ასე რომ, ცოდვა უცხო, არაბუნებრივი მდგომარეობაა ადამიანისა და მისგან კაცი მხოლოდ სინანულითა და ადსარებით თავისუფლდება. ცოდვა მრავალგვარი არსებობს. ამ ეპისტოლეში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით, ისეთზე, ხშირად რომ გვხვდება და გვაშორებს ღმერთს.

პირველი და მნელადგამოსასწორებელი ცოდვა ამპარტავნებაა. ეს ის პირველი ცოდვაა, ანგელოზი ეშმაკად რომ აქცია.

ბიბლიაში ბეგრგანაა თქმული ამპარტავნების შესახებ. ბრძენი სოლომონი ამბობს: მოდის მედიდურობა და მოჰყვება დამცირება (იგავნი 11,2); დამხობას წინ უძღვის ამპარტავნება, დაცემას - ქედმაღლობა (იგავნი 16,18). იაკობ მოციქულთან ვკითხულობთ: ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი (იაკობი 4,6).

რა არის ამპარტავნება? მას ძალიან სხარგად და ლაკონურად განმარტავს ღირსი მამა იოანე კიბისადმწერელი. ამპარტავნება უკიდურესი სიდატაკეა სულისა. ფილოსოფია და მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია მრავალგვარი განსაზღვრებითა და მაგალითით ამ ნაკლისა, მაგრამ დასკვნა საერთოა: ქედმაღლობა მანკიური გრძნობაა, საძრახი და ყოვლად დამამცირებელი. იგი გვიჩვენებს, რომ პიროვნება არ იცნობს თავის თავს. ამპარტავანს სხვისი უპირატესობა აღიზიანებს. წმიდა ეფრემ ასურის თქმით, ამპარტავანი ვერ იტანს მასზე უკეთესს, ასეთისა ან შურს, ან უჯიბრება მას. იგი ვინმეს შექებას საკუთარ დამცირებად და შეურაცხეოფად იღებს.

მეორე ცოდვა არის მრისხანება, რომელიც ხშირად გვხვდება და რომელიც დაკავშირებულია ქედმაღლობასთან, ეკლესიასტეს წიგნში ვკითხულობთ: ნუ მოსწრაფე ხარ სულსა შინა თვისითა გულისწყრომად, რამეთუ გულისწყრომა წიადთა შინა უგუნურთასა განისუენებს (ეპლ. 7,10). წმიდა პავლე მოციქული გვაფრთხილებს: ყოველი სიმწარე და რისხვამ და გულის წყრომად და ლადადებად და გმობად მოისპენ თქუენ შორის ყოვლითურთ უკეთურებით (ეფესელთა, 4,31). უკეთური, მრისხანე ადამიანი პირველ რიგში საკუთარ თავს ვნებს, შემდეგ კი სხვებს. რისხ-

ვა უარყოფითად მოქმედებს გონებაზე, გულზე, ნერვიულ სისტემასა და საერთოდ მთელ ორგანიზმზე. ღირსი მამა იოანე კასიანე მრისხანებას სასიკვდილო შხამს უწოდებს. მძვინვარე კაცი ვეღარ საზღვრავს; მან შეიძლება შეურაცხეყოს სუსტი, დაამციროს, გაანაწევნოს უძლური, შეიძლება ისეთი საქციელი ჩაიდინოს, სულს მოუშუშებელ ჭრილობად რომ დარჩება სიცოცხლის ბოლომდე. გულისწყორომისა და გულფიცხელობისაგან მორჩილება, სიმშვიდე, სიმდაბლე გვპურნავს. უფალი გვასწავლის: „აღიდეთ უდედი ჩემი თქუნება და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდელი და მდაბალ გულითა, და პპოოთ განსუენებად სულთა თქუნთად (მათე 11,29).“ გულფიცხელი და მრისხანენი საბრალონია; განერიდეთ ამ ცოდვას.

მძიმე ცოდვა, ტვირთად რომ გვაწევს ჩვენ, არის შური. იაკობ მოციქული წერს: სადა არ ს შური და კდომად, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე (იაკობი 3,16). ბრძენი სოლომონი ამბობს: „ნუ ისერებ კაცისა თანა მოშურნისა (იგავნი 23,6).

შური სხვა ადამიანის კეთილდღეობით, უპირატესობით ანდა სხვა რაიმე წარმატებით გამოწვეული წყენა და გაღიზიანებაა. იგი ყველას მიერ დაგმობილი, მაგრამ მაინც მრავალთათვის დამახასიათებელი ნაკლიარომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობენ. შურმა შეიძლება კაცი ბოროტმოქმედად აქციოს. საოცარია, ეს ცოდვა მატერიალურ სამყაროში უფრო მეტად ვლინდება; იშვიათად თუ ვინმეს შეშურდეს ადამიანის სულიერი მიღწევებისა. არ შურთ იმისი, ვისაც უფრო დიდი სარწმუნოება და სიყვარული აქვს, ვინც მეტის მომოქნია, ვინც კეთილთა ნიჭთა მოპოვებას ესწრაფვის. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: ხოლო უკეთ შური მწარე გაქუნდეს და კდომად გულთა შინა თქუნთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა (იაკობი 3,14). ე.ი. ნუ მოიწონებთ თავს ქრისტიანის სახელით და ნუ იცრუებთ, თითქოს შური იმდენად უბრალო რამ იყოს, რომ იგი ჭეშმარიტებას ზიარებული კაცისთვის დასაშვებად



წმიდა იოანე ნათლისმცემელი

მიიჩნიოთ. მოციქული პავლე კორინთელთა ეკლესიას აფრთხილებდა: რამეთუ სადაღა თქუნებ შორის შური და კდომად და განწვალებანი, არა გორციელებდა ხართა და კაცობრივ იქცევით (1 კორ. 3,3); შურით ანთებული ადამიანი კილავს და აძაგებს ყველას, ვისაც ეჯიბრება: მტერსა თუ მოყვარეს. ხშირად უნიჭოებს დიდი პრეტენზიები აქვთ, საქმით კი არაფერს აკეთებენ და ამ სამწუხარო გრძნობის მორჩილნი პატიოსან და უდანაშაულო ადამიანებს განიკითხავენ.

არ შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანი და ამავ დროს შურით შეპყრობილი. სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი.

მანო და დანო ჩემნო! განარიდეთ გულნი თქვენნი შურსა, ხედვიდეთ რა წარმატებას მოყვასისა თქვენისა, იხარებდეთ მის თანა. დაეხმარეთ ნიჭმიმადლებულს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. გახ-

სოვდეთ, დმერთი თქვენს გულს ხედავს და მოგაგებთ სიმდიდრისაებრ გულისა თქვენისა.

აღნიშნულის გარდა არსებობს სხვა ცოდვებიც: პატივმოყვარეობა, სიზარმაცე, სასოწარკვეთილება, მრუშობა, სიძუნწე, სიძულვილი, დვარძლი, განკითხვა... ისინი გვაშორებენ დმერთს და შინაგან პარმონიას ურდვევენ ჩვენს სულს. ადვილი არ არის ცოდვებისაგან გათავისუფლება. ეს მით უფრო ძნელია, თუ ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან. მთავარია, ადამიანის შინაგანად სძულდეს ცოდვა და მის მოკვეთას ცდილობდეს. თუ გაქვს სურვილი გამოსწორებისა, უკვე სწორ გზაზე დგასარ. ამ დროს უნდა იჩქარო ტაძრისაკენ. მიდი მდვდელთან, როგორც სულის მკურნალთან, და გაუმხილე შენი ნაკლოვანებანი. მისი ლოცვითა და კურთხევით, თვით დვთისაგან მიიღებ შენდობას.

მდვდლის წინაშე თქმული ადსარება აუცილებელი პირობაა სინანულისა, რადგანაც მოძღვარს დვთისაგან აქვს მინიჭებული უფლება ცოდვათა მიტევებისა.

ზოგჯერ ამბობენ: რა საჭიროა ეკლესიაში მდვდელთან მისვლა? განა არ შეიძლება, თვით უფალს უთხრა შენი ცოდვები და მოინანიო მის წინაშე? – ასეთ ადამიანებს არ ესმით ადსარების საიდუმლო და მდვდლის შენდობის ძალა. **ადსარება განწმედაა, მეორე ნათლობაა, როგორც მას წმიდა მამები უწოდებენ, იგი შერიგებაა ლმერთთან, შინაგანი სიმშეიდვა, დაწყნარებაა.**

როდესაც ჩვენი სულიერი ჭურჭელი განსპერაკდება, თავმდაბლად და კრძალვით უნდა მივიღოთ წმიდა ზიარება.

რა არის ზიარება და რატომაა იგი აუცილებელი? წმ. ზიარება თვით უფალმა იქსო ქრისტემ დაადგინა საიდუმლო სერობისას. წმ. მოციქულის, ლუკას, სახარებაში ვკითხულობთ: „იქსო ქრისტემ მოიდო პური, პმადლობდა, და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჭორცი ჩემი თქუენთვს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსა გსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი - ახალი სჯული სისხლისა ჩემისა თქუენთვს დათხეული“ (ლუკა, 22,19-20).

WESI ARSAREBISA

სულიწმიდის (პარაკლიტონის) სახელობის მონასტერი. ოროპოსი, საბერძნეთი, 2003.ათენის ბერძნულ-ქართული ინსტიტუტი
(იბეჭდება მცირე შემოკლებით)

1. ადსარება ერისგაცთა

ვალიარებ მე, ცოდვილი (სახელი), წინაშე უფლისა დვთისა ყოვლისამპყრობელისა, ყოვლადწმიდისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ყოველთა ჩემთა ცოდვათა, რაოდენი ვცოდე ნებსით, ანუ უნებლივთ, სიტყვით გინა საქმით, ცნობით თუ უმცრებით.

ვცოდე: წმიდა ნათლისდების აღთქმები არ დავიცავი, არამედ ყოვლადვე სიცრუე ვქმენი, დავაშავე და უხმარი გამოვდექი დვთის წინაშე.

შემინდე, უფალო!

ვცოდე: მცირედმორწმუნეობით, ურწმუნოებით, ეჭვით, ბოროტ გულისსიტყვებში

დაყოვნებით, რომელთაც ეშმაკი აღმიძრავს დვთისა და ეკლესის წინააღმდეგ, თავდაჯერებულობითა და სიჯიუტით; ცრუმორწმუნეობით, მკითხაობით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, დაუდევრობით; საკუთარი ცხონებისადმი უსასობით, საკუთარი თვისა და ადამიანებისადმი უფრო მეტი მინდობით, ვიდრე დვთისადმი.

ვცოდე: დვთის მართლმსაჯულების დავიწყებითა და მისი წმიდა ნებისადმი ერთგულების უქონლობით; დვთის განგებულებისადმი ურჩობით, საკუთარ ნებაზე ყოფნის სურვილით, კაცომოთნეობით და ნივთებისადმი მიჯაჭვულობით.

ვცოდე: არ ვცდილობდი, შემეცნო დმერთი, მისი წმიდა ნება, რომ განვმტკიცებული

ლიყავი სარწმუნოებაში, მქონოდა შიში და მოწიწება ღვთისა, სასოება და მოშურნეობა მისი დიდებისადმი.

გცოდე: ღვთის მრავალი დიდი და უსაზღვრო მოწყალების წილ, უმაღურობითა და მათი არგახსენებით, ღმერთზე დრტვინვით, სულმოკლეობით, სასოწარკვეთილებით, გულის გასასტიკებით, ღვთისადმი სიყვარულისა და შიშის უქონლობით და მისი წმიდანების შეუსრულებლობით.

გცოდე: ვნებათა დამონებით: გემომოყვარეობით, ანგარებით, სიამაყით, თავმოყვა-

ეების შებლალვით, ღვთის სახელის ამაოდ ხსენებით.

გცოდე: საუფლო დღესასწაულებისადმი უპატივცემულობით, ტაძარში წაუსვლელობით, სიზარმაცისა და დაუდევრობისა გამო, ღვთისმსახურებაზე უგულო დგომით; უქმისმეტყველებითა და სიცილით; კითხვისა და გალობის მიმართ უყურადღებობით, გონებაგაფანტულობით, წირვა-ლოცვის დროს ტაძარში აქეთ-იქით სიარულით, მსახურების დასრულებამდე ტაძრიდან გასვლით; უწმიდურებით ტაძარში სიარულით და სიწმიდეთა შეხებით.

გცოდე: ლოცვისადმი დაუდევრობით, დილა-საღამოს ლოცვების, წმ. სახარების, ფსალმუნებისა და სხვა წმინდა წიგნების კითხვის მიზოვებით.

გცოდე: აღსარებაში ცოდვების დამალვით, ანდა თავის მართლებით და მათი სიმიმის შემცირებით, გულშემუხრილების გარეშე აღსარების თქმით, სათანადო მომზადების გარეშე ქრისტეს წმ. ნაწილებთან ზიარებით; მოყვასთან შერიგების გარეშე აღსარებაზე გასვლით და ამგვარ ცოდვაში მყოფი ვბედავდი ზიარებას.

გცოდე: წმიდა მარხვების დარღვევითა და სამარხო დღეების: ოთხშაბათისა და პარასკევის დაუცველობით; საჭმელ-სასმელისაგან თავშეუკავებლობით; პირჯვრის დაუდევრად და არასაკადრისი პატივისცემით გამოსახვით.

გცოდე: ურჩობით, თავის მოიმედეობით, თვითრჯულობით, თავის მართლებით; სიზარმაცითა და მობარებული საქმის არაკეთილსინდისიერად შესრულებით.

გცოდე: მშობლებისა და ასაკით უფროსებისადმი უპატივცემულობით, კადნიერებით, კერპობითა და დაუმორჩილებლობით.

გცოდე: მოყვასისადმი სიყვარულის უქონლობით, მოუთმენლობით, ანჩხლობით, გაჯავრებით, მრისხანებით, მოყვასისათვის ზიანის მიუენებით, მის წინაშე დაუთმენლობით, მტრობით, ბოროტებაზე ბოროტების



უოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „მოულოდნელი სიხარული“ რეობით, პატივმოყვარეობით, დიდებისმოყვარეობით, ქებისმოყვარეობით, მომხვეჭელობით, მუცელდორობით, ნუგბარისადმი სიყვარულით, ფარული ჭამით, ნაყროვანებით (გაუმაძღვრობით), ლოთობით, აზარტული თამაშებისა და სანახაობებისადმი სიყვარულით.

გცოდე: ფიცით, მიცემული აღთქმის შეუსრულებლობით, სხვებსაც ვაიძულებდი დაფიცებას, გცოდე სიწმინდეებისადმი უკრძალველობით, მკრეხლობით, სიწმინდ-

მიგებით, წყენის უპატიებლობით, ძვირისხმენებით (მოყვასისაგან გაკეთებული ცუდის დახსომებით), შურით, ეჭვიანობით, მოყვასისთვის ბოროტების ნდომით, შურისძიებით, განკითხვით, ცილისწამებით, მზაქვრობით, უბედური ადამიანისადმი თანაგრძნობის უქონლობით, გლახაკთშეუწყნარებლობით, სიძუნწით, მფლანგველობით, ანგარებით, ორგულობით, უსამართლობით, გულქაობით.

პოლიტიკური მომსახურები: ცბიერებით, მოყვასის მოტყუებით, არაგულწრფელი ურთიერთობით, საეჭვო ქცევით, ორპირობით, გაკიცხვით, ტყუილით, ფარისევლობითა და პირფერობით.

პოლიტიკური მომსახურები: ენის დაუკავებლობით, უქმისმეტყველებით, უჯერო სიცილით, სხვათა ცოდვებისა და სისუსტეების გამხელით, მაცოური ქცევით (სხვებისათვის თავის მოწონებისა და ცოუნების მიზნით), თავისუფალი ქცევით, კაღნიერებით.

პოლიტიკური მომსახურები: გრძნობების შეუკავებლობით, მიკერძოებით, უწმიდური აზრებით ტკბობით, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა მოურიდებელი თვალიერებით, მათთან თავისუფალი ქცევით, სიძვით, მრუშობით, გადაჭარბებული კეპლუცობით.

პოლიტიკური მომსახურები: გულწრფელობის, უბრლოების, ერთგულების, სიმართლის, სხვათა პატივისცემის, სიდარბაისლის, მოზომილი საუბრის, კეთილგონიერი დუმილის, სხვისი პატივის დაცვისა და შენახვის, სიყვარულის, თავშეკავებულობის, უბიწოების, მოკრძალებული ქცევებისა და საუბრის, გულის სიწმინდის, უპოვრების, გულმოწყალებისა და სიმდაბლის უქონლობით.

პოლიტიკური მომსახურები: სასოწარკვეთილებით, ჭმუნვით, მზერით, სმენით, გემოთი, ყნოსვით, შეხებით, ბიწიერებით, უწმინდურებით და ყველა ჩემი გრძნობით, გონებით, სიტყვით, საქმით, სურვილით და სხვა ცოდვებით, რომელიც ჩემი გულმავიწყობისა გამო ვერ გავიხეხე.

შემინდე უფალო!

ვნანობ, რომ ჩემი ცოდვებით განვარისხე უფალი ღმერთი, გულწრფელად ვწუხვარ ამის გამო და მსურს, ყველანაირად შევიკარ თავი ცოდვისაგან.

უფალო, ღმერთი და მაცხოვარი ჩემო, ცრემლითა გთხოვ და გევედრები, მწე მეყავ მე, ცოდვილსა, ქრისტიანობრივისა ცხოვრებისა მდომელსა, რათა განგმტკიცდე წმინდასა ამას განზრახვასა ზედა, ხოლო შე-

ცოდებანი ჩემი, რომელთაცა აღგიარებ მე, ცოდვილი, შემინდევ, ვითარცა სახიერმან და კაცომოყვარემან.

უმძიმესი ცოდვები, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, განსაკუთრებით უნდა გაუმჯდავნოთ სულიერ მოძღვარს. აღსარებაში ადრე აღიარებული და შენდობილი ცოდვების გამეორება ადარ არის საჭირო, რადგან ისინი უკვე მოგვეტევა. მათი ხელახლა აღიარება მხოლოდ მაშინ მოვიწევს, თუ იმავე ცოდვას კვლავ ჩავიდენთ. უნდა მოვინანიოთ ის ცოდვებიც, რომლებიც დაგიწყებული გვქონდა და ახლა გაგვახსნდა.


2. მორჩილი მამებისა

გადიარებ მე, ცოდვილი (სახელი) წინაშე უფლისა დმრთისა ჩემისა, იქსო ქრისტესა და წინაშე შენსა, პატიოსანო მამაო, ყოველთა შეცოდებათა ჩემთა, რაოდენი ვცოდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, სიტყვით თუ საქმით, ნებსით თუ უნებლიერ.

პოლიტიკური მომსახურები: წმიდა ნათლისდების აღთქმები არ შევასრულე, სიყვარული დგთისა და მოყვასისა არ დავიცავი.

პოლიტიკური მომსახურები: საეკლესიო და სასენაკო კანონების შეუსრულებლობით, საეკლესიო მსახურებისადმი დაუდევრობით; წინამძღვრისა და უფროსი ძმებისადმი ურჩობით; დრტვინვით, თვითრჩულობით, თავნებობით, საკუთარი თავის სიამოვნებით, სიამაყით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, თავმოყვარებით, პატივმოყვარებით, შეპასუხებით, თავის მართლებით, კამათით; უქმისმეტყველებით; სიცრულით, სიცილით, კადნიერებით, თავისუფალი ქცევით, ფიცით, სიწმინდეების შებდალვით; განკითხვით, ცილისწამებით, ათვალწუნებით, მოყვასის გაკიცხვით, საყვედურის თქმით, სხვისი წყენინებით, ბოროტსიტყვაობით, შეურაცხეოფით, შეშფოთებით, დაცინვით, მოუთმენლობით, სასოწარკვეთილებით, სულმოკლეობით; მრისხანებით, მძვინვარებით, ძვირისხენებით (მოყვასისაგან ჩადენილი ცუდის დახსომებით); სიძულვილით, შერით, ეჭვიანობით, ბოროტებაზე ბოროტების მიგებით; ცბიერებით, პირფერობით, მოტყუებით, სიზარმაცით, დაუდევრობით, ვერცხლისმოყვარებით, მომხვეჭელობით, სხვისი

ნივთის მისაკუთრებით და დამალვით, სიძუნწით; ბევრი ჭამითა და ღვინის სმით, ნუგბარის სიყვარულით, ფარული ჭამით, მარხვების დაუცველობით; რამეზე ან ვინმეზე მიჯაჭვულობით, არაწმიდა აზრებით ტკბობით, უწმინდურ გულისზრახვათა მიღებითა და მათში დაყოვნებით, გრძნობების: ხედვის,



უძლები შვილის დაბრუნება

სმენის, გემოს, შეხების შეუკავებლობით და სხვა სულიერი და ხორციელი ცოდვებით.

კოველივეს ვნანობ და წარვუდგენ თავსა ჩემსა, შემცოდესა, უფალსა დმერთსა. შენ კი, პატიოსანო მამაო, შემინდე, მაკურთხე, გამათავისუფლე მათგან და ილოცე ჩემ ცოდვილისათვის.

3. ბერებისა

გადიარებ მე, ცოდვილი (სახელი) წინაშე უფლისა დმრთისა და მაცხოვრისა ჩემისა იესო ქრისტესა და შენსა, პატიოსანო მამაო, ყოველთა ჩემთა ცოდვათა და ბოროტა საქმეთა, რაოდენი ვცოდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა სიტყვით თუ საქმით,

ნებსით თუ უნებლივთ.

ვცოდე: წმიდა ნათლისდების აღთქმათა დარღვევით და მონოზვნური აღთქმათა შეუსრულებლობით, ყოვლადვე სიცრუის ყოფით და დმრთის წინაშე უხმარად ყოფით.

ვცოდე: დვთისა და მოყვასის სიყვარულის აღუსრულებლობით; საღვთო სჯულისა და წმიდა მამათა გადმოცემათა სიზარმაცისა და დაუდევრობის გამო უსწავლელობით.

ვცოდე: საეკლესიო და სასენაკო კანონების შეუსრულებლობით; ტაძარში უგულო სიარულით, სიზარმაცითა და დაუდევრობით, დვთისმსახურების დროს უქმისმეტყველებით, სიცილით, თვლემით, უდროო დროს ჩამოჯდომით, კითხვისა და გალობის მიმართ უყურადღებობით, გონქბაგაფანტულობით, ტაძარში უმიზეზოდ წაუსვლელობით, წირვა-ლოცვიდან ან მის დამთავრებამდე უმიზეზოდ გამოსვლით.

ვცოდე: უწმინდურ მდგომარეობაში ეკლესიაში შესვლით და ანგილორის მიღებით, ანდა სხვა სიწმინდეების შეხებით.

ვცოდე: წინამდღვრისა და უფროსი ძმებისადმი ურჩობით, მათი განკითხვით; სამორჩილო საქმის ბუზღუნით და დაუდევრად შესრულებით; საჭმლისადმი პრეტენზიებით.

ვცოდე: საუფლო დღესასწაულების უპატივცემულობით, მარხების დარღვევით და სამარხვო დღეების დაუცველობით; საჭმელ-სასმლისადმი თავშეუკავებლობით, გაუმაძღრობით, ფარული ჭამით, ნუგბარის სიყვარულით და ღვინის სმით; საკუთარი ნებისა და აზრის გატარებით, ურჩობით, თვითრჯულობით, თავნებობით; სხვის სენაკებში საჭიროების გარეშე შესვლითა და უქმისმეტყველებით; თავის მართლებით.

ვცოდე: ურწმუნოებით, ეჭვიანობით, მცირედმორწმუნებით სასოწარკვეთილებით, ურვით, ბილწი გულის სიტყვებით, სიწმინდეების შებდალვით, ცრუ ფიცით.

ვცოდე: აპარტავნებით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, სიამაყით, თავმოყვა-

რეობით, პატივმოყვარეობით, დიდებისმოყვარეობით, ქებისმოყვარეობით, შურით, დიდგულობით, შეზიზდებით.

გცოდე: განკითხვით, ბოროტსიტყვაობით, მრისხანებით, ძვირისხენებით (სხვისი ცუდის დახსომებით), სიძლვილით, ბოროტებაზე ბოროტის მიგებით, ცილისწამებით, საყვედურის თქმით, ცბიერებით, პირფერობით, მოტყუებით, მლიქვნელობით, კამათით, ჭორაობით, სიჯიუტით, იმით, რომ მოყვასისათვის დათმობა და მისთვის კეთილის გაკეთება არ მსურდა; იმით, რომ სხვისი ბოროტება მიხარია; იმით, რომ სხვისთვის ცუდი მსურს; მოყვასისთვის ბოროტი რჩევით, შფოთით, წყენინებით, შეურაცხყოფით, დაცინვით.

გცოდე: ფუჭსიტყვაობით, ოხუნჯობით, საერო სიმღერების, წიგნებისა და საუბრების მოსმენითა და გახსენებით, შესამოსლის მორთულობით, მაცოური ქცევით, თავისუფალი ქცევით, კადნიერებით, უპატივცემულობით.

გცოდე: გრძნობათა შეუკავებლობით, უწმინდური გულის-სიტყვებით ტქბობითა და მათში დაყოვნებით, მიჯაჭვულობით, გემოთ-მოყვარეობით, ქალებისა და ყმაწვილკაცების მოურიდებელი თვალიერებით; ძილში სიძვით დაცემით, ბევრი ძილით.

გცოდე: ავადმყოფობისა და მწუხარებათა დაუთმენლობით, ამა სოფლის კომფორტის სიყვარულით, უზომო მიჯაჭვულობით მშობლების, ხათესავებისა და მეგობრებისადმი, გონების დატყვევებითა და გულის გაქვავებით; იმით, რომ თავს ვერ ვაიძულებ საქმის გაკეთებას.

გცოდე: ნივთებზე მიჯაჭვულობით, ვერცხლისმოყვარეობით, უსამართლო მონაპოვარით, მიტაცებით, ქურდობით, საეკლესიო და ძმების ნივთებისა და ფულის დამალვით, სიძუნწით, მომხვეჭელობით.

გცოდე: სულიერი მამების განკითხვითა და ურჩობით, დავიწყების, დაუდევრობისა და ყალბი სირცხვილის გამო მათ წინაშე ცოდვების მოუნანიებლობით და დადებული ეპიტიმის (სასჯელის) შეუსრულებლობით.

გცოდე: სიტყვით, საქმით, განზრახვით, ხედვით, სმენით, გემოთი, შეხებითა და ყველა ჩემი გრძნობით.

ყველა ჩემს ცოდვას, იმათაც, რაც დავიწყებული მაქვს, ვინანიებ და პირობას ვდებ,

რომ დვთის შეწევნით, მომავალში ფრთხილად ვიქნები. შენ კი, პატიოსანო მამაო, შემინდე, მაკურთხე, გამათავისუფლე მათგან და ილოცე ჩემ ცოდვილისათვის.

4. მორჩილი დედებისა

გადიარებ მე, ცოდვილი (სახელი) წინაშე უფლისა დმრთისა ჩემისა, იესო ქრისტესა და წინაშე შენსა, პატიოსანო მამაო, ყოველთა შეცოდებათა ჩემთა, რაოდენი ვცოდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, სიტყვით, საქმით, ნებისით თუ უნებლიერ.



გცოდე: წმიდა ნათლისდების აღთქმები არ შეგასრულე, სიყვარული დვთისა და მოყვასისა არ აღვასრულე.

გცოდე: საეკლესიო და სასენაკო კანონების შეუსრულებლობით, საეკლესიო მსახურებისადმი დაუდევრობით; წინამდვრისა და უფროსი დებისადმი ურჩობით; ბუზუნით, თვითრჩულობით, თავნებობით, საკუთარი თავის სიამოგნებით, სიამაყით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, თავმოყვარებით, პატივმოყვარეობით, შეპასუხებით, თავის მართლებით, კამათით; უქმისმეტყველებით; სიცრუით, სიცილით, კადნიერებით, თავისუფალი ქცევით, ფიცით, სიწმინდეების შებდალ-

ვით; განკითხვით, ცილისწამებით, ათვალიშენებით, მოყვასის გაკიცხვით, საყვედურის თქმით, სხვისი წყენინებით, ბოროტსიტყვაობით, შეურაცხეოფით, შეშფოთებით, დაცინვით, მოუთმენლობით, სასოწარკვეთილებით, სულმოკლეობით; მრისხანებით, მძვინვარებით, ძვირისხენებით (მოყვასისაგან გაკეთებული ცუდის დახსოვებით); სიძულვილით, შურით, ეჭვიანობით, ბოროტებაზე ბოროტების მიგებით; ცბიერებით, პირფერობით, მოტყუებით, სიზარმაცით, დაუდევრობით, ვერცხლისმოყვარეობით, მომხვეჭელობით, სხვისი ნივთის მისაკუთრებით და დამალვით, სიძუნწით; ბევრი ჭამითა და ღვინის სმით, ნუგბარის სიყვარულით, ფარული ჭამით, მარხვების დაუცველობით; მიჯაჭვულობით, უწმიდური აზრებით ტკბობით, უწმინდურ გულისხრახვათა მიღებითა და მათში დაყოვნებით, გრძნობების: ხედვის, სმენის, გემოს, შეხების შეუკავებლობით და სხვა სულიერი და ხორციელი ცოდვებით.

ყოველივეს ვნანობ და წარვუდგენ თავსა ჩემსა, შემცოდესა, უფალსა და მარტოსა. შენ კი, პატიოსანო მამაო, შემინდე, მაკურთხე, გამათავისუფლე მათგან და ილოცე ჩემ ცოდვილისათვის.

5. მონოზნებისა

ვაღიარებ მე, ცოდვილი (სახელი) წინაშე უფლისა და მორთისა და მაცხოვრისა ჩემისა, იესო ქრისტესა და წინაშე შენსა, პატიოსანო მამაო, ყოველთა ჩემთა ცოდვათა და ბოროტთა საქმეთა, რაოდენი ვცოდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა სიტყვით თუ საქმით, ნებსით თუ უნებლივთ.

ვცოდე: წმიდა ნათლისღების აღთქმები არ დავიცავი და მონოზნური აღთქმები არ შევასრულე, არამედ ყოვლადვე ვქმენ სიცრუე და ღმრთის წინაშე უხმარი გამოვდეს.

ვცოდე: ღვთისა და მოყვასის სიყვარული ვერ დავიცავი; ღვთის სჯულისა და წმ. მამათა გადმოცემებს სიზარმაცისა და დაუდევრობის გამო არ ვხწავლობ.

ვცოდე: საეკლესიო და სასენაკო კანონების შეუსრულებლობით; ტაძარში უგულო სიარულით, სიზარმაცითა და დაუდევრობით, ღვთისმსახურების დროს უქმისმეტყველებით, სიცილით, თვლემით, უდროო ჩამოჯობით, კითხვისა და გალობრით, მიმართობით, კანონით, კანონის შეურაცხეოფით, დაცინვით.

უუურადღებობით, გონებაგაფანტულობით, ტაძარში წაუსვლელობით სიზარმაცისა გამო, წირვა-ლოცვის დროს ანდა მის დამთავრებამდე ტაძრიდან გამოსვლით.

ვცოდე: ეკლესიაში უწმიდურად შესვლითა და ანტიდორის მიღებით ანდა სხვა სიწმინდეების შეხებით.

ვცოდე: წინამდგვრისა და უფროსი დებისადმი ურჩობით, მათი განკითხვით; სამორჩილო საქმის ბუზღუნით და დაუდევრად შესრულებით; საჭმლისადმი პრეტენზიებით.

ვცოდე: საუფლო დღესასწაულების უპატივცემულობით, მარხვების დარღვევით და სამარხვო დღების დაუცველობით; საჭმელ-სამდისადმი თავშეუკავებლობით, გაუმაძრობით, ფარული ჭამით, ნუგბარულით და ღვინის სმით; საკუთარი ნებისა და აზრის გატარებით, ურჩობით, თვითრჯულობით, თავნებობით; სხვის კელიებში საჭიროების გარეშე შესვლითა და უქმისმეტყველებით; თავის გამართლებით.

ვცოდე: ურწმუნოებით, ეჭვიანობით, მცირედმორწმუნებით, სასოწარკვეთილებით, ურვით, ბილწი გულისხიტყვებით, სიწმიდეების შებდალვით, ცრუ ფიცით.

ვცოდე: ამპარტავნებით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, სიამაყით, თავმოყვარეობით, პატივმოყვარეობით, დიდებისმოყვარეობით, ქებისმოყვარეობით, შეურითადებით, შეზიზებით, შეზიზებით.

ვცოდე: განკითხვით, ბოროტსიტყვაობით, მრისხენებით, ძვირისხენებით (სხვისი ცუდის დახსოვებით), სიძულვილით, ბოროტებაზე ბოროტის მიგებით, ცილისწამებით, საყვედურის თქმით, ცბიერებით, პირფერობით, მოტყუებით, მლიქვნელობით, კამათით, ჭორაობით, სიჯიუტით, მოყვასისათვის დათმობის და მისთვის კეთილის უნდომელობით; სხვის ბოროტებაზე სისარულით; სხვისთვის ცუდის სურვილით; მოყვასისთვის ბოროტი რჩევით, შეშფოთებით, წყენინებით, შეურაცხეოფით, დაცინვით.

ვცოდე: ფუჭსიტყვაობით, ოხუნჯობით, საერო სიმღერების, წიგნებისა და საუბრების მოსმენითა და გახსენებით, შესამოსლის მორთულობით, მაცდური ქცევით, თავისუფალი ქცევით, კადნიერებით, უპატივცემულობით.

ვცოდე: გრძნობების შეუკავებლობით, უწმინდური გულის-სიტყვებით ტკბობითა და მათზე დაყოვნებით, მიჯაჭვულობით, გემოთ-

მოყვარეობით, ქალებისა და ყმაწვილკაცების მოურიდებელი თვალიერებით; ძილში სიძვით დაცემით, ბევრი ძილით.

გცოდე: ავადმყოფობისა და მწუხარების დაუთმენლობით, ამა სოფლის კომფორტის სიყვარულით, უზომო მიჯაჭვულობით მშობლების, ხათესავებისა და მეგობრებისადმი, გონების დატყვევებითა და გულქვაობით; იმით, რომ თავს ვერ ვაიძულებ საქმის გაკეთებას.

გცოდე: ნივთებზე მიჯაჭვულობით, ვერცხლისმოყვარეობით, უსამართლო მონაპოვარით, მიტაცებით, ქურდობით, საეკლესიო და დების ნივთებისა და ფულის დამალვით, სიძუნწით, მომხვეჭელობით.

გცოდე: სულიერი წინამდღვრის და მოძღვრის განკითხვითა და ურჩობით, დავიწყების, დაუდევრობისა და ყალბი სირცხვილის გამო მათ წინაშე ცოდვების მოუნანიებლობით და დადგტული ეპიტიმიის (სასჯელის) შეუსრულებლობით.

გცოდე: სიტყვით, საქმით, განზრახვით, ხელვით, სმენით, გემოთი, შეხებითა და ყველა ჩემი გრძნობით.

ყველა ჩემს ცოდვას, იმათაც, რაც დავიწყებული მაქსს, ვინანიებ და პირობას ვდებ, რომ დვთის შეწენით, მომავალში ფრთხილად ვიქნები. შენ კი, პატიოსანო მამაო, შემინდე, მაკურთხე, გამათავისუფლე მათგან და ილოცე ჩემ ცოდვილისათვის.

დამატება აღმსარებლის სამახსოვროდ

აღსარების საიდუმლოს არსი მდგომარეობს არა მრავალსიტყვაობაში, არამედ საკუთარი ცოდვიანობის სიმძიმისა და დვთის წინაშე პასუხის უქონლობის შეგნებაში, და ყოველივე ჩადენილისათვის ღრმა და წრფელ გულშემუშვრილებაში.

ვიდრე ადსარებაზე წახვიდოდე, საჭიროა გულდასმით გაიხსნო შენი ყველა ცუდი საქციელი, სიტყვა და აზრი, შეიგნო მათი ცოდვიანობა, გულის სიღრმეში განიკითხო საკუთარი თავი და შემდეგ მიიღო მტკიცე გადაწყვეტლება, რომ ყოველმხრივ ამხილო შენი თავი სულიერი მოძღვრის წინაშე, რომელიც ჩვენგან აღსარების ჩაბ-

არებისას ღმერთსა და ჩვენს სინდისს შორის შუამავლად გვევლინება; სწორედ იგი დაამოწმებს ჩვენს სინანულს დვთის სამსჯავროზე: „ცოდვა ჩემი გაუწყე შენ, და უსჯულოება ჩემი არა დავფარე შენგან“ (ფს. 31,5).

მონანული არ უნდა ელოდებოდეს მოძღვრის შეკითხვებს, არამედ თავად უნდა გააშიშვლოს თავისი ცოდვიანი ჭრილობა, როგორც ამბობს წმ. წერილი: „მოჟყევი შენი უსჯულოება, რომ თავი გაიმართლო“ (ეს. 43,26).

მონანულს უნდა სწამდეს, რომ: „რაოდენიცა განხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა (მთ. 18,18), – იმ მადლის მეშვეობით, რაც მიცემული აქვს სულიერ მოძღვარს.

ამასთან ერთად, მტკიცედ გახსოვდეთ, რომ სინანული მხოლოდ სიტყვით არ უნდა გამოხატოთ, არამედ გამოილეთ ნაფოფი ღირსი სინანულისა. მონანიება ნიშნავს გამოსწორებას; მონანულმა უნდა მოელი გულით შეიძულოს წინა ცოდვოლი ცხოვრება და მტკიცედ გადაწყვიტოს, თავი შეიკავოს ყოველივესაგან, რაც ღმერთს გაანაწყენებს. ჩვენი შინაგანი ბრძოლა – აი, რას შეუძლია დვთის წყალობისა და შემწეობის მოზიდვა ჩვენებ.

სულიერი მოძღვრის სამახსოვროდ

სულიერ მოძღვარს უნდა გააჩნდეს შემწყნარებლობა მონანულისადმი და ყურადღება მისი ადსარებისადმი, რათა შეძლოს დამოწმება სამართლიანი მსაჯულის წინაშე სამსჯავროს დღეს. მან ადსარება უნდა მოისმინოს ლოცვითა და მოთმინებით, სიმშვიდითა და კეთილგანწყობით, რამეთუ აღმსარებლის ცხონებისათვის ძალზე საჭიროა სულიერი მოღვვრის თანაგრძნობა. „სნეული უნდა განკურნო, კი არ უნდა მოკლა“ (წმ. გრიგოლ დვთისმეტყველი).

მთარგმნელები:
ნანა გოგიშვილი
ნანა ქანდაურიშვილი

WMIIDA EPISKOPOSI EGNATE (BRIANCANINOV)

BOLO JAMIS MONOZONTA XVEDRI, UMTAVRESAD, MMUXAREBAA



წმიდა ეგნატე ბრიანჩანიშვილი

წმიდა მამებმა, პირველი უამის ბერ-
მონოზნებმა, სულიტმიდით აღვსილმა
სრულქმნილმა ქრისტიანებმა ქვეყნის აღ-
სასრულის უამის მონოზონებაზე ზეგარ-
დამო იხილეს და ის გვიწინასწარმეტყვე-
ლეს, რაც დღეს ცხადლივია.

მამათა წინასწარმეტყველება ურთ-
იერთოთანხვედრია და გვაუწყებს, რომ უკა-
ნასკნელი ხანის მონოზნობა მეტად მოუ-
ძლებულდება. მას პირვანდელი მონოზნების
მსგავსი, აღარც ფიზიკური და აღარც სუ-
ლიერი ძალა აღარ ექნება და მისთვის ხს-
ნაც კი გაძნელდება. ერთმა ეგვიპტელმა
მამამ სულიერი ჩვენებით ამგვარი რამ იხ-
ილა: ზღვის პირად სამი მონოზონი იდგა.
მოპირდაპირე ნაპირიდან ხმა შემოესმათ:
„აღიხვენით ფრთები და მოვედით ჩემთან!“
მოწოდებაზე ორ მონოზონს ცეცხლოვანი

ფრთები შეესხა და მსწრაფლ გადიფრინა
ზღვა, მესამე მონოზონი კი უწინდელ ადგ-
ილზე დარჩა და მოჰყვა ტირილს, ჩივილს
და დაღადისს. ბოლოს მასაც შეესხა
ფრთები, მაგრამ არა ცეცხლოვანი, არამედ
— უდონო რამ და იგი დიდის ტანჯვითა
და ჯაფით აფრინდა ზღვაზე. ფრენისას
ხშირად უძლურდებოდა, ზღვაში ეფლო-
ბოდა, ჩიოდა, დაღადებდა, ყვიროდა და
როგორდაც ამოდიოდა წყლიდან, მაგრამ
ნელა და დაბლა ფრენდა და მოუძლურებ-
ული კვლავაცწყალში ვარდებოდა. ამგ-
ვარად ძალაგამოცდილმა ვაგლახით გა-
დიფრინა ზღვა. ცეცხლოვანფრთიანი ორი
მონოზონი პირველი უამის მონოზნობას
გამოხატავდა, ხოლო მესამე — რიცხობრი-
ვად მცირე და წარმატებებით მწირ, ქრის-
ტიანობის ბოლო უამის მონოზნობას
მოასწავებდა.

ეგვიპტის სკიტის წმიდა მამებმა ერთხ-
ელ ამგვარად იწინასწარმეტყველეს ბოლო
უამის მონოზნობაზე:

— რა გავაკეთეთ ჩვენ? — საუბრისას
იკითხა ერთმა წმიდა მამამ.

— ჩვენ დათის მცნებები აღვასრულეთ.
— უპასუხა მას დიდმა აბბა ისქარიონმა.

— და რას მოიმოქმედებენ ჩვენი შემ-
დგომნი? — პეტრე სხვა მამამ.

— ისინი, სანახევროდ, ჩვენს საწინააღმ-
დებო საქმეებს ჰყოფენ. — მიუგო დიდმა
აბბამ.

— და მათი შემდგომნი რადას იქმან? —
კვლავაც აღემრათ კითხვა წმიდა მამებს.

— სამწუხაროდ, მათ მონოზნური ხვე-
დრი აღარ ერგებათ, არამედ მრავალი წუხ-
ილი დაიშვება მათზე და ვინც მტკიცედ
დადგება, ჩვენზე და ჩვენს წინაპრებზე
აღმატებულად წარმოსდგებიან. უპასუხა
აბბა ისქარიონმა

კირილე-ხოვოზერის მონასტრის წინა-
მდგვარმა, არქიმანდრიტმა არკადიმ (1847

წელს გარდაიცვალა), ამგვარი ხილვა გადმოგვცა:

„ერთხელ, დამწუხერებული და დაბეჭავებული დავდექი ცისკრის ლოცვაზე და ფიქრში წავედი, უეცრად, თავდავიწყებას მივეცი; მაგრამ არ ვთვლემდი, რადგან ლოცვებს კითხულობდნენ და ყველა სიტყვა მკაფიოდ მესმოდა. უეცრად, წინ აღმე-მართა ჩვენი სავანის ღირსი მამა, განხსვე-ნებული ანტონი, რომელმაც მითხრა: „რას დაღვრემილხარ? განა არ იცი, რომ ბოლო უამის მონოზვნები მწუხარებით უნდა ცხ-ონდნენ?“ – ამ სიტყვებზე გამოვერპვიე. ხილვამ სულიერი სიმშვიდე მომგვარაო“.

მაშასადამე, სევდა-მწუხარება უმეტესწილად ჩვენი, თანამედროვე მონოზ-ვნების ხვედრია. დგომივანებისულია იგი და ეს უნდა გვამშვიდებდეს და განგვამტკიცებდეს ყოველგვარ მწუხარებასა და განსაცდელ ში; მწუხარებაში მორჩილებით და სახარების მცნებათა ზედმიწევნით აღსრულებით, ყოვლითურთ უნდა განვისწავლებოდეთ; ამგვარია დგომის ხება. დარღი და წუხილი მოქანცველია და ერთი შეხედვით, სამწუხაროც არაფერია, მაგრამ ეს ბოროტი მტრის მანქანებაა. დაცემული სული დარწმუნდა, რომ პირდაპირი, უხეში და მკაცრი განსაცდელებით ბრძოლა, ადამიანში მოშურნეობას და ვაჟაცობას აღაგზნებდა; ამიტომ, უხეში განსაცდელები სუსტი, მაგრამ მომქანცველი და ძლიერმოქმედით შეცვალა; ამგვარი ტანჯვა მოღვაწეობისათვის არ აღძრავს ადამიანს, არამედ იჭვსა და გაურკვევლობაში ამყოფებს მას, მწუხარება ქანცაგს ადამიანს, მის სულიერ ძალებს შრეტს, სასოწარკვეთასა და უმოქმედობაში აგდებს, ვნებათა სახლად გადააქცევს და გულგატეხილობით დასუსტებულს კლავს.

დეფისათვის სატანის მზაკვრობაც ნა-
თელია და მისგან დატეხილ ქარტებ-
ილთა სიმძიმეც. თანამედროვე მონოზნე-
ბის ღვაწლი თუმცადა ნაკლებ საჩინოა,
ქრისტეს ძეელ მხედრებთან შედარებით,
მაგრამ ღმერთი დღვანდველ მოღვაწეებ-
საც არანაკლებ დააგვირგვინებს... ჩვენ
არ უნდა მოვუძლურდეთ, არ უნდა დავ-
ჩახანაკდეთ და უმოქმედობას არ უნდა
მივეცეთ. პირუკუ – მთელი ყურადღება და
ძალა სახარების მცნებათა აღსრულებას

უნდა მივმართოთ. ამით მტრის მრავალ მზაკვრობას გამოვაჩენთ და ვნახავთ, რომ გარეგნულად სუსტი თავდასხმები და განსაცდელები ძველებური ძალმოსილებით ესწრაფებიან, ქრისტესგან ადამიანის განსაშორებლად – დედამიწაზე ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად. ადამიანის მარჯვედ საცოლებლად, ქრისტიანობის ოდენ ფორმადაა შემონახული. სუსტი, მაგრამ გამიზნული და ჯოჯოხეთური ზრახვებით აღსრულებული განსაცდელებით, კიდევ უფრო კარგად მოქმედებს სატანა, ვინემ მძიმე, მაგრამ ხილული და პირდაპირით. უმთავრესი მიზეზი კი, რითაც მწუხარება დამძიმებულია თანამედროვე მონოზნებისათვის, თვით მათშივეა. უდიდესი კატასტროფაა წინამდღვრის, სულიერი მოძღვრის უკმარობა, რასაც ბერი და მით უფრო, ახლად-შედგომილი, უმაღლერი შენიშნავს... წმიდა წერილის და წმიდა მამათა მოძღვრების გულმოდგინედ შესწავლისას მცირედი თუ მიხვდება, რომ საბერ-მონზნო ცხოვრებაში წარმატებისათვის, სულიერი დამოძღვრა აუცილებელია და რომ მშვინვერი მოძღვრება, როგორი დიდებულიც არ უნდა იყოს იგი გარეგნულად, და რარიგ თაყვანსაც არ უნდა სცემდეს მას დაბრმავებული სოფელი – წყვდიადს მოიცავს და ამ მოძღვრების მიმდევრებსაც წყვდიადში, დაცემულ სულთა გარემოში, ამჟოფებს საღვთო სიტყვის წიგნებით მოძღვრება (და არა – ცოცხალი პირისაგან), ჩვენთვის ის ერთადერთი სახელმძღვანელოა, რომელიც დღეს მოგვეცა; ამასთან, მონზონი ხშირად საკუთარი თავის მოძღვარი თავადვე ხდება, რასაც, ზოგჯერ, მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, თან ახლავს დიდი და ხშირი ცდომილებანი და გადახრები, რაც ვნებებითა და უცოდინრობით, გარდაუგალია... ცოდვის ზღვაზე გადაფრენისას, დაუძლურებულები ხშირად ვეფლობით მასში და დასახრჩობათ განვიწირებით. მოძღვრის – სულიწმიდის ცოცხალი ჭურჭლის გარეშე აურაცხელი განსაცდელების გარემოში ჩვენი ყოფნა მწარედ საგოდებელია.

Իզյեն դաշտարձակ, զոլովքեծոտ դա առ օსմօս եմա, զի՞ս րոթ ցագոցնոտ. Սմիջուրո և պատուի հայեցու եսոցնուան Վոցնու արշեծո-

ბის ხსოვნასაც შლის. აურაცხელი განსაცდელებით მოცულნი, უწინამძღვროდ დარჩენილნი, მწარედ საგოდებელნი ვართ. „შეგვიწყალე ჩვენ, უფალო!“ – შედადადებდა წინამძღვარი და იგი ჩვენი სულის აღმტვირთველი, გაგვიყვანდა ხსნის გზაზე...

ჩვენს ავადმყოფურ ხედვას, გონებას და გულს ნაირსახის ხიბლებით მოეძალნენ საცდურები, რომლებიც მიგვიზიდავენ და ჩვენს გულს დმერთს განაშორებენ. ჩვენ იმდენად დავემონეთ საცდურებს, რომ საღვთო სიტყვით ხსნის ერთადერთი გზაც დავტოვეთ. ამდენად, გონებადაფანტულობას უნდა ვეკრძალოთ და ყურადღებით ადგიჭურვოთ; მაგრამ ჩვენი სნეული ნება სრულიად საწინააღმდეგოს გვთხოვს – ნივთიერ წარმატებებს, ამქვეყნიურ დიდებას, პატივს, დოვლათსა და ფუფუნებას მიელტვით. ასეთი მისწრაფებით ჩვენს დაცემულ ბუნებაზე ზრუნვას შევუპყრივართ და თვით ბუნების ფართედ გაგებაც კი დაგვავიწყდა; სახარებისეული მცნებები უგულვებელვყავით და განვეშორეთ. სულიერი დვაწლი ჩვენთვის სრულიად უცხოა, ხოლო ფიზიკურ მოღვაწეობას იმდენად ვეწევით და იმ მიზნით, რომ ქვეყნის თვალში კეთილშობილად და წმიდად გამოვწიდეთ და მისგან სანაცვლო მოვიგოთ. ვიწრო და შეურაცხმყოფელი გზა ხსნისა დაგვიტევებია და ვრცელი და ფართე გზით მიემართებით... შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო!..

ხოლო ეს საცდურებიც დვთივდაშვებულია, და საცდურთაგან ზნეობრივი დაქცევაც – დვთივდაშვებულია... იმდენად გამრავლდნენ და გამძაფრდნენ ბოლო ჟამის საცდურები, რომ „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყვარული მრავალთავ“ (მათე, 24, 12). „ხოლო მორავიდეს

ძე კაცისავ, პოვოსმეა სარწმუნოებავ ქუეყანასა ზედა?“ (ლუკა, 18,8). წინასწარმეტყველი გვეუბნება, საცდურთა ხრმლით აოხრდება ისრაელის მიწა, ეკლესია და ჩამოდგება დიდი სიცარიელე (ეზეკიელი, 38,18).

საღვთო გზით სვლა მეტად გამნელდება, რადგან შეუძლებელია, რომ არ ცდუნდეს საცდურთა გარემოში და საცდურთა პირისპირ მჭვრეტელი; როგორადაც ყინული კარგავს ძალას ცეცხლის მოქმედებით და გარდაიქმნება მყიფე წყლად, ასევე საცდურებს მიცემული, კეთილი ნებით აღვხილი გული, სუსტდება და იცვლება.

პო, უბედურო ჟამო! პო, უბედურო ყოფავ! პო, ზნეობრიო წახდენავ – ყოველ უბედურებაზე აღმატებულო! პო, დრო-უამში დაწყებულო უბედურებავ და მარადისობაში გარდამავალო! პო, უბედურებათა უბედურებავ, ოდენ ჭეშმარიტ ქრისტიანთავის და ჭეშმარიტ მონოზონთათვის განცხადებულო!

ამგვარი სულიერი ხილვის მხილველებმა და განსაცდელთა ცეცხლში მყოფებმა, წარვსოქვათ აღსაარება და დიდებისმეტყველება, რომელიც აღავლინა ბაბილონის მგზებარე ცეცხლსა შინა მყოფმა სამმა ნეტარმა ყრმამ. სიყვარულით შევერთოთ საყოველთაო ეკლესიას და წინაშე უფლისა აღვავლინოთ აღსაარება და დიდებისმეტყველება ჩვენი. სიმდაბლითა და ცრემლით ვილოცოთ უფლისა მიმართ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო, ქებულ, დიდებულ სახელი შენი უკუნისამდე. ამინ.

თარგმნა მარიამ ნიაურმა



1 ივნისი – მოციქულთასწორ წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წირვა აღავლინა სამთავროს ფერისცვალების დედათა მონასტერში.

წირვის შემდეგ მისი უწმიდესობა, თანმხლებ სასულიერო პირებთან ერთად, მონასტრის ტრაპეზის დაესწრო.



4 ივნისს სამთავროს დედათა მონასტერში წირვა აღავლინა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა.

ყოვლადუსამღვდელოესმა იაკობმა სამღვდელო ხარისხში აღამაღლა დიაკვანი, მამა გიორგი (ბადაშვილი), ხოლო სტიქაროსანი გიორგი ალიძე-გაშვილი აკურთხა დიაკვნად, მირიანის სახელით.

5 ივნისი მოციქულთასწორთა, წმიდა მეუფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის სსენების დღეს სამღვდელო წირვა აღავლინა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა.

11-18 მაისი – სამთავროს დედათა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ და მონასტრის მგალობელმა მონოზნებმა: დედა ნანამ (ქუთათელაძე), დედა ნინომ (ჯულაყიძე), დედა ნინომ (სამხარაძე) და დედა თამარმა (ასათიანი), მრევლთან ერთად მოილოცეს იერუსალიმის წმიდა მიწა.



მონთევნის აღთქმა
კ ი ა ხ ე ს - მ ი ბ ი ბ

უკურ მოხარუნაშ წინაშე დკოხი, გეოთხა სიმუკრო
და მოძიე ჩ-უნ ყოვლიც კანილ-უდევია:
კონკა: ჩაიხავის მოხარუნაშ, მათ, შეკორმით, წმარახ
ამასა მხარე მდინარე შეწოვახი და წმარახ ამას კატეულია?
მიტება: მნ იავს განმორია სოფლისა გან, ბატოხახო მამათ.
კონკა: ნებით შეხია დას იქმებია ან გედოხებია ამას სახეა
და წესა გუდით მოხარუნაშა?

მიტება: პე, ღუთისა მართა, ბატოხახო მამათ.

წინამდლურმას: ხოდო ჩაიმს დგომებების კეთილ და ხანატოკლი ეს ე
საჭირო, უკეთ განებაებ განხლ-კრება კეთილისა საჭირო,
მომათ, ზედუნებითა და ტეკილითა განხლ-კრების.

კონკა: ნებით გოხებითა შეხია მოხარუნაშ წინაშე უფლისა?

მიტება: პე, ღუთისა მართა, ბატოხახო მამათ.

კონკა: და უკავი კალ-უდევიასა შესა გოვლითა გოხიათა და სახთებითა?

მიტება: პე, ღუთისა მართა, ბატოხახო მამათ.

კონკა: უხერებისა შინა შესა ერთ სიკედებე ბერფა
მოხარუნების უფლისხმისა, და ყოველთა ქანიტეს ძირ შემთხვევა?

მიტება: პე, ღუთისა მართა, ბატოხახო მამათ.

კონკა: და იმინია გოვერხი ძირისხმეულება, იწოდებას, ბოროტი
ძირ აღმა-ული მნა გუდოებიას, ხახ-უფლებობის ცალია?

მიტება: პე, ღუთისა მართა, ბატოხახო მამათ.

სამონასტრი, 14 საუკუ.

სამონასტრი უკავილესი ტერიტორია
უკავილესი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი
სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი
სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი

სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი
სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი
სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი
სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი სამონასტრი

რედაქტორი: მარიამ (მარინა) ნიაური
სარედაქციო კოლეგია: არქიმანიზმი ლაზარე (გავნიძე)
იღუმენის ქადეგანი (კომალანი)
მითხვითი სოსახა (კუპრინიშვილი).
კომპიუტერული მომზახურება:
მორჩილი მარიამ (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა №3
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ-ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: 158107700